

178 / 3
1984 / 3

ISSN 0132-5981

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმსრებელი
ბიუროს
გამომცემი

საბჭოთავო საგარეო აღმსრებელი

25 / 3
178



1 1984

საბჭოთა წყობილებას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობა. სწორედ ეს არის მისი უდიდესი ძალა. ამიტომ აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა იმას, რომ ეს სოციალური სამართლიანობა განუხრელად იყოს დაცული ყოველდღიურ საქმეებში.

კ. უ. ჩერნენკო.

არა 2002/26
 2002/26
 ლ. 2



პროლეტარებო უფლებო ქვეყნება, შეერთდით!

საქართველო სამეცნიერო

№ 1

იანვარი
 თებერვალი

1984 წელი

შუკრული გავრცელების 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შუკრული

შინაარსი

რესპუბლიკის პარტიული აპტივის კრება	3
ახალი ძალით გავაგალოთ ბრძოლა დამნაშავეობასთან	5
<u>მეცნიერება — დამნაშავეობასთან ბრძოლის საშესაწურო</u>	
თ. ანდლუღაძე — დამნაშავეობრივი გვიგა და კოლინობიგაცია	11
<u>ქანონის კომენტარი</u>	
გ. გოლოზვილი — სამოქალაქო დავების განიღვრა უმეციკრებულ გადებში	19
გ. სულგანიშვილი — რეპვიჩიცია და მისი გავრყენება	25
<u>დისკუსია, კოლემიგა, რეკლიგა</u>	
გ. ულაშვიტი — ქანონის ენის დანვიწისათვის	30
<u>კუგლიციის ბრიგუნა</u>	
ბ. აგვიღავა — ექსპერიმენტის ქალაქში	37
გ. ნადარეიშვილი — ერთი ქველქართული სასამართლო მტკიცებულება	45
<u>საქვარგარეთის აგვები</u>	
გ. სუტგულაძე — ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია	52
<u>მწარღვაი სასამართლოში</u>	
ანდრე მორუა — გუსტავ ფლოგბერის გასამართლება	61
<u>კრიტიკა და გიგლიოგრაფია</u>	
გ. კუტინი, ვ. ვადალასი — მნიშვნელოვანი შენამეი საეკთაუოკისო	
სამართლის თეორიაში	64
გ. ლორია — სინტეზისო მეცნიერული ნაწროვი	67
ოფიციალური მასალა	69
ინფორმაცია	70
ნარევი	74
გიგლიოგრაფია	78

СОДЕРЖАНИЕ



Собрание партийного актива республики	
С новой силой развернуть борьбу с преступностью	5

НАУКА НА СЛУЖБЕ БОРЬБЫ С ПРЕСТУПНОСТЬЮ

Т. Андгуладзе — Преступление и полимотивация	11
----------------------------------------------	----

КОММЕНТАРИЙ К ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Г. Голошвили — Рассмотрение гражданских споров в сокращенные сроки	19
Г. Сулханишвили — Реквизиция и ее применение	25

ДИСКУССИЯ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКА

Г. Шаламберидзе — О совершенствовании языка закона	30
----------------------------------------------------	----

Трибуна публициста

А. Абшилава — В городе эксперимента	37
Г. Надарейшвили — Об одном судебном доказательстве древнегрузинского права	45

ЗА РУБЕЖОМ

П. Сургуладзе — Конституция Исламской республики Иран	52
-------------------------------------------------------	----

ПИСАТЕЛИ ПЕРЕД СУДОМ

Андре Моруа — Суд над Густавом Флобером	61
-----------------------------------------	----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

П. Курис, В. Вадапалас — Значительный вклад в теорию международного права (О книге Л. Алексидзе «Императивные нормы — jus cogens»)	64
В. Лория — Интересный научный труд (о книге Г. Закарая «Управление бытовым обслуживанием населения. Административно-правовые проблемы»)	67
Официальный материал	69
Информация	70
Смесь	74
Библиография	78



სარედაქციო კოლეგია:

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,
მ. ლეკვიშვილი, გ. ტყეშელაძე, ა. შუშანაშვილი,
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1984 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი კლენჯინის კრ. 103. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაცა წარმოებას 22.02.84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.03.84 წ.,
ფორმატი 70×108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. საარბიტრაჟო-საგამომცემლო თაბახი 7,5

შეკვ. № 457

ტირაჟი 25100

უე 06459

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

18.013

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება

18 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, კრების მონაწილეებმა განიხილეს იმ მუშაობის შედეგები, რომელსაც რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმისა და 1984 წლის თებერვლის რიგგარეშე პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად.

კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არ შედიან ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები, რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

კრების პრეზიდენტად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. ი. სავინკინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. ვაბუნიძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. ი. პათიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, უ. კ. შარტავა.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

მოსხენება გააკეთა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ე. სარალიძე, საქართველოს სსრ პროკურორი ა. მ. ბარაბაძე, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ზეინკალი ა. პ. დრაგუნოვი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ი. ალავიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ი. გვეტაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ე. ჩიგოჯიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს

სსრ იუსტიციის მინისტრი **ა. ა. შუშანაშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიების თავმჯდომარე **ო. ე. ჩერქეზია**, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი **ნ. შ. ფასაძე**, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი **დ. ი. კოტეტიშვილი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე **შ. ვ. ყარყარაშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური სამუშაო ქვეჯგუფის თავმჯდომარე **გ. ა. ანჩაბაძე**, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი **დ. ვ. სალარიძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ა. გ. კარანაძე**, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი **დ. ნ. დვალიშვილი**, საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივანი **გ. ი. გუნავა**, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი **ნ. გ. ჩერქეზიშვილი**, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **თ. ე. აბულაძე**, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსი **ა. ზ. ანკვაბი**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. გ. ლორთქიფანიძე**, საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **რ. ი. ჯავახიშვილი**, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **გ. გ. ლეჟავა**.

პარტიული აქტივის კრებამ განხილულ საკითხზე მიიღო რეზოლუცია.

კრებამ დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმისა და 1984 წლის თებერვლის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად დისციპლინის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ღონისძიებების 1984 წლის კომპლექსური გეგმა.

ახალი ძალით გაააჩაღოთ ბრძოლა დამნაშავეობასთან

18 თებერვალს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელმაც შეაჯამა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების მიერ მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის 1983 წელს გაწეული მუშაობის შედეგები და დასახა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების სამომავლო ამოცანები.

თავის ღრმაშინაარსიან მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შეგარდნაძემ ყოველმხრივ გააანალიზა რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიური ძვრები, რომლებმაც უზრუნველყო ოპერატიული ვითარების ჯერ სტაბილიზაცია, შემდეგ კი მყარი გაუმჯობესება, დამნაშავეობის თანამიმდევრული შემცირება როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ისე მის მეტ წილ რეგიონებში. 1983 წელს წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა ისეთი საშიშა დანაშაულებანი, როგორც არის განზრახ მკვლელობა, ძარცვა, ყაჩაღობა, სახელმწიფო ქონების ქურდობა და სხვ.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა სამართალდაცვითი საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მწყობრი სისტემა, აქტიურად ფუნქციონირებენ პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების სამუშაო ჯგუფები, ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ მებრძოლი კომისიები, რომლებიც კონტროლს უწევენ ამ დარგში პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანოების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელ საქმიანობას.

გააქტიურდა ბრძოლა ლოთობის, ხულიგნობის, მუქთახორობის წინააღმდეგ, რომლებიც დამნაშავეობის პოტენციურ წყაროს წარმოადგენენ. იგი უფრო ეფექტიანი და შედეგიანი გახდა. მართლწესრიგის განმტკიცებაში, დამნაშავეობის შემცირებაში დიდი როლი შეასრულა ღონისძიებებმა, რომლებიც კარგა ხანია ხორციელდება რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, აგრეთვე ბოლო ხანს დამკვიდრებულმა ორგანიზებულობის ატმოსფერომ, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად პარტიული და საბჭოთა ორგანოები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს. რესპუბლიკის მასშტაბით



ყოველწლიურად მუშავდება სამართალდარღვევების სოციალური პროფილაქტიკის კომპლექსური გეგმა, რომლის რეალიზაციისათვის დიდ მუშაობას ეწევიან პარტიული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, შრომითი კალექტივები, სამართალდაცვითი ორგანოები.

ამასთანავე, როგორც ეს ხაზგასმით ითქვა პარტიული აქტივის კრებაზე, ორგანიზებულობის, მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის დონე ჯერ კიდევ დაბალია. ეს შეეხება სამართალდაცვითს ორგანოებსაც, რომლებიც მთლიანად ვერ უპასუხებენ მათდამი წაყენებულ გაზრდილ მოთხოვნებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კ. უ. ჩერენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის რიგგარეშე თებერვლის პლენუმზე აღნიშნა, რომ „ორგანიზებულობის, წესრიგის საკითხი ჩვენთვის საკვანძო, პრინციპული საკითხია. ამის თაობაზე რძი აზრი არ შეიძლება იყოს. ყოველგვარ მოდუნებას, უპასუხისმგებლობას საზოგადოებისათვის მართო მატერიალური ზარალი როდი მოაქვს. ისინი სერიოზულ, სოციალურ, ზნეობრივ ზიანსაც გვაყენებენ. ეს კარგად გვესმის ჩვენ, კომუნისტებს, ესმის მილიონობით საბჭოთა ადამიანს. და სავსებით კანონზომიერია, რომ ჭეშმარიტად მთელმა ხალხმა მოიწონა შრომის, საწარმოო, საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი.

ამ სფეროში ზოგი რამ უკვე გავაკეთეთ. და ვინ არ იცის, რა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ამან საწარმოო საქმეებზე, ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და საერთოდ ხალხის გუნება-განწყობილებაზე. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, თითქოს უკვე ყველაფერი გაკეთებულიყოს. არა, ამხანაგებო, ცხოვრება გვასწავლის, რომ ამ საქმეში მოდუნება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება“¹.

პარტიული აქტივის კრებაზე ითქვა, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება აღმინისტრაციულ ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამის გამო არცთუ იშვიათია არაოპერატიულობის, საქმის გაჯანჯლების ფაქტები, უხეშად ირღვევა საქმეთა გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის კანონით დადგენილი ვადები, რითაც მცირდება დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობა, სასამართლო პროცესის აღმზრდელობითი ზემოქმედება. რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების ორგანიზატორული მუშაობის სერიოზულ ნაკლად მიჩნეულ იქნა ის გარემოება, რომ წინა წლების პარტიული აქტივების მთელი რიგი რეკომენდაციები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე კვლავ შეუსრულებელია.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანო, ზემოქმედანელი სამეურნეო მუშაკი საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად. გამაფრთხილებელ-

¹ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კ. უ. ჩერენკოს სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის რიგგარეშე თებერვლის პლენუმზე. გაზეთი „კომუნისტი“ 14 თებერვალი, 1984 წ.

პროფილაქტიკური საქმიანობის შესუსტების გამო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას კვლავ სერიოზული ზარალი მოსდის. განსაკუთრებით გავრცელებულია სახალხო დოვლათის დატაცება კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების და ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტების სისტემაში. ყველა შრომით კოლექტივში არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი ნედლეულისა და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვისადმი, შექმნილი არ არის შეუწყნარებლობის ვითარება იმ პირთა მიმართ, რომლებიც პირადი გამდიდრების მიზნით იყენებენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საკუთრებას. ყოველივე ეს მშრომელთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ისინი მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს დამტაცებელთა თარეშს, აღიკვეთოს მათი დანაშაულებრივი ქმედობა. არ ხორციელდება რადიკალური ღონისძიებანი სახელმწიფოსათვის დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად.

სამართალდაცვითს ორგანოებს მართებთ საგანგებო ყურადღება დაუთმონ დანაშაულის თავიდან აცილებას სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების შენახვის, გადამუშავების პროცესში, ვინაიდან ამაზე დიდად არის დამოკიდებული სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის წარმატებული შესრულება. ფაქტები მოწმობს, რომ ამ მხრივ ზოგან მდგომარეობა საგანგაშოა. კვლავ გრძელდება ბოროტმოქმედება რესპუბლიკის მეცხოველეობის ფერმბესა და მეფრინველეობის ფაბრიკებში, სადაც გავრცელებულია საკვების დატაცება, აღრიცხვისაგან პირუტყვის დაფარვა, ფიქტიური ჩამოწერა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის ეკონომისტებს, იურისტებსა და სოციოლოგებს გადაუდებელ ამოცანად დაუსახა შეიმუშაონ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, რომლებიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სათანადო დაცვასა და შენახვას, აღიკვეთოს წამატება, თვალის ახვევა, მაქინაციების ფაქტები მატყლის დამზადების დროს და სხვ.

რესპუბლიკის სამრეწველო ობიექტებში კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება სოციალისტური საკუთრების წვრილმანი დატაცება. ეს ბოროტმოქმედებანი გავრცელებულია თბილისის, ბორჯომის, ქუთაისის, ჭიათურისა და თელავის ხორცკომბინატებში, ზუგდიდის ფაიფურის კომბინატში, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკებში „ისანსა“ და „ნარიყალაში“, გორის ბამბეულის კომბინატში, წინდის გაერთიანება „კრწანისში“ ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში, და სხვ.

ამ რეგიონების სამართალდაცვითი ორგანოები მოვალენი არიან ღრმად შეისწავლონ შექმნილი ვითარება და გამოიტანონ საჭირო პრაქტიკული დასკვნები, აამაღლონ შრომითი კოლექტივების როლი და პასუხისმგებლობა სოციალისტური ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად, შექმნან საზოგადოებრივი აზრი წვრილმანი დატაცების ყოველი ფაქტის მიმართ, იზრუნონ სამრეწველო ობიექტებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის კანსაღებისათვის, ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი აკისრიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს, მის არასაუწყებო დაცვის სამსახურს, რომელთა ხელმძღვანელებმაც ჯეროვანი წესრიგი უნდა დაამყარონ, არ დაუშვან სახალხო დოვლათის დამტაცებელთა და დაცვის თანამშრომელთა პირშეკვრის ფაქტები.

პარტიულმა აქტივმა რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების ყურადღება მიიპყრო იმას, რომ საქიროა გააქტიურდეს ბრძოლა სახალხო მეურნეობაში მოკალათებულ საქმოსანთა და კომბინატორთა მხილებისათვის, განხორციელდეს მიზანდასახული ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც გამოირიცხავს სახალხო დოვლათის დატაცებას.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა შეშფოთება გამოთქვეს მომსახურების სფეროში სახელმწიფო ქონების დატაცებათა გამო. კვლავ დიდია დანაშაულით მიყენებული ზარალი ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებსა და ცეკავშირის ორგანიზაციებში. განხორციელებული ღონისძიებანი ნაკლებად ეფექტიანია. ამ დარგში ბევრი უღირსი ადამიანი მუშაობს. უფრო მეტიც, ზოგიერთს მიაჩნია, რომ გარდაუვალიც კი არის მომსახურების სფეროში თაღლითებისა და საქმოსნების არსებობა. ამ ყოველად უსაფუძვლო და მავნე შეხედულებას ბოლო უნდა მოეღოს. ეს კი შეუძლებელია, თუ ძირფესვიანად არ გაუმჯობესდა ამ დარგის კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა, უწყებრივი სარევიზიო-საკონტროლო აპარატის მუშაობა.

პარტიული აქტივის კრებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბრძოლას ისეთ დიდ ბოროტებასთან, როგორც არის მექრთამეობა.

კომუნისტური პარტიის ბელადი და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი ვ. ი. ლენინი წერდა: „თუკი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლება პოლიტიკაზე, აქ ჯერ კიდევ პოლიტიკის ნასახიც არ არის, აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ, რომ ყოველგვარი ზომები ჰაერში გამოკიდებული დარჩება და სრულიად არავითარ შედეგს არ მოიტანს. კანონიც რომ იყოს, უარესი იქნება, თუ პრაქტიკულად მას გამოიყენებენ ქრთამის შესაძლებლობისა და გავრცელების პირობებში“².

ცნობილია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უაღრესად პრინციპულ შეფასებას აძლევს მექრთამეობის ყოველ ფაქტს და მოუწოდებს პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, პირველ რიგში სამართალდაცვით ორგანოებს უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადონ საბჭოთა ცხოვრების წესის ამ უცხო მოვლენას. სრულიად შეუწყნარებლად ჩაითვალოს ის რომ ზოგან ჯეროვნად არ აფასებენ მექრთამეობის სოციალურ საშიშროებას.

ბოლო ხანს რესპუბლიკაში მხილებულია ბევრი თანამდებობის პირი, რომლებსაც ბრალად ედებათ მექრთამეობა. მაგრამ მახვილი ჯერ კიდევ მიმართული არ არის მსხვილი მექრთამეების წინააღმდეგ. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის გამოკვლევით მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთა 46,6 პროცენტს ქრთამად აღებული აქვს 200 მანეთზე ნაკლები თანხა. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ აუცილებელია გააქტიურდეს ბრძოლა, რათა მხილებულ იქნენ მსხვილი მექრთამეები, მათ შორის თვით სამართალდაცვით ორგანოებში მოკალათებული გამომძაღველებიც, რომლებიც თავისი მოქმედებით სახელს უტეხავენ საბჭოთა სახელმწიფოს, ხელყოფენ მისი აპარატის გამართულ მუშაობას.



იგივე ითქმის განათლების და საფინანსო სისტემის ზოგიერთი მუშაკის მიმართაც. აქ უახლოეს ხანში სრული წესრიგი უნდა დამყარდეს.

პარტიული აქტივის კრებამ წინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროებს, პროკურატურისა და სახალხო სასამართლოს ორგანოებს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა განამტკიცონ და განაახლონ კადრები, გაწმინდონ თავიანთი რიგები მორალურად მერყევი, სახელგატეხილი, არაკომპეტენტური თანამშორმღებისაგან. სრულიად შეუწყნარებელია სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა მექრთამეობის ცალკეული ფაქტებიც კი, ვინაიდან ეს ხელს უშლის მთელ იმ მუშაობას, რომელიც რესპუბლიკაში წარმოებს მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად.

მართლმსაჯულების განხორციელებაში დიდი საბჭოთა ადვოკატურის როლი. ადვოკატები ეხმარებიან საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს საქმეზე კეშმარიტების დადგენაში, კანონიერი გადაწყვეტილების მიღებაში, ამიტომ შეუწყნარებელია, როდესაც ზოგიერთი ადვოკატი არღვევს საადვოკატო ეთიკას, ცუდად ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას, მოქმედებს არაკეთილსინდისიერად და ანგარებით. ასეთი საქციელისათვის მარტო შარშან რესპუბლიკის ადვოკატურის სისტემიდან გამოყვანილი და გარიცხულია შვიდი ადვოკატი, დაისაჯა 12.

სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ ხაზგასმით ითქვა ჯერ კიდევ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმზე. მას დიდი ყურადღება დაეთმო პარტიულმა აქტივმაც.

რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის გააქტიურების შედეგად ბოლო ხანს გაიზარდა სპეკულაციის გამოვლენის ფაქტები. მაგრამ მის აღსაკვეთად განხორციელებულ ღონისძიებებს ჯერჯერობით ვერ მოაქვს სასურველი შედეგები. იშვიათი როდია როდესაც სახალხო სასამართლოებს სპეკულანტების მიმართ გამოაქვთ აშკარად ლმობიერი განაჩენები. ხშირად გამოყენებული არ არის სასჯელის დამატებითი ღონისძიებანი. ყოველივე ეს ხელს უშლის სპეკულაციის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას.

პარტიული აქტივის კრებაზე დიდი ყურადღება დაეთმო აგრეთვე ისეთ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას, როგორც არის ბინებისა და ავტომანქანების ქურდობა, ნარკომანია. განხორციელებული ღონისძიებანი ამ დანაშაულობათა თავიდან ასაცილებლად ჯერ კიდევ ვერ იძლევა სათანადო ეფექტს. ამ მუშაობის არსებით ნაკლოვანებად მიჩნეულია ის, რომ ნარკომანიისა და ქურდობის პრობლემები ერთობლივად, კომპლექსურად არ წყდება სამართალდაცვითი ორგანოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, უმალღესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროების, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ. ეს კი მათი პირდაპირი მოვალეობაც არის, ვინაიდან ამ დანაშაულს ხომ მოზარდები და ახალგაზრდები სჩადიან. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით ითქვა, რომ სამართალდაცვითი საქმიანობის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ასპექტია ახალგაზრდებთან მუშაობა. მთელი აღმზრდელობითი საქმიანობა ახალგაზრდობასთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული, მოზარდთა შორის სამართალდარღვევათა თავიდან აცილების, უკუბრუნების და ქალიშვილებთან მუშაობის გაძლიერების ღონისძიებებთან. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდობის ზნეობრივი და სამართალდებრივი აღზრდის საკითხებსაც.

გამოითქვა შემფოთება იმის გამო, რომ ჯერ კიდევ დიდია დანაშაულობანი, რომლებიც ჩადენილია საყოფაცხოვრებო ნიადაგზე, აგრეთვე ავტოსაგზაო შემთხვევები, რომლებიც ყოველწლიურად ასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს. ამ პრობლემების გადაწყვეტაში ჯეროვნად და ეფექტიანად არ მონაწილეობენ სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, მათი საზოგადოებრივი ფორმირებანი, დეპუტატები, მუდმივმოქმედი კომისიები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საყრდენი პუნქტები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები. სახალხო დეპუტატების საბჭოები უფრო სრულად უნდა იყენებდნენ კანონით მინიჭებულ თავიანთ უფლებებს, დეპუტატებს და აქტივს დასახლებულ პუნქტებში მართლწესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, მოსახლეობის დასარაზმავად მექრთამეობის, სპეკულაციის, ქურდობის და მაჭინატორების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

პარტიული აქტივის კრების მსჯელობის საგანი გახდა აგრეთვე სხვა ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა როდია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში. ნამდვილად დიდი, შეუზოვარი და დაძაბული მუშაობა გვმართებს, რათა სამართალდაცვითი ორგანოების ყველა რგოლში მტკიცე კომუნისტური წესრიგი დავამყაროთ, მივადლოთ სახელმწიფო, საგეგმო, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას. 1984 წელი უნდა გადაიქცეს ძირეული გარდატეხის წლად დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში, ამ საქმეში წარმატებათა მოპოვების ახალი ეტაპის დასაწყისად.

სამართალდაცვითს ორგანოებში საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეთა მიღება, მათი საჩივრებისა და განცხადებების განხილვა და მათში აღძრული საკითხების გადაწყვეტა. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობა ბევრი უსწორო გადაწყვეტილების, მოქალაქეთა კანონიერი თხოვნისა და მიმართვების გადაწყვეტის გაჭიანურების მიღმა იმალება სერიოზული ბოროტმოქმედება, ან უკანონო გასამრჯელოსა და ქრთამის მიღების ცდა. ამიტომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის სტილის სრულყოფას, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოების და სახალხო სასამართლოების მუშაობაში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა აღმოფხვრას.

წლეულს იანვარში 60 წელი შესრულდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალებიდან. უკვე ექვსი ათეული წელია საბჭოთა ხალხი ულენინოდ ცხოვრობს და იბრძვის კომუნიზმის ნათელი იდეალების ხორცშესახსნელად. ვ. ი. ლენინი მუდამ გვასწავლიდა, რომ მიღწეულის შეჯამებასთან ერთად კომუნისტებმა საქმიანად უნდა განიხილონ მორიგი ამოცანები, ყურადღება გაამახვილონ გადაუჭრელ პრობლემებზე, არსებულ ნაკლოვანებებზე, დასახონ და განახორციელონ მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი.

ექვი არ არის, რომ რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომელიც ამ სულისკვეთებით მიმდინარეობდა, მისი რეკომენდაციები დიდ როლს შეასრულებს დამნაშავეობასთან ბრძოლის გაუმჯობესებაში. სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობები, რომლებიც ამ ბრძოლის წინა ხაზზე არიან, თავიანთ წვლილს შეიტანენ დამნაშავეობის შემცირებაში, მთელ თავის ძალისხმევას მოასმარენ დიადი მიზნის განხორციელებას — კომუნიზმის მშენებლობას.



დანაშაულებრივი ქმნის და პოლიომოტივაცია

თ. ანდულაძე

მოტივი, მიზანი და ქცევის სხვა ამგვარი მომენტები ფსიქოლოგიის კვლევის სფეროს განეკუთვნება. ადამიანის ქცევით დაინტერესებული სხვა მეცნიერებანი ამ ცნებებს იყენებენ საკუთარი მიზნებისათვის. მაგალითად, დანაშაულის კვალიფიკაციის და სასჯელის შეფარდების დროს სისხლის სამართალში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი ქცევის მოტივისა და მიზნის დადგენას.

ცნობილია, რომ არსებობს ორი სახის ქცევა — იმპულსური და ნებისმიერი. იმპულსური ქცევა აქტიური მოთხოვნილების იმპულსით აღიძვრება. საკმაოდ გავრცელებული შეხედულებით, იმპულსური ქცევის მოტივს წარმოადგენს სიამოვნება, რომელიც ქცევის მიმდინარეობის პროცესს თან ერთვის. ხულიგნობა ტიპური მაგალითია იმპულსური ქცევისა.

განსხვავებით იმპულსური ქცევისაგან, „ნებისმიერი ქცევა არასოდეს აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსს არ ემყარება“¹. ნებისმიერი ქცევა აღიძვრება ნებისყოფით „მე“-ს აქტიურობით. პიროვნება ამ დროს ქმნის არა იმას, რაც ამ წუთში უნდა, არამედ იმას, რაც მას ოდესმე დასჭირდება, ან კიდევ სჭირდება, ან დასჭირდება სხვას.

ნებისმიერი ქცევის მოტივს წარმოადგენს ობიექტური ღირებულება, რომელიც მხოლოდ აზრის (და არა ემოციის) ფორმით ეძლევა ქცევის სუბიექტს. ობიექტური ღირებულებანი ფილოსოფიის კვლევის სფეროში შედის. ჩვენ ობიექტურ ღირებულებაში ვდებთ ფსიქოლოგიურ შინაარსს, „აქ მნიშვნელობა არა აქვს, მოცემული მიზნის შინაარსი მართლა ატარებს თუ არა ობიექტურ ღირებულებას, რომელსაც მას სუბიექტი მიაწერს. მთავარი ისაა, რომ თვითონ ნებისყოფის სუბიექტი დარწმუნებულია, რომ, რასაც იგი აკეთებს და ქმნის, უეჭველად ობიექტურ ღირებულებას წარმოადგენს“². ამავე დროს ქცევის სუბიექტი შეიძლება მოქმედებდეს არა საყოველთაო ღირებულების შექმნის მოტივით, არამედ შესაძლებელია ერთი ადამიანის გულისთვის. ასეთი ქცევა ფართო საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგაც შეიძლება იყოს მიმართული, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ სუბიექტი არ მოქმედებს საკუთარი მომენტური, აქტიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით და მის საფუძველზე.

ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ნებისმიერი ქცევის მოტივი და მიზანი: მიზანში გვეძლევა ის, თუ რა უნდა ადამიანს, მოტივში კი — რატომ უნდა, რა საზრისი დევს ამ მიზანში.

ადამიანის ქცევა შეიძლება „აღიძრას“ ერთი მოტივით, მაგრამ, ჩვენი

1 დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1964. გვ. 181.

2 შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, 1958, გვ. 262.

აზრით, არ არის გამორიცხული ე. წ. პოლიმოტივაციური (რამდენიმე მოტივით განპირობებული) ქცევა. ჩვენი კვლევის მიზანია დანაშაულებრივი ქცევის პოლიმოტივაციის საკითხის გარკვევა. კერძოდ, შევეცდებით გავარკვიოთ, როგორი მიმდინარეობა აქვს პოლიმოტივაციურ დანაშაულებრივ ქცევას და როგორ უნდა მოხდეს ასეთი დანაშაულის კვალიფიკაცია.

მოტივს, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მივანიჭეთ ქცევისათვის აზრის მიმცემი ფუნქცია. ამ გაგებით მოტივი ცნობიერებას უკავშირდება. მაგრამ ჩვენ არ გამოვრიცხავთ ე. წ. არაცნობიერ მოტივაციურ პროცესებსაც (ცნების სპეციალური მნიშვნელობით), მით უმეტეს პოლიმოტივაციურ ქცევაში. ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა დავადგინოთ: 1) რა არის ცნობიერება, ცნობიერების რა გაგებას ვემყარებით ჩვენ და 2) რა ფუნქციას უნდა ასრულებდეს არაცნობიერის ცნება სისხლის სამართალში მოტივაციის საკითხთან დაკავშირებით.

დ. უზნაძე ცნობიერებას განიხილავს როგორც პროცესს „თავში, ცნობიერება, — აღნიშნავს იგი, — სუბიექტის მთლიანი მდგომარეობის ასახვას წარმოადგენს: აქ იგი სუბიექტურია და მთლიანობითი. ბოლო საფეხურზე კი, პირიქით, იგი ობიექტური სინამდვილის დიფერენცირებული მრავალფეროვნების ასახვას ესწრაფვის. აქ იგი ობიექტურია და განაწევრებული. ცნობიერების ჩვეულებრივი მუშაობა ამ ორს, ურთიერთის საწინააღმდეგო პოლუსს შუა მიმდინარეობს“³.

ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, ფ. ვ. ბასინი და სხვები არაცნობიერ ფსიქიკურად მიიჩნევენ განცდას. როგორც დ. უზნაძე მიუთითებს, „არაცნობიერი შეგრძნება, არაცნობიერი აღქმა, გრძნობა და ნებელობა სრულიად სამართლიანად ითვლება შინაგანი წინააღმდეგობის აუცილებელ ნიშნულად“⁴.

სისხლის სამართალი, ეთიკის მსგავსად, დაინტერესებულია ადამიანის ქცევით, ამიტომ ცნობიერებისა და არაცნობიერის საკითხი საჭიროა ქცევისათან მიმართებით განვიხილოთ.

ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ 1) ქცევის მიმდინარეობის გაცნობიერება-გაუცნობიერებლობა, 2) ბრალის გაცნობიერება-გაუცნობიერებლობა და 3) ქცევის გამომწვევი მიზეზების გაცნობიერება-გაუცნობიერებლობა. პირველი საკითხი მოქმედებებსა და ქცევის ინსტრუმენტარიებს უკავშირდება, მეორე სუბიექტისათვის ქცევის სოციალური პლანით გააზრებას, ზოლო მესამე — სუბიექტისათვის ქცევის დასაბუთებულობას — საზრისს, მოტივს და განწყობას. წინამდებარე სტატიის მიზანია მესამე საკითხის გარკვევა. მაგრამ პირველი და მეორე საკითხების გარკვევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს მესამე საკითხისათვის. ამიტომ საჭიროა ძალიან მოკლედ შევეხოთ მათ. ადამიანის ქცევაში (ა. ნ. ლეინდიევი, ზ. ხოჯავა, შ. ჩხარტიშვილი და სხვები) გამოყოფენ ფორმალურ სტრუქტურულ მომენტებს, რომელსაც, ჩვენი აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლისთვისაც. ვიდრე დასახულ მიზანს მიაღწევდეს, მანამდე ადამიანს უამრავი მოქმედების განხორციელება უხდება. თავის მხრივ ამ მოქმედებებს ადამიანი გარ-

³ დ. უზნაძე, შრომები, ტ. III, IV, 1964, გვ. 119.

⁴ დ. უზნაძე, იმპერსონალია, „ჩვენი მეცნიერება“, 1923, გვ. 6.

კვეული ოპერაციების საფუძველზე ახორციელებს. ე. ი. ქცევა შედგება მოქმედებებისაგან, ხოლო მოქმედებათა „საშენ მასალას“ წარმოადგენს ოპერაციები. ადამიანის მოქმედებას აზრს აძლევს ქცევის მოტივი. ქცევის მოტივის გარეშე მოქმედებები მოკლებულნი იქნებიან ყოვლგვარ აზრს.

ადამიანი საკუთარ მოქმედებებს ან წინასწარ, ქცევის დაწყებამდე აცნობიერებს, ან ქცევის მიმდინარეობის პროცესში, ან ორივე შემთხვევაში გაუფრთხილებელი ბრალის დროს ადამიანმა მთელი ქცევის მანძილზე შეიძლება მხოლოდ ერთი მოქმედება ან ერთი ოპერაცია განახორციელოს ისეთი, რომელიც გამოიწვევს დანაშაულებრივ შედეგს.

საჭიროების შემთხვევაში სუბიექტი აცნობიერებს იმ მოქმედებებსა და ოპერაციებს, რომლებითაც ხორციელდება ქცევა და თავისთავად აცნობიერებს მთელ ქცევასაც. ქცევისა და მისი მომენტების ამგვარი გაცნობიერება მიზნის მიღწევისთვისაც აუცილებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაცნობიერებაში ჩვენ არ ვგულისხმობთ იმას, თითქოსდა მთელი ქცევის მანძილზე ადამიანი უნდებოდეს მოცემული ქცევის აქტების გაცნობიერებას. უამრავლეს შემთხვევაში ადამიანი წინასწარ აცნობიერებს, წინასწარ ადგენს მომავალი ქცევის გეგმას, რის შემდეგაც მის ცნობიერებას სხვა შინაარსები იკავებენ, მაგრამ მის მიერ დაგეგმილი ქცევის პრაქტიკული მოქმედებანი მაინც ხორციელდება. ადამიანი რომ ყოველთვის უშუალოდ მოცემული ცნობიერებით მოქმედებდეს, მაშინ იგი მხოლოდ იმას გააკეთებდა, რაც მას მოცემულ მომენტში ცნობიერებაში ექნებოდა.

საკუთარი ქცევის მიმდინარეობის გაცნობიერებას უკავშირდება (მაგრამ მისით არ ამოიწურება) ასევე საკუთარი ქცევის მართლზომიერება-არამართლზომიერების გაცნობიერება. მაგალითად, ადამიანი აცნობიერებს თავისი ქცევის მიზანს, მისი მიღწევის საშუალებებს, მაგრამ არ აცნობიერებს საკუთარი ქცევის მართლზომიერება-არამართლზომიერებას. ეს არის საკითხი ბრალის გაცნობიერების შესახებ⁵. საბჭოთა კანონმდებლობა, ცხადია, პირს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, როცა მას შეეძლო (იყო ამის ობიექტური პირობები), გაეცნობიერებინა თავისი ქცევის საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა, მაგრამ მან ეს არ ქნა. გაუფრთხილებელი ბრალის ისეთი ფორმის დროს, როგორც არის დაუდევრობა, პირი წინასწარ არასოდეს არ აცნობიერებს თავისი ქცევის მოსალოდნელ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს (ამით ის არ ათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან), მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში უმეტესად პირი აცნობიერებს ქცევის მიზანს და მისი მიღწევისათვის საჭირო ოპერაციებსა და მოქმედებებს. ამიტომ ქცევის მიმდინარეობის გაცნობიერება და ბრალის გაცნობიერება დანაშაულებრივი ქცევის სრულიად სხვადასხვა მომენტებია. მსგავს შემთხვევასთან შეიძლება გვქონდეს საქმე განზრახი დანაშაულის დროსაც. პირი შეიძლება ზედმიწევნით კარგად აცნობიერებდეს საკუთარი ქცევის მიმდინარეობას, მაგრამ არ გააცნობიეროს ამ ქცევის საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი დონე, ან საერთოდ მართლწინააღმდეგობა, თუმცა კი უნდა სცოდნოდა და გაეცნო-

⁵ ბრალის გაცნობიერებაში ჩვენ ვგულისხმობთ დანაშაულის ცოდნას საკუთარი ქცევის დანაშაულის შესახებ, ან ცოდნას იმისას, რომ მის ქცევას შეიძლება მოჰყვეს დანაშაულებრივი შედეგი.

შიერებინა, რომ ასეთი ქცევა კანონით დანაშაულად ითვლებოდა (იურიდიული შეცდომა). აქაც საკუთარი ქცევის სტრუქტურული მომენტები, მიზნისა და მოტივის გაცნობიერება და ბრალის გაცნობიერება ერთმანეთს არ ემთხვევა.

ქცევის მიმდინარეობის გაცნობიერება და ბრალის გაცნობიერება შეიძლება ერთდროულად ერთი ქცევის შიგნით გვექონდეს, როცა სუბიექტი აცნობიერებს მიზანს, მიზნის მიღწევის საშუალებებს, მოტივს და ამავე დროს აცის, რომ მისი ქცევა დანაშაულებრივია.

ქცევის ბუნებრივი რეზულტატები, როგორც ცნობილია, უმრავლეს შემთხვევაში გაცილებით ფართოა, ვიდრე ეს სუბიექტს ჰქონდა მიზნად დასახული. დანაშაულებრივი ქცევის სუბიექტს შეიძლება სხვადასხვა შინაარსის მიზნები ჰქონდეს. კერძოდ, ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ისეთი ქცევები, როცა სუბიექტს აქვს დანაშაულებრივი მიზანი და როცა მას არა აქვს დანაშაულებრივი მიზანი. გაუფრთხილებელი ბრალის, როგორც თვითიმედოვნების, ისე დაუდევრობის დროს სუბიექტს არასოდეს არა აქვს დანაშაულებრივი მიზანი. დანაშაულებრივი მიზანი არა აქვს ასევე სუბიექტს ბრალის ისეთი ფორმის დროს, როგორც არის არაპირდაპირი განზრახვა. მართალია, სუბიექტი ამ დროს შეგნებულად უშვებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ დადგება თუ არა ასეთი შედეგი, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დამნაშავეისათვის, სხვაგვარად, სუბიექტს არა აქვს მოთხოვნილება, მისწრაფება, სურვილი დანაშაულებრივი შედეგის დადგომისა. მისი დამოკიდებულება შედეგისადმი ინდიფერენტულია.

სულ სხვა სურათი გვაქვს ბრალის ისეთი ფორმის დროს, როგორც არის პირდაპირი განზრახვა. ამ დროს სუბიექტი დაინტერესებულია ქცევის შედეგით.

ზემოაღნიშნული წანამძღვრების გარკვევის შემდეგ მიუხაზლოვდით ჩვენს ძირითად მიზანს, კერძოდ, შეიძლება თუ არა დანაშაულებრივი ქცევა განპირობებული იყოს რამდენიმე მოტივით.

დ. უზნაძე⁶ მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ქცევები ერთმანეთისაგან მოტივებით განსხვავდებიან. მართლაც, გარეგნულად ერთი და იგივე ფიზიკური ქცევა, მაგალითად, განზრახ მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით და განზრახ მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადამეტებით, სრულიად სხვადასხვა ქცევებია, ისინი მიუხედავად გარეგნული (ფიზიკური) მსგავსებისა, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათი მოტივების მიხედვით. სწორედ ამის გამო პირველი წარმოადგენს მძიმე დანაშაულს, ხოლო მეორე — მართლზომიერ ქცევას.

შემდგომში საბჭოურ ფსიქოლოგიაში გაჩნდა აზრი მრავალმოტივიანი, ე. წ. რთული ქცევების შესახებ. მაგალითად, სასწავლო ქცევის მოტივაციის კვლევისას ლ. ი. ბრეჟოვიჩი, პ. გ. იაკობსონი, ლ. ბ. იტელსონი, ს. ლ. რუბინშტეინი და სხვები გამოყოფენ მოტივების ორ კლასს, შემეცნებითსა და სოციალურ მოტივებს, მიუთითებენ ერთ ან რამდენიმე მოტივზე, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სასწავლო ქცევა. ამავე საკითხს ეხებიან ვ. ვ. რეპ-

⁶ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1964, გვ. 211.

კინი და კ. კ. ღუსავიცი¹. ისინი მიუთითებენ ყოველგვარი ადამიანური ქცევის პოლიმოტივაციურობაზე.

დანაშაულებრივ ქცევას შეიძლება აზრს აძლევდეს როგორც იმპულსური, ისე ნებისმიერი ქცევის მოტივი. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა პიროვნების წინაშე ერთდროულად დგება ნებისმიერი და იმპულსური ქცევის შესაძლებლობანი და ორივეს განხორციელება ერთდროულად, ერთი და იმავე მოქმედების გზითაა მოსახერხებელი. „ასეთ შემთხვევაში ერთსა და იმავე ფსიქოფიზიკურ აქტიურობას ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული წყარო, მოტივი და მიზანი ექნება, რის გამოც საქმე გვექნება ორ ქცევასთან, რომელთა დროში მიმდინარეობა და განხორციელების გზები ძირითადად დაემთხვა ერთმანეთს“². ცხადია, ადამიანი ამ შემთხვევაში ორი მოტივის საფუძველზე ორ მიზანს ახორციელებს.

ადამიანის ქცევას შეიძლება საფუძველად ედოს რამდენიმე მოტივი, მაგრამ მათ შორის ერთი იყოს ძირითადი, წამყვანი, რომლის გათვალისწინებითაც ფაქტობრივად ხორციელდება ქცევა. თუკი ასეთ ქცევას გარდა ძირითადი მოტივისა ჩამოვაცილებთ სხვა დანარჩენ მოტივებს, მას (ქცევას) მაინც განახორციელებს სუბიექტი, მაგრამ თუ მას (ქცევას) ჩამოვაცილებთ ძირითად მოტივს, ცხადია, სუბიექტი ხელს აიღებს ქცევის განხორციელებაზე. მაგალითად, ავიღოთ ასეთი შემთხვევა: ა-მ სისხლის ალების ნიადაგზე მოკლა ბ. მის ქცევას ამავე დროს აზრს აძლევდა ისიც, რომ ბ-ს მოკვლის შემდეგ ა-ს შესაძლებლობა ეძლეოდა დაუფლებოდა ბ-ს ქონებას. ა-ს რომ სისხლის ალების მიზანი არ ჰქონოდა, ის ბ-ს მხოლოდ ქონების დაუფლების მიზნით არ მოკლავდა. ასევე შეიძლება თეორიულად დაუშვათ ასეთი მომენტი. რამდენიმე მოტივს ქცევის სუბიექტისათვის შეიძლება იმდენად თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ ერთ-ერთი მოტივის მოხსნამ სუბიექტს ააღებინოს ხელი დანაშაულებრივ ქცევაზე. საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებმა აუცილებლად უნდა დაადგინონ დანაშაულებრივი ქცევის ყველა მოტივი და მიზანი. ეს აუცილებელია როგორც დანაშაულის კვალიფიკაციის, ისე სასჯელის შეფარდებისათვის.

ფორმის მიხედვით მოტივები შეიძლება ორგვარი იყოს: ცნობიერი მოტივები და არაცნობიერი მოტივები. ზოგჯერ დამნაშავეს შეიძლება არ ჰქონდეს გაცნობიერებული თავისი ქცევის ნამდვილი მოტივები. თუ ასეთ ქცევას გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ სუბიექტის მიერ ჩადენილ დანაშაულს საფუძველად უდევს არა ის მოტივი, რომელსაც თვითონ მიუთითებს, არამედ სულ სხვა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ორი გარემოებით:

1) ზოგჯერ დამნაშავისათვის იმდენად მიუღებელია დანაშაულებრივი ქცევის ნამდვილი მოტივი, რომ იგი ამ მოტივს ცნობიერებიდან განდევნის და თვითონაც არწმუნებს თავის თავს, რომ მის ქცევას აზრს აძლევდა სხვა მოტივი.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ამგვარი მოტივების შესახებ. ასე, მაგალითად, უ. შტერნი და ნ. აში მოჩვენებით

¹ В. В. Репкин, А. К. Дусавицкий, О потребностной основе учебной деятельности, в сборнике: «Проблемы формирования социальных потребностей», Тб., 1974, стр. 193—196.

² შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974, გვ. 220-221.



Schcinmotive უწოდებენ ისეთ მოტივებს, რომლებზეც მიუთითებს სუბიექტი, მაგრამ ფაქტობრივად მისი ქცევა სხვა მოტივით არის აღძრული. ამ მოსაზრებებს ანალიზებს შ. ჩხარტიშვილი და აღნიშნავს: „პატივმოყვარეობით, შურიითა და ღვარძლით შეპირობებულ ქცევას ბუნებრივად ისეთი შედეგიც მოსდევს ზოგჯერ, რომელთაც დადებითი საზოგადოებრივი ღირებულება აქვთ. სწორედ ეს ღირებულება გამოდის თითქოსდა მოტივის სახით ცნობიერების წინა პლანზე, მაშინ, როცა სუბიექტი მისთვის ნამდვილად არაფერს აკეთებს“⁹.

2) არის ასევე ისეთი შემთხვევებიც, როცა დამნაშავემ არათუ განდევნა ცნობიერიდან თავისი ქცევის ნამდვილი მოტივი, არამედ საერთოდ არ გაუცნობიერებია ის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხები არ არის სათანადოდ დასმული და დამუშავებული საბჭოთა-სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში.

დანაშაულებრივი ქცევა შეიძლება ერთდროულად განპირობებული იყოს როგორც გაცნობიერებული მოტივებით, ასევე გაუცნობიერებელი მექანიზმებით. ამ უკანასკნელს, ჩვენი მსჯელობის საფუძველზე, მოტივს ვერ ვუწოდებთ, რადგანაც მოტივად ჩვენ მივიჩნით საზრისი, ის, რაც ადამიანს ცნობიერებაში ეძლევა. ქცევის ისეთი მომენტები, რომლებიც ცნობიერებაში არ არის პრეზენტირებული, ე. ი. ან განდევნილია ცნობიერებიდან, ან საერთოდ არ ყოფილა ცნობიერებაში, ცხადია, ერთი და იმავე ცნებით არ უნდა აღინიშნოს, ამდენად ცნება „არაცნობიერი მოტივი“ პირობითია. თუმცა კი ისინი ქცევისადმი ცნობიერი მოტივების მსგავს ფუნქციას ასრულებენ.

„არაცნობიერი მოტივები“ — ეს არის ქცევის საფუძვლად მდებარე არაცნობიერი მექანიზმები, ქცევის არაცნობიერი ფაქტორები, აღმძვრელები, რომლებიც თუ არ იქნენ ჩართულნი აქტუალურ, მომენტურ, პირველადს განწყობაში, ისე თავისთავად უშუალოდ ქცევას ვერ აღძრავენ.

კრიმინოლოგები დამნაშავის ოჯახის, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების, საცხოვრებო გარემოსა და წარსული საქმიანობის კვლევით ფაქტობრივად იკვლევენ იმ მოვლენებს, რომლებიც აისახება დამნაშავის ფსიქიკაში და გარკვეულ დაღს ასვამს მის სულიერ მრწამსს. დამნაშავე დანაშაულის ჩადენას უმეტესად ამ მოვლენებს არ უკავშირებს, მან არ იცის, არ აცნობიერებს მის ირგვლივ არსებულ მიკროსოციალურ პირობებს, როგორც მისი დანაშაულის ერთგვარ მიზეზს.

„ადამიანის სულიერი ცხოვრება უძირო მორევია, რომელიც ერთხელ მიღებულ შთაბეჭდილებას, ერთხელ განცილდ გრძნობას სამუდამოდ ადგილს უთმობს თავის უძირო კალაპოტში და მას უკვე არასოდეს არ ჰკარგავს“¹⁰. დანაშაულის დროს დამნაშავე შეიძლება დაარწმუნებული იყოს, რომ მის ქცევას აზრს აძლევს, რომელიმე გაცნობიერებული მოტივი, ეს მართლაც შეიძლება ასე იყოს, მაგრამ მისი დანაშაულებრივი ქცევის განწყობაში, როგორც ამ ქცევის უშუალო მიზეზში, აუცილებლად პოულობს ასახვას ზემოაღნიშნული არაცნობიერი მექანიზმები. ასეთ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქცევა ფაქტობრივად ცნობიერი და არაცნობიერი მექანიზმების ერთობლივი ზემოქმედე-

⁹ შ. შხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, 1974, გვ. 244.

¹⁰ დ. უზნაძე, სახალხო ფურცელი, 1914, № 153.

ბის შედეგად ხორციელდება. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშავე უმეტესად ვერ აცნობიერებს თავისი ქცევის ზოგიერთ მექანიზმს, ზოგიერთ გამომწვევ მიზეზს, მაგრამ იგი ყოველთვის აცნობიერებს, ან აქვს შესაძლებლობა გააცნობიეროს თავისი ქცევის მიმდინარეობა და მართლზომიერება — მართლწინააღმდეგობა. ცხადია, ჩვეულებრივ ცხოვრებაში ძნელი შესაძენეია ის არაცნობიერი მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ქცევას. უფრო მეტიც, თვითდაკვირვებაში ის საერთოდ არ გვეძლევა. თუ რას ვგულისხმობთ ჩვენ ქცევის გამომწვევი მექანიზმების, მიზეზების გაუცნობიერებლობაში და თვითონ ქცევის მიმდინარეობის და ამ ქცევის მართლზომიერება-მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებაში, ეს ნათლად ჩანს ე. წ. პოსტპიპნოზური ამნეზიის ფაქტებიდან. პიპნოზური ძილის მდგომარეობაში ცდის პირს აძლევენ პატაკის საფუძველზე დავალებას, რომ პიპნოზური ძილის მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, მაგალითად: დაიხუროს ქული. ცდის პირი, გამოვა რა პიპნოზური ძილის მდგომარეობიდან, მიდის და იხუროს ქულს, რომ შეეკითხოთ, რატომ იხურავო ქულს, მან შეიძლება ვერ გითხრათ ქულის დახურვის მიზეზი, ან გითხრათ, ქული იმიტომ დავიხურე, რომ შემცივდაო, და სხვა. მისი ქცევის მიზეზი—მექანიზმი არის პიპნოზური ძილის დროს მიცემული დავალება, მაგრამ ამის შესახებ ცდის პირს არაფერი არ ახსოვს, თუმცა ის ძალიან კარგად აცნობიერებს საკუთარი ქცევის მიმდინარეობას და მართლზომიერება-მართლწინააღმდეგობას. ცნობილია, რომ არათუ პოსტპიპნოზური ამნეზიის, არამედ პიპნოზური ძილის დროსაც კი ცდის პირები არ ასრულებენ ისეთ დავალებებს, რომლებიც მათ მორალურ მოთხოვნილებებს მკვეთრად ეწინააღმდეგება.

18013

პოსტპიპნოზური ამნეზიის დროს მოქმედება და ჩვეულებრივი დანაშაულებრივი ქცევა, ცხადია, სხვადასხვა კატეგორიის მოვლენებია, მაგრამ, ჯერ ერთი, ამ მაგალითში კარგად გამოჩნდა ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ქცევის მექანიზმის გაუცნობიერებლობას, ქცევის მიმდინარეობის გაცნობიერებას და ბრალის გაცნობიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა სწორედ მსგავსი მექანიზმები ედოს საფუძვლად ზოგიერთ დანაშაულებრივ ქცევას. ყოველ შემთხვევაში, დანაშაულებრივი ქცევის მიზეზთა შორის ამგვარი მომენტები უთუოდ გასათვალისწინებელი და ყურადსაღებია, განსაკუთრებით, კრიმინოლოგიური კვლევის დროს.

დანაშაულებრივი ქცევის გაუცნობიერებელი მექანიზმები გარკვეულწილად აისახა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის II ნაწილში, სადაც ნათქვამია: დანაშაულის ჩადენა მძიმე პირად ან ოჯახურ მდგომარეობათა დამთხვევის გამო. ამ საკითხის კომენტარისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია დანაშაული არც იყოს უშუალოდ დაკავშირებული მძიმე პირად ან ოჯახურ გარემოებებთან, დამნაშავე საერთოდ არ აცნობიერებდეს, არ ფიქრობდეს დანაშაულის ჩადენის დროს ამ გარემოებებზე, მაგრამ ეს გარემოებები უეჭველად აისახება სუბიექტის სულიერ სამყაროში და უეჭველად ერთგის სუბიექტის დანაშაულებრივი ქცევის განწყობაში, როგორც არაცნობიერი მექანიზმები, და გავლენას ასდენს მის ქცევაზე. სწორედ ამის გამო მიიჩნევა მას კანონმდებელი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმული და გაბატონებული შეხედუ-

ქ. მარჩაბის სსრ...

ლების თანახმად, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (მაგალითად, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და სხვა), სუბიექტის ქცევის მიზანი არ შეიძლება იყოს დანაშაულებრივი, დანაშაულებრივია მხოლოდ ის საშუალებანი, რომელთა მეოხებითაც სუბიექტი აღწევს მიზანს. უნდა აღინიშნოს, რომ ქცევის მიზნისა და მისი განხორციელების საშუალებების ერთმანეთისაგან მოწყვეტა არ იქნება გამართლებული, ვინაიდან ისინი ერთი მთლიანი ქცევის სტრუქტურულ მომენტებს წარმოადგენენ. მართალია, ამა თუ იმ ობიექტის მეცნიერული შემეცნება აბსტრაქციის გზით არის შესაძლებელი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოვლენას ანალიზის გზით აბსტრაგირებული მომენტი მოწყვიტოთ, ნაწილი მთელის კანონზომიერებიდან ხელოვნურად ამოგვლიჯოთ და მას ისეთი თავისთავადობა მივანიჭოთ, რომელიც მოცემული მთელის კანონზომიერებისაგან ფაქტობრივად უგულვებელყოფილი იქნება.

დ. უზნაძე, ლაბარაკობს რა გეგმიან ქცევაზე, აღნიშნავს: „გეგმიანი ქცევა ერთი მთლიანი, მაგრამ რთული ქცევაა: დასახულია ძირითადი მიზანი, გარკვეულია საშუალებები, რომლის დახმარებითაც ეს მიზანი უნდა იქნეს მიღწეული, და ეს საშუალებები, ცალკეული მოქმედებები, ერთი მეორეს ამზადებენ, ერთი მეორის პირობას წარმოადგენენ, ერთი მეორეს ექვემდებარებიან, ურთიერთთან ერთგვარ ჰიერარქიულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან და, ამდენად, ერთ რთულ სტრუქტურულ მთლიანად ერთიანდებიან“¹¹. ამ მსჯელობის საფუძველზე, ქცევის მიზანი და მიზნის მიღწევის საშუალებები ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ გვევლინება. როცა ადამიანი რეალურ მიზანს ისახავს, მისი მიღწევის საშუალებები მას ყოველთვის გათვალისწინებული აქვს. ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში მოტივაციის პროცესით და გადაწყვეტილების გამოტანით იქმნება ქცევის განწყობა. ამგვარ განწყობაში მოცემულია როგორც ქცევის მიზანი და მოტივი, ისე მისი განხორციელების გზები და ძირითადი საშუალებანი. ასე რომ, დანიშნულებრივი ქცევის მიზანი და მისი მიღწევის საშუალებანი ერთმანეთისაგან იზოლირებულად კი არ გვევლინება, არამედ ისინი ერთი მთლიანი განწყობის სტრუქტურაშია ჩართული და ამ მთელის საფუძველზე ხორციელდება.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს შემდეგი: დანაშაულებრივი ქცევა უმეტეს შემთხვევაში განპირობებულია არა ერთი, არამედ სხვადასხვა სახის ფორმისა და შინაარსის რამდენიმე მოტივით. დანაშაულებრივი ქცევა უშუალოდ აღიძვრება დანაშაულებრივი ქცევის განწყობით, რომელშიც მოცემულია როგორც ქცევის მიზანი, ისე მისი მიღწევის საშუალებანი.

სამოქალაქო დავების განხილვა შეხიარულ ვადაში

ა. გოლოვაილი


კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უფლებების განუხრელ დაცვას, ამ საქმეში სისამართლო ორგანოების როლის ამაღლებას¹.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად საბჭოთა სახელმწიფო, მისი ყველა ორგანო მოქმედებს სოციალისტური კანონიერების საფუძველზე და უზრუნველყოფს მართლწესრიგის, საზოგადოებრივი ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას (მუხლი მე-4). ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს სისამართლო წესით დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები ყოველგვარი ხელყოფისაგან. ეს არის მისი კონსტიტუციური უფლება, რომლის უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი აქვს დაკისრებული სისამართლოს. ამიტომ არის, რომ ბოლო ხანს ხორციელდება ღონისძიებანი მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების, მისი ეფექტიანობის გადიდების, სამოქალაქო დავების განხილვისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის აღმოფხვრისათვის.

სამოქალაქო-პროცესუალური კანონმდებლობით სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სამოქალაქო საქმეების სწრაფი განხილვა და გადაწყვეტა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი). მისი უზრუნველყოფა გარანტირებულია საპროცესო სამართლის მთელი რიგი ნორმებითა და ინსტიტუტებით.

სამოქალაქო-პროცესუალური კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ კატეგორიის საქმეების განხილვას, რომლებიც ეხება მოქალაქეების ძირითად საარსებო ინტერესებს. კონსტიტუციით დადგენილ და გარანტირებულ სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს. კერძოდ, სისამართლოში ისეთი დავების გადაწყვეტისათვის, რომლებიც შეეხება შრომის სამართლებრივ ურთიერთობებს, აგრეთვე დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მარჩენალის გარდაცვალების და

¹ იხ. სკკპ XXVI ყრილობის მასალები. თბ., 1981 გვ. 100-101; ე. ა. შვეარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, თბ., 1981, გვ. გვ. 115-117.



ალიმენტის გამო აღძრულ საქმეებს. კანონი ადგენს განსხვავებულ რეჟიმს. ეს ძირითადად ვლინდება სასამართლოს ორგანიზაციულ-ოპერატიულ საქმიანობაში და აგრეთვე; ა) მათი განხილვისა და გადაწყვეტის შემცირებულ ვადებში, ბ) მოპასუხეთა (მოვალეთა) სასამართლო შეტყობინებისა და გამოწვევის განსაკუთრებულ წესებში, გ) გადაწყვეტილების დაუყოვნებელ აღსრულებაში და დ) სამართალწარმოების განსაკუთრებულ ხელმისაწვდომობაში.

განვიხილოთ ეს ნიშნები ცალ-ცალკე.

1. საქმის განხილვის შემცირებული ვადები. სოციალისტური სახელმწიფოს პირველივე საპროცესო კოდექსებმა დაადგინეს შემცირებული ვადები შრომის სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვადების, აგრეთვე ალიმენტის საქმეებისათვის. ასე, მაგალითად, რუსეთის სფს რესპუბლიკის პირველ სამოქალაქო საპროცესო კოდექსს ჯერ კიდევ 1929 წლის 25 მარტის ბრძანებულებით დამატა 53-ე „ა“ მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ შრომის საქმეები სასამართლოში განხილულ უნდა იქნეს მათი შემოსვლიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა. ხოლო 1937 წლის 10 მაისის ბრძანებულებით მას დამატა 53-ე „ბ“ მუხლი, რომლითაც ალიმენტის საქმეები, თუ მოპასუხე იმავე რაიონში ან ქალაქში ცხოვრობდა, უნდა განხილულიყო არა უგვიანეს ათი დღისა საქმის შემოსვლიდან, სხვა შემთხვევებში კი არა უგვიანეს ოცი დღისა. ამავე კოდექსის 26-ე მუხლი ადგენდა ალიმენტის საქმეებზე მოპასუხეთა შეტყობინებისა და გამოწვევის გამონაკლის წესებს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხის ადგილსამყოფელი ცნობილი არ იყო, პროკურატურა სასამართლოს დადგენილების საფუძველზე იძლეოდა განკარგულებას მისი დაძებნის შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების მეშვეობით². როგორც ვხედავთ, სამართალწარმოების შემცირებული ვადები და მისი გარანტიები სამოქალაქო პროცესში განმტკიცებული იყო საბჭოთა წესისუფლების პირველივე სამოქალაქო პროცესუალური კანონმდებლობით.

ამჟამად მოქმედა სამოქალაქო-პროცესუალური კანონმდებლობით საქმეთა განხილვის ვადები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ა) კანონით დადგენილ და ბ) სასამართლოს მიერ დადგენილ ვადებად. მათი იურიდიული ბუნება განსხვავებულია. თუ კანონით დადგენილი ვადები იმპერატიულია, საპროცესო ვადების მეორე ჯგუფი დისპოზიციურია, მათ სასამართლო ადგენს თავისი შეხედულებით ამა თუ იმ პროცესუალური მოქმედების შესასრულებლად.

იმპერატიული ვადები არ შეიძლება შეიცვალოს სასამართლოსა და მხარეთა შორის შეთანხმებით, მათი დაცვა სავალდებულოა როგორც სასამართლოსათვის, ისე მხარეებისა და საქმეში მონაწილე სხვა პირებისათვის. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, „საქმეები ალიმენტების გადახდევინების შესახებ, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება და შრომითი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების შესახებ, თუ მხარეები ერთ ქალაქში ან

² რუსის სამოქალაქო-პროცესუალური კოდექსი, რომელზეც საკვირო ცაქმა მიიღო 1923 წლის 7 ივლისს, ხოლო მოქმედოდ შემოღებულ იქნა იმავე წლის 1 სექტემბრიდან.

რაიონში იმყოფებიან, პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა განიხილოს არაუგვიანეს ათი დღისა, ხოლო სხვა შემთხვევებში არაუგვიანეს ოცი დღისა განცხადების მიღების დღიდან. დანარჩენი სამოქალაქო საქმეები განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა განცხადების მიღების დღიდან“.

ამრიგად, კანონი ადგენს სამოქალაქო საქმეების განხილვის საერთო და შემცირებულ ვადებს. საქმეთა შემცირებულ ვადებში განხილვის დროს პროცესი წარმოებს დაჩქარებულად. აღსანიშნავია, რომ კანონით განსაზღვრულია ამავე წესით სხვა კატეგორიის საქმეების განხილვაც. მაგალითად, სასამართლოები საჩივრებს განიხილავენ: ამოკრჩეველთა სიებში უსწორობის შესახებ არა უგვიანეს სამი დღისა მისი მიღების დღიდან (საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლი), ხოლო ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებაზე ათი დღის ვადაში (საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლი).

შემცირებული ვადები არ გულისხმობს სამოქალაქო პროცესის რაიმე გაუბრალოებას. იგი არ უგულებელყოფს სამართალწარმოების რომელიმე სტადიას ან რომელიმე საპროცესო პრინციპს. პირიქით, შემცირებული ვადების დროს აუცილებელია პროცესის ძირითადი საწყისების განუზრეგლი განხორციელება, კანონის ყველა მოთხოვნის ზუსტად შესრულება, მტკიცე პროცესუალური დისციპლინის და სასამართლოს მაღალი ორგანიზაციულ-ობერატიული საქმიანობის უზრუნველყოფა. სასამართლოში ამ კატეგორიის საქმეების განხილვის დროს უკლებლივ უნდა იქნეს გავლილი ყველა ის ეტაპი და სტადია, რომლებიც გათვალისწინებულია საერთოდ სამოქალაქო-პროცესუალური კანონმდებლობით.

2. მოპასუხეთა (მოვალეთა) სასამართლო შეტყობინებისა და გამოწვევის განსაკუთრებული წესი. სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მეორე ნაწილით, თუ ცნობილი არ არის მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე, სასამართლო მოვალეა გამოაცხადოს მოპასუხის დაძებნა მილიციის ორგანოების მეშვეობით. ამასთან საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, თუ ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე სასამართლომ სავალდებულოდ ცნო მოპასუხის გამოცხადება და იგი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა სასამართლოს მიერ არასაპატიოდ ცნობილი მიზეზების გამო, მოპასუხეს დააჯარიმებენ 10 მანეთამდე და სასამართლოში იძულებით მიიყვანენ.

როგორც ვხედავთ, ეს მუხლები ადგენენ გამოწვევის, მოპასუხის შეტყობინებისა და გამოწვევის საერთო წესიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ განსაზღვრული კატეგორიის საქმეების შემცირებულ ვადებში განხილვას. პრაქტიკაში კანონის ეს მოთხოვნები ირღვევა ხოლმე და ამის გამო თვეობით ჭიანჭურდება იმ საქმეთა სასამართლო განხილვა და გადაწყვეტა, რომლებისთვისაც კანონი აწესებს შემცირებულ ვადებს. ასე, მაგალითად; მოქალაქე ე-მ სარჩელით მიმართა სახალხო სასამართლოს და შოითხოვა, რომ მოქალაქე ა-ს დაკისრებოდა ალიმენტის გადახდა. ამ საქმის განხილვა პროცესზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო რამდენჯერმე გადაიდო ხანგრძლივი ვადით. სასამართლომ უგულებელყო 166-ე მუხლის მოთხოვნა და არ გამოიყენა მის მიმართ ჯარიმა, არ მიიყვანა იგი სასამართლოში იძულებით. ამან კი გამოიწ-

ვია საქმის განხილვის გაჭიანურება. იგი სასამართლოში ირჩეოდა რვა თვის განმავლობაში³.

საპროცესო კოდექსის 367-ე მუხლის მიხედვით, ალიმენტების გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეებზე, როდესაც მოვალის სამყოფელი ადვილი ცნობილი არ არის, მოსამართლეს გამოაქვს განჩინება მილიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნის შესახებ.

120-ე და 367-ე მუხლებით მოპასუხის (მოვალის) ძებნა მილიციის ორგანოების მეშვეობით დასაშვებია როგორც საქმის მომზადების სტადიაში, ისე საქმის სასამართლო გარჩევისა და გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაშიც. განჩინება ძებნის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს ეროპიროვნულად, საკუთარი ინიციატივით, ან დაინტერესებული პირის განცხადებით, ანდა სასამართლო აღმასრულებლის წარდგინებით. ასეთი განჩინება შეიძლება გამოიტანოს როგორც გადაწყვეტილების დამდგენმა სასამართლომ, ისე გადაწყვეტილების აღმსრულებელმა სასამართლომ.

მოპასუხის ან მოვალის ძებნა მილიციის ორგანოების საშუალებით დასაშვებია, როგორც მაშინ, როდესაც ალიმენტი ეკისრება მშობელს, ასევე სხვა შემთხვევებშიც (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-80, 84-ე, 85-ე, 87-ე, 88-ე, 89-ე და 90-ე მუხლები).

სამოქალაქო საქმეთა განხილვის შეპიცირებული ვადების უზრუნველყოფის უშუალო პროცესუალურ გარანტიას წარმოადგენს მხარეების, საქმეში მონაწილე სხვა პირების უფლება გაასაჩივრონ, ხოლო პროკურორმა გააპროტესტოს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება საკასაციო ინსტანციაში იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს განჩინება აბრკოლებს საქმის შემდგომ მსვლელობას (საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 პუნქტი). აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს საკასაციო ინსტანციაში გაასაჩივროს სასამართლოს განჩინება მოპასუხის ან მოვალის მილიციის მეშვეობით მოძებნის უარყოფის შესახებ.

3. გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულება. საქმეთა განხილვის შეპიცირებულ ვადებს არავითარი ეფექტი არ ექნება, თუ გაჭიანურდება სასამართლოს მიერ დადგენილი გადაწყვეტილების აღსრულება. ამიტომ კანონი ამ კატეგორიის საქმეებზე ადგენს გადაწყვეტილებათა დაუყოვნებელ, კანონიერ ძალაში შესვლამდე, აღსრულების წესს. კანონი განსაზღვრავს დაუყოვნებელი აღსრულების ორ სახეობას: ა) როდესაც დაუყოვნებელი აღსრულება პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით, ამ შემთხვევაში იგი იმპერატიულია და ბ) როდესაც იგი შეიძლება დაშვებულ იქნეს სასამართლოს შეხედულებით. ასეთი დაუყოვნებელი აღსრულება ფაქულტატურია.

საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების დაუ-

³ მაგალითი მოყვანილია თბილისის კალინინის რაიონის სახლბო სასამართლოს პრაქტიკიდან, არქივი, საქმე, № 2-466-80.

ოყოვნებელი აღსრულება აუცილებელია შემდეგი კატეგორიის საქმეებზე: ალიმენტის მიკუთვნების შესახებ; მუშის ან მოსამსახურისათვის არა უმეტეს ერთი თვის ხელფასის გადახდის შესახებ; არასწორად დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის წინანდელ სამუშაოზე ან თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილება დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ.

ჩვენი აზრით, გადაწყვეტილებათა დაუყოვნებელი აღსრულების ამ წესში საჭიროა ცვლილებების შეტანა. უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ იმპერატიული უყოვნებელი აღსრულება გავრცელდება დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებებზე ერთი თვის გადასახდელი თანხის ოდენობით.

გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულება, როგორც სავალდებულო, ისე ფაქულტატური, ფორმდება სასამართლოს დადგენილებით. იგი შეიძლება ჩართულ იქნეს სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან დადგინდეს ცალკე განჩინების სახით ნებისმიერ დროს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

4. სამართალწარმოების განსაკუთრებული ხელმისაწვდომობა. სამართალწარმოების ხელმისაწვდომობა არის სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპის კონკრეტული გამოვლინება. იგი ძირითადად განისაზღვრება სასამართლო ხარჯების მოცულობით. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში სასამართლო ხარჯები მცირეა. ამასთან ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე კანონი ათავისუფლებს დაინტერესებულ პირებს საქმის წარმოების ხარჯებისაგან.

სამოქალაქო-პროცესუალური კანონმდებლობა შემცირებულ ვადიან საქმეებზე აწესებს განსაზღვრულ შეღავათებს, რაც მნიშვნელოვნად აიოლებს სასამართლო დაცვის უფლების განხორციელებას. საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო შემოსავლის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლებიან მოსარჩელები: 1) მუშები და მოსამსახურეები ხელფასის გადახდევინებასა და შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე სხვა მოთხოვნათა სარჩელზე; 2) ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე; 3) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე, ე. ი. ყველა იმ სარჩელზე, რომელთა განხილვისათვის კანონი აღდგენს შემცირებულ ვადებს.

ამ კატეგორიის საქმეებზე სარჩელის წარდგენა შეიძლება როგორც მოპასუხის, ისე მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მოსარჩელის

შეხედულებისამებრ, საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლით დადგენილია, რომ სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ მოსარჩელემ შეიძლება წარადგინოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იმ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც გამოწვეულია დასახიჩრებით ან სხეულის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიყვდილით, მოსარჩელეს მიერ შეიძლება წარდგენილ იქნეს აგრეთვე მისი საცხოვრებელი ადგილის ანდა ზიანის მიყენების ადგილის მიხედვით. ასეთი წესი საგრძნობლად უადვილებს მოსარჩელეს მიმართოს სასამართლოს დარღვეული უფლებისა თუ კანონიერი ინტერესის დაცვის თხოვნით.

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო საქმეთა განხილვის შემცირებული ვადების საპროცესო უზრუნველყოფა განსხვავებულია წარმოების საერთო წესიდან. მისი მიზანია დააჩქაროს და განსაკუთრებულად ხელმისაწვდომი გახადოს მართლმსაჯულება გარკვეული კატეგორიის საქმეებზე. იგი უზრუნველყოფს სარჩელის წარდგენის მომენტის მაქსიმალურად დაახლოებას სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისა და აღსრულების მომენტთან, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი ღირსება ის არის, რომ გამორიცხავს პროცესის მონაწილეთა მრავალგზის უშედეგოდ მისვლას სასამართლოში, მათ მოცდენას მწარმოებლური შრომისაგან, რაც გაჭიანურებულ სამართალწარმოებას მოსდევს. დაჩქარებულ წარმოებას მიყვევართ სამოქალაქო პროცესის შემდგომი დემოკრატიზაციისაკენ. მისი შემდგომი დახვეწა და განვითარება უდავოდ ხელს შეუწყობს სამოქალაქო პროცესის ეფექტიანობის ამაღლებას, სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპის გაფართოებასა და განმტკიცებას.



რეკვიზიცია და მისი გამოყენება

3. სულსანიშვილი

განვითარებული სოციალიზმის პირობებში აუცილებელია ღრმად იქნეს გაანალიზებული პირადი საკუთრების უფლების ყველა ასპექტი, განსაკუთრებით კანონით დაცული ამ უფლებისა და სახელმწიფოს, აგრეთვე საზოგადოების ინტერესების ურთიერთკავშირის პრობლემა.

მესაკუთრეს უნდა ჩაუფუნერგოთ, რომ პირადი სიმდიდრე, არამარტომისი ინდივიდუალური შრომის, არამედ მთელი საზოგადოების შრომის შედეგია, რომ მის ქონებასაც სოციალური ღირებულება, საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და რომ მესაკუთრე ფლობს პირად ქონებას არა როგორც საზოგადოებისაგან იზოლირებული ინდივიდი, არამედ როგორც წევრი კოლექტივისა, რომლისათვისაც ყოველთვის არ არის სულ ერთი, როგორია მოქალაქის დამოკიდებულება პირადი ქონებისადმი¹.

პირადი საკუთრების უფლებას იცავს სახელმწიფო. ამასთან ერთად კანონით სახელმწიფოს შეუძლია მესაკუთრეს ჩამოართვას ქონება. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 31-ე მუხლი აღდგენს, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების გამო სახელმწიფოს შეუძლია მესაკუთრეს ჩამოართვას ქონება მისი ღირებულების გადახდით (რეკვიზიცია), აგრეთვე უსასყიდლოდ, როგორც სანქცია სამართალდარღვევისათვის (კონფისკაცია).

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების ამ მუხლის ტექსტიდან ჩანს, რომ მესაკუთრისაგან ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტი რეკვიზიციას აახლოებს კონფისკაციასთან. ამასთან ერთად მათ შორის არის არსებითი განსხვავებაც.

კონფისკაცია წარმოადგენს სანქციას სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის, რეკვიზიცია კი გამოიყენება კანონით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და სახელმწიფო ანაზღაურებს რეკვიზირებული ქონების ღირებულებას.

ცივილისტურ ლიტერატურაში რეკვიზიციას ჩვეულებრივ ამგვარად განსაზღვრავენ².

ასეთი განმარტება სრულყოფილი არ არის და არ შეესაბამება კანონმ-

¹ См. Маслов, В. Ф. Основные проблемы права личной собственности в период строительства коммунизма в СССР 1968 г., стр. 223—224.

² об. Г. Рясенцев В. А. Советское гражданское право, т. I, М., «Юрид. лит.», 1975; Красавчиков О. А. Советское гражданское право, т. I, М., «Высшая школа», 1968, с. 323.

დებლობას. ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის შესახებ კანონთა კრებულში³ რეკვიზიცია განსაზღვრულია როგორც სახელმწიფოს შესაძლებლობა სახელმწიფოებრივი აუცილებლობის ძალით მიმართოს არა მარტო იძულების წესით ანაზღაურებით გასხვისებას, არამედ აგრეთვე ქონების დროებით ჩამორთმევას. ამიტომ უფრო სწორია რეკვიზიცია განისაზღვროს, როგორც მესაკუთრისაგან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ქონების იძულებით ჩამორთმევა მისთვის ღირებულების გადახდით ან დროებითი ჩამორთმევა.

რეკვიზიციას და კონფისკაციას აწესრეგებს ზემოთ ხსენებული კანონთა კრებული.

თანამედროვე პირობები არსებითად განსხვავდება იმ პირობებისაგან, როდესაც მიღებულ იქნა კანონი რეკვიზიციისა და კონფისკაციის შესახებ, დღეს ჩნდება ახალი, 1926 წლის კანონით გაუთვალისწინებელი საფუძვლები სახელმწიფოს მიერ ღირებულების ანაზღაურებით იმ ქონების ამოღებისა, რომლებიც ეკუთვნით მოქალაქეებს პირადი საკუთრების უფლებით.

საბჭოთა სახელმწიფო ყოველნაირად იცავს მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებას. ამავე დროს სახელმწიფოს არ შეუძლია დაუშვას მოქალაქეთა უყაირათო დამოკიდებულება ქონებისადმი, რომელსაც აქვს საზოგადოებრივი ფასეულობა, მაგალითად, სახლის ან სხვა ისეთი ქონებისადმი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ, ისტორიულ, მეცნიერულ, მხატვრულ ან სხვა ღირებულებას.

საცხოვრებელი სახლის (საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი) და კულტურულ ფასეულობათა (საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი) არასათანადოდ შენახვისა და გამოყენების შემთხვევაში კანონმდებლი ადგენს ამ ობიექტების ჩამორთმევის წესს, რადგან მათი დაცვა ევალება არა მარტო პირად მესაკუთრეს, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოებასაც, რადგან ილახება მათი ინტერესებიც. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით, საცხოვრებელი სახლისადმი უყაირათო დამოკიდებულებად ჩაითვლება მისი დანგრევა ან გამოყენება დანიშნულების საწინააღმდეგოდ, რაც იმის საფუძველი ხდება, რომ გამოყენებულ იქნეს ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

საბჭოთა სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ მოქალაქეებმა უპატრონონ პირადი საკუთრების უფლების სხვა ობიექტებსაც, კერძოდ, ქონებას, რომლებსაც მნიშვნელოვანი ისტორიული, მხატვრული ან სხვა ღირებულება აქვთ.

მესაკუთრეთა უმრავლესობა მზრუნველობით ეკიდება ამგვარ ქონებას. მაგრამ მისი უფრო მეტი დაცვის უზრუნველყოფისათვის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები ადგენს ახალ წესებს და განსაზღვრავს კულტურულ ფასეულობათა უყაირათო შენახვის სამოქალაქო სამართლებრივ შედეგებს. ისტორიისა და კულტურის

³ დადგენილება ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის შესახებ მიღებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისაროთა საბჭოს მიერ 1926 წ. Сводный закон о реквизиции и конфискации имущества принятый ВЦИК и СНК РСФСР, 28 марта 1927 г.

ძეგლების დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1982 წლის 16 სექტემბერს დაამტკიცა „დებულება ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“⁴.

დებულებაში ნათქვამია, რომ თუ მოქალაქეები არ იცავენ თავიანთ კუთვნილ ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, მაშინ ეს ძეგლები მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება ჩამოერთვათ სასამართლო წესით მათი ღირებულების შესაბამისი ანაზღაურებით.

კულტურული ფასეულობის უყაირათო მოვლა-პატრონიბა იგივეა, რაც საცხოვრებელი სახლის უყაირათოდ შენახვა, ის იწვევს პირადი საკუთრების იმ ობიექტების განადგურებას, რომლებსაც საბჭოთა საზოგადოებისათვის გარკვეული ღირებულება აქვს.

სახელმწიფოს მიერ განსახილველი ობიექტების სასყიდლიანი ჩამორთმევის კანონით დადგენილი ეს წესი უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც რეკვიზიცია.

რეკვიზიციისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისებებია:

ა) ეს ისეთი იურიდიული მოქმედებაა, რომელიც გულისხმობს იძულების გამოყენებას. სწორად უნდა ჩაითვალოს ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, რომლის თანახმად, „რეკვიზიცია წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, და არა ყიდვა-გაყიდვას. თუმცა რეკვიზიციის დროს ხდება ამოსაღები ქონების ღირებულების გადახდა“⁵. თუ მესაკუთრე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ნებაყოფლობით თმობს თავის კუთვნილ ქონებას და არ გამოიყენება იძულება, რეკვიზიციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამ შემთხვევაში ხდება მხარეთა შეთანხმება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება.

ბ) იგი წარმოადგენს გამონაკლისს საბჭოთა კანონმდებლობის მიერ საყოველთაოდ აღიარებული საწყისიდან, ამიტომ, როგორც ყოველი გამონაკლისი, დაიშვება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, გამომდინარე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან და დადგენილი წესის განუხრელი დაცვიდან. ამიტომ რეკვიზიცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცალკეულ პირთა სასარგებლოდ.

გ) ამ ინსტიტუტს საფუძვლად უდევს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების ცალკეულ მოქალაქეთა პირად ინტერესებთან პრიორიტეტის იდეა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მესაკუთრის ყოველგვარი ქონება შეიძლება გახდეს რეკვიზიციის საგანი, თუ არის ამის საკმაო საფუძველი, ესე იგი როცა ამას მოითხოვს სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესები, მაგალითად: ნაგებობათა რეკვიზიცია სამრეწველო საწარმოს, ელექტროსადგურის ასაგებად მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით, ომის დროს სატრანსპორტო საშუალებათა და კვების პროდუქტების რეკვიზიცია და ა. შ.

მაგრამ მესაკუთრის მიმართ სახელმწიფოს უფლების ასეთი გამოყენება უნდა გულმოდგინედ იქნეს გააზრებული და დასაბუთებული, რათა ქონების გასხვისება აუცილებელი იყოს სახელმწიფოსათვის საჭირო ღონისძიების განსახორციელებლად, რათა უამისოდ ამ ღონისძიების რეალიზება საერთოდ შე-

⁴ იხ. Положение об охране и использовании памятников истории и культуры. Сохранение постановлений правительства СССР, М., 1982, № 865, стр. 505.

⁵ იხ. С. М. Корнеев, Право государственной социалистической собственности в СССР, 1964 г., стр. 55.



უძლებელი იყოს ანდა დიდ სიძნელეს წარმოადგენდეს. ამა თუ იმ ქონების უბრალო აუცილებლობა ჯერ კიდევ არ ქმნის საფუძველს რეკვიზიციისათვის. თუ არსებობს თუნდაც მცირე შესაძლებლობა, საიმისოდ, რომ ავიცილოთ რეკვიზიცია, თუნდაც იგი დაკავშირებული იყოს დამატებითს ხარჯებთან და სიძნელეებთან, უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, რეკვიზიცია წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობის გამოწვევის ინსტიტუტს.

დ) იგი ხდება გარკვეული გასამრჯელოს გადახდით. ეს შეესაბამება სამართლიანობის პრინციპს, რადგან ზოგადსასარგებლო ღონისძიება ხორციელდება მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, მაშასადამე, მისი სიკეთით ისარგებლებენ არა მარტო ის პირები, რომელთა ქონების რეკვიზიცია აუცილებელი გახდა.

თუ ამოიღება ქონება, რომელიც საზოგადოებრივ ფასეულობას წარმოადგენს და რომლის დაცვაც მესაკუთრემ ვერ უზრუნველყო, ამ დროსაც ქონების ღირებულების ანაზღაურება მთლიანად გამართლებულია, რადგან იგი წარმოადგენს ამ ქონების შესაძენად წარსულში დახარჯული შრომის კომპენსირებას.

ე) რეკვიზიცია გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოითხოვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესები, საზოგადოებრივად სასარგებლო ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოების პროგრესულ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

კერძოდ, ასეთ ინტერესებს მიეკუთვნება:

1) ეკონომიკური — სამრეწველო საწარმოს აგება ან რეკონსტრუქცია, ჰიდროელექტროსადგურის ან ირიგაციულ ნაგებობათა მშენებლობა და ა. შ.

2) სამხედრო — ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად აუცილებელ ნაგებობათა მშენებლობა და ა. შ.

3) კულტურულ-საყოფაცხოვრებო — სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობა და ა. შ.

4) საგანგებო მდგომარეობა, მაგალითად, წარმოშობილი სტიქიური უბედურების, ომის პირობების (საომარი მოქმედების) ან სხვა მოვლენათა შედეგად.

5) ზრუნვა საზოგადოებრივი ღირებულების ქონების დაცვისა და სათანადო გამოყენებისათვის.

კანონთა კრებულში რეკვიზიციისა და კონფისკაციის შესახებ დაკონკრეტებული არ არის რეკვიზიციის გამოყენების შემთხვევები. ჩვენი აზრით, რეკვიზიციის ყველა შემთხვევის მხოლოდ კანონში დაწვრილებითი ჩამოთვლა წარმოადგენს საჭირო გარანტიას მოქალაქეების თვითნებობისაგან დასაცავად. შეიძლება შემოგვედავონ, რომ კანონში ყველა შემთხვევის ჩამოთვლა გართულებს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას, რადგან შეუძლებელია გავითვალისწინოთ ყველა ზოგადსასარგებლო ღონისძიება, რომლებისთვისაც შესაძლებელია საჭირო გახდეს რეკვიზიცია.

საერთოდ კი კანონში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის რეკვიზიციის შემთხვევების ჩამოთვლა ხელს შეუწყობს სამოქალაქო კანონმდებლობის განვითარების იმ ტენდენციას, რომელიც გამოიხატება მო-

ქალაქეთა სახელმწიფოს ძირითადი კანონის დონეზე ბევრი უფლების, მათ შორის პირადი საკუთრების უფლების, განმტკიცებით.

კანონი რეკვიზიციის შესახებ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისაგან, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ქონების დროებითს ჩამორთმევას, თუ არის ამის სერიოზული აუცილებლობა, ქონების ასეთ ჩამორთმევასაც კანონი უწოდებს რეკვიზიციას. მაგალითად, მოქალაქეებისაგან ნაგებობის დროებით ჩამორთმევა წყალდიდობის პერიოდში მოსახლეობის გადასაცემად, ან კიდევ მოქალაქეთაგან პირად საკუთრებაში არსებული წყალსატუმბი დანადგარების დროებით ჩამორთმევა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დატბორილი ობიექტებიდან წყლის გადასატუმბავად და სხვ. მაგრამ ასეთი რეკვიზიცია არ წარმოადგენს ასეთ ქონებაზე სახელმწიფოებრივი საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს, რადგან ქონების ამოღება დროებითია და იგი მესაკუთრეს დაუბრუნდება.

სახელმწიფო უფლებას იძენს მხოლოდ დროებით ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, საკუთრების უფლება კი რჩება წინა მფლობელს.

მაგრამ ამასთან დაკავშირებით პრაქტიკაში წარმოიშობა ხოლმე მთელი რიგი საკითხები, კერძოდ, სახელმწიფოს მიერ დროებით ამოღებული ქონების თავდაპირველი ღირებულების დაკარგვის დროს მისი კომპენსაციის მიზანშეწონილობის შესახებ. კანონით ეს საკითხი გადაჭრილი არ არის.

ჩვენი აზრით, ეს ხარვეზი უნდა შეივსოს შესაბამის ნორმატიულ აქტში შემდეგი დებულების შეტანით: „მოქალაქის პირადი ქონების რეკვიზიციის გზით დროებითი ამოღების ვადის გასვლისას რეკვიზირებული ქონება გადაეცემა საკუთრებაში წინანდელ მფლობელს, რომელსაც შეუძლია მოითხოვოს სახელმწიფოსაგან ქონების ახალი შეფასება, ხოლო თუ უკანასკნელის ღირებულება შემცირდა პირველ შეფასებასთან შედარებით, სახელმწიფო უხდის მესაკუთრეს ამ სხვაობას“.

კანონის ენის დახვეწისათვის

ა. შალაგზერიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ო. გამყრელიძის წერილი „კანონის ენის შესახებ“, რომელიც ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1983 წლის მე-5 ნომერში განხილვის წესით დაიბეჭდა, უაღრესად საჭირობო საკითხებს ეხება. წერილის ავტორი საფუძვლიანად განიხილავს საკანონმდებლო ტექსტების ენას და მეცნიერულად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს, ცალკეული ტერმინისა თუ წინადადებების შესახებ გამოთქმულ შენიშვნებს, რომლებიც უთუოდ უნდა გაითვალისწინონ იურიდიული აქტების შემდგენლებმა. სავსებით გასაზიარებელია ავტორის დებულება იმის შესახებ, რომ „საკანონმდებლო ტექსტი... ნათელი და ყველასათვის გასაგები ენით უნდა იწერებოდეს“ (გვ. 51). სწორად არის შენიშნული, რომ იურიდიული აქტების თარგმნის დროს „ხშირად აზრის სიზუსტით გადმოთარგმნა გაიგივებულია აზრის გარეგანი გამომსახველობითი ფორმების, კანონის ენობრივი ქსოვილის ზუსტად გადმოტანასთან რუსულიდან ქართულ ენაზე, რაც კანონის ქართულ ტექსტს უკარგავს მისთვის დამახასიათებელ სისხარტეს და ლაკონიურობას და საბოლოოდ ქართულისათვის არაბუნებრივი, უცხო კონსტრუქციების დამკვიდრებისაგან მივყავართ“ (გვ. 52).

ამ დებულების საილუსტრაციოდ წერილში დამოწმებულია კარგად შერჩეული მაგალითები. გვინდა ჩვენი მოსაზრებანი გამოვთქვათ მათ შესახებ. დაახლოებით 23 წლის წინათ, როცა დასაბეჭდად მზადდებოდა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის“ ახალი ვარიანტი, ამ სტრიქონების ავტორი, როგორც ქართული ენის სპეციალისტი, აწ განსვენებულ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ (იმჟამად დოცენტ) ივ. გიგინეიშვილთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს იურიდიული განყოფილების მიერ შექმნილ სარედაქციო კომისიაში, რომელიც ცნობილი ქართველი მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტებისაგან შედგებოდა. ზემოაღნიშნული კოდექსის ტექსტში მაშინ არცთუ ცოტა ადგილი დაიხვეწა და გასწორდა ენობრივად, მაგრამ იურისტთა პროფესიულ ტრადიციებზე დამყარებული წინააღმდეგობა მთლად მაინც ვერ იქნა დაძლეული და კოდექსში დღესაც არის დასახვეწი წინადადებები, არაბუნებრივი ქართული გამოთქმები, ძნელად გასაგები ადგილები.

მსჯელობა რომ თანამიმდევრული იყოს, ჯერ განვიხილავთ სადისკუსიო

წერილის ავტორის შენიშვნებს და შემდეგ სხვა საკითხებზეც გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას.

1. სწორია ავტორის მოსაზრება „შესახებ“ სიტყვაზე. მისი ხმარება ყოველთვის როდია საჭირო, როცა შესაბამის რუსულ ტექსტში იმ (ი) გვაქვს. ამიტომ «Закон о судоустройстве Грузинской ССР» ქართულად მხოლოდ ისე უნდა ითარგმნოს, როგორც ი. გამყრელიძე გვთავაზობს: „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონი“. ამის მსგავსად ითარგმნება სხვა კანონების სახელწოდებებიც. ავტორის მიერ დამოწმებული მაგალითები („საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი“, „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი“ და სხვ.) მის დებულებას უდავოს ხდის.

2. გასაზიარებელია ავტორის მოსაზრება „პირ“ სიტყვის შესახებ, კერძოდ ის, რომ „თავისუფლებადკვეთილი პირის“ ნაცვლად ვთქვათ და ვწეროთ „თავისუფლებადკვეთილი“. „პირი“ აქ მართლაც ზედმეტია. „თავისუფლებადკვეთილი“ რთული სიტყვაა (კომპოზიტია). რომლის მეორე ნაწილი — „ადკვეთილი“ — „ადკვეთს“ ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობაა (წარსულადროისა). მიმღეობები ქართულში ხშირად გამოიყენება არსებითი სახელის ფუნქციით, მათ მოეპოვებათ როგორც ბრუნვის, ისე რიცხვის კატეგორია. არსებითი სახელის ფუნქციით ხშირად არის გამოყენებული, მაგალითად, წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა „მოკვეთილი“. გრამატიკულად „ადკვეთილი“ და „მოკვეთილი“ ერთი და იგივე ფორმაა (ასევეა ნაწარმოები „ადკვეთილი“, რომელიც ხშირად არსებით სახელად იხმარება).

3. „საქმეში მონაწილეს“ რომ „საქმის მონაწილე“ სჯობს, ეს მტკიცებას არც უნდა საჭიროებდეს. თანდებულის გამოყენება ქართულში ყოველთვის სავალდებულო როდია, როცა შესაბამისი სიტყვა რუსულად თანდებულს (წინდებულს) ირთავს. ეს შენიშვნაც მისაღებია.

4. „საქმის წარმოებისა“ და „საქმეების წარმოებას“ შორის ავტორი უპირატესობას ანიჭებს მხოლოდითი რიცხვის ფორმას. ვფიქრობთ, ეს შენიშვნაც გასაზიარებელია. იგივე ითქმის „დებუტატისა“ და „დებუტატების“ შესახებ. აქაც მხოლოდითის ფორმა სჯობს, რადგან იგი შინაარსს სრულიად არ ცვლის (გვ. 54-55). ამასთან დაკავშირებით ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ „თარგმნისს საკითხს შემოკმედებითად უნდა მივუდგეთ და მხოლოდ იქ, სადაც აუცილებელია, სწორედ მრავლობითი რიცხვის ფორმა გამოვიყენოთ“ („სახალხო დებუტატთა საბჭო“).

5. მეტად მნიშვნელოვანია ავტორის შენიშვნა რთული და მარტივისინტაქსური კონსტრუქციების გამოყენების შესახებ. ქართულ ენას აქვს შესაძლებლობა, რომ ერთი და იგივე აზრი მარტივი წინადადებითაც გადმოსცეს და რთულითაც. ასეთ შემთხვევაში, თუ აზრის სიზუსტეს ჩრდილი არ ადგება, ცხადია, მარტივს უნდა მიეცეს უპირატესობა, რადგან იგი თავიდან აგვაცილებს, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ენის არამომჭირნეობით გამოყენებას“. ამიტომ გასაზიარებელია მოსაზრება, რომ ერთ-ერთი კოდექსის 45-ე მუხლის სათაურად გამოყენებული წინადადება „იმ პირთა პაემანი ნათესავებთან და სხვა პირებთან, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა“ ასე შეიცვალოს: „თავისუფლებადკვეთილი მსჯავრდადებულის პაემანი ნათესავებთან და სხვებთან“ (უკეთესი ხომ არ იქნებოდა ეს ვარიანტი: „თავისუფლებადკვეთის პაემანი ნათესავებსა და სხვებთან“?).

6. Длѣящееся преступление-ს ქართულ შესატყვისად „მყოვარი დანაშაული“ მართო იმის გამო კი არ დაიწუნება, რომ „მყოვარი“ დღეს არქაიზმია. საქმე ის არის, რომ „მყოვარი“ შინაარსობრივად არ ნიშნავს длѣящееся-ს. მისი მნიშვნელობაა „დაყოვნებული“, „ხანდაზმული“. წერილის ავტორი გვთავაზობს „დენად დანაშაულს“. ეს ტერმინი ალბათ უფრო მისაღებია.

7. სამართლიანია შენიშვნა „ლაზობა“ სიტყვის შესახებ, რომელიც „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ ревность-ის შესატყვისად არის მიჩნეული. როგორც ავტორი წერს, მის მაგივრად უნდა ვხმარობდეთ „ეჭვიანობას“, რომელიც ზემოხსენებული რუსული ტერმინის სრული შესატყვისია. ამას მხარს უჭერს „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (ტ. III, 1958 წ.). არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვა „ლაზობა“ ревность არ არის. „ლაზო“ შურიანს, ბოროტს ნიშნავს, „ლაზობა“ — გაღიზიანებას, შურიანობას.

8. მართებულაა შენიშვნა ტერმინ „საცხოვრებელი სადგომის“ შესახებ. ქართულად ითქმის „ბინა“ და უნდა დავეთანხმოთ წერილის ავტორს, რომელიც ამ ტერმინის დამკვიდრებას მოითხოვს იურიდიულ დოკუმენტებში. ქართული სიტყვა-ტერმინების აგება არაქართული ენიდან სიტყვასიტყვით თარგმანზე ჩვენს ენას აუფერულებს, სიცოცხლის უნარს უკარგავს.

9. ავტორი გვთავაზობს „იურისპრუდენციის ფაკულტეტის“ ნაცვლად „სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის“ გამოყენებას. ამ მოსაზრების გაზიარებას დაბრკოლება არ ელოდება, ოღონდ საჭიროა უწინარეს ყოვლისა თვითონ ამ მეცნიერების წარმომადგენლებმა დაუჭირონ მას მხარი და მეტი გაბედულებით დაიცვან ტერმინი „სამართალმცოდნეობა“ ან „სამართლისმცოდნეობა“.

10. „პროტესტი ზედამხედველობის წესით“ რომ არაბუნებრივი ქართული გამოთქმაა, უდავოა. წერილის ავტორის მიერ შემოთავაზებული „საზედამხედველო პროტესტი“ გაცილებით უკეთესია. შეიძლებოდა სხვა ვარიანტებზეც გვემსჯელა: „ზედამხედველობითი პროტესტი“, „ზედამხედველური პროტესტი“. ქართულად ფრიად მოქნილი, მარჯვე ფორმების წარმოება შეიძლება, ოღონდ საჭიროა მათი გამონახვა, გულდასმით შემოწმება და საჭიროებისამებრ გამოყენება.

11. სინტერესოა ავტორის მოსაზრება „თევზჭერისა“ და „მეთევზის“ შესახებ. ვფიქრობთ, აქაც სიზუსტის დაცვა საჭიროა.

მართალია, рыболовство „თევზჭერაა“, рыбак — „თევზჭერი“, ხოლო рыбак — „მეთევზე“, „მებაღური“, მაგრამ рыболовство ხან „თევზჭერად“ უნდა ითარგმნოს, ხან — „მეთევზეობად“ იმის მიხედვით, თუ რა კონტექსტშია იგი მოქცეული. „მოხალისე თევზჭერი“ ან „მოხალისე თევზჭერთა სექცია“ არაქართული გამოთქმებია და წერილის ავტორის მოსაზრება მათ ნაცვლად „მოხალისე მეთევზისა“ და „მოხალისე მეთევზეთა სექციის“ გამოყენების შესახებ გასაზიარებლად მიგვაჩნია. შეიძლებოდა „მებაღურიც“ გამოგვეყენებინა, მით უმეტეს, რომ დაწესებულია „მებაღურის დღე“.

12. ასევე სწორია ო. გამყრელიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ прекращение дела производством ქართულად უნდა ითარგმნოს არაროგორც „საქმის შეწყვეტა წარმოებით“ (სიტყვასიტყვით მართლაც ასეა), არამედ ასე: „საქმის წარმოების შეწყვეტა“, რადგან საქმე კი არ წყდება წარმოებით, არა-

მედ წყდება საქმის შემდგომი წარმოება. წარმოებით შეწყვეტა რალაც უაზრო გამოთქმა, ასე ქართველი კაცი არ ლაბარაკობს.

13. ავტორის შენიშვნა „შეგნებულად ცრუ დასმენისა“ და „შეგნებულად ცრუ ჩვენების“ შესახებ ანგარიშგასაწევია. მართლაც, შეუგნებელი სიცრუე არ არსებობს, „ვინც ცრუობს, მან წინასწარ იცის, რომ სხვა ადამიანს ან დაწესებულებას არასწორ ცნობას აწვდის“ (გვ. 59). მაგრამ რაკი კანონმდებელს რუსულ ტექსტში საჭიროდ მიუჩნევია *заведомо* სიტყვის ხმარება (ხომ შეიძლებოდა რუსულადაც გვეთქვა *ложный донос* და *ложное показание*), იგი ქართულ ტექსტშიც უნდა აისახოს. ვფიქრობთ, მის შესატყვისად უნდა გამოგვეყენებინა „აშკარად“ სიტყვა; „აშკარად ცრუ დასმენა“, „აშკარად ცრუ ჩვენება“, ე. ი. ისეთი დასმენა ან ჩვენება, რომლის სიცრუე აშკარაა, მტკიცებას არ საჭიროებს.

14. საგვებით სწორად აფასებს ავტორი ტერმინ „მსჯავრდებულს“. მართლაც, რაკი „ბრალდებული“ კანონიერ ფორმად არის მიჩნეული, ასევეა ნაწარმოები „მსჯავრდებულის“. „დადებული“ და „დებული“ ერთმანეთისაგან გრამატიკულად მხოლოდ ზმნისწინით განსხვავდება. ენამ უპირატესობა ამ შემთხვევაში უზმნისწინო ფორმებს მისცა. (ვნებითი გვარის ასეთივე უზმნისწინო მიმღებობებია: ქებული, გდებული, ვნებული, კრებული, ტეხილი, წყვეტილი, ჭრილი, წერილი და სხვ.)

15. ლოგიკურია ავტორის მსჯელობა რუსული *определение*-სა და *определила*-ს შესახებ. თუ პირველის ქართულ შესატყვისად შესაწყნარებელია „განჩინება“, მაშინ მეორე უნდა ითარგმნოს „განაჩინა“-დ, რადგან „განჩინება“ არის საწყისი „განაჩინებს, განაჩინა“ ზმნისა. თუ ერთზე უარს არ ვამბობთ, არც მეორე უნდა დავიწუნოთ. ძველი ქართულის ენობრივი რესურსები კანონზომიერად უნდა გამოვიყენოთ, მით უმეტეს, რომ გვაქვს ტერმინი „განაჩენი“, რომელიც იმავე ჩენ-ჩინ ძირის შემცველია.

16. თუ სამართლისმცოდნეობაში საყოველთაოდ მიღებული გამოთქმები „მოსამართლის განსაკუთრებული აზრი“ და „განსაკუთრებული წარმოება“ ისე მტკიცედ არის დამკვიდრებული, რომ მათი შეცვლა რაიმე გაუგებრობას გამოიწვევს, მაშინ სჯობს ისინი უცვლელად დავტოვოთ. შინაარსობრივად კი *особое мнение судьи* და *особое производство* მართლაც „მოსამართლის განსხვავებულ აზრს“ და „განსხვავებულ წარმოებას“ გულისხმობს, თუმცა „განსაკუთრებულიც“ არ არის ამ მნიშვნელობას მოკლებული. ამიტომ ამ შემთხვევაში იქნებ ვამჯობინოთ, რომ ტრადიცია არ დავარღვიოთ.

17. ლათინური წარმომავლობის „კრედიტ“ სიტყვისა და მისგან ნაწარმოები ტერმინების გამოყენებაზე უარის თქმა გაჭირდებოდა. ეკონომიკის ეს ტერმინი მრავალ ენაშია შესული. ქართულში მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვებიც გვაქვს: კრედიტორი, კრედიტორული (დავალიანება), კრედიტუნარიანი, კრედიტუნარო, კრედიტდება და სხვ.

უცხოური წარმომავლობის ყველა სიტყვაზე უარს ვერ ვიტყვით.

18. ავტორი „სამართალდამცველ“ ან „სამართალდამცავ“ ორგანოებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს „სამართალდაცვის ორგანოებს“. შინაარსობრივად „სამართალდაცვის“ თითქოს უკეთ გამოხატავს ვადმოსაცემ აზრს. შეიძლებოდა სხვა ვარიანტიც შემოგვეთავაზებინა: „სამართალდაცვითი ორგანოები“, მით უმეტეს, რომ ამ ყურნალის 1983 წლის მე-5 ნომერში სწორედ ეს

ტერმინია გამოყენებული (იხ. გვ. 73, 74, 75 და გარეკანის მესამე გვერდი). საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის საჭიროა დადგინდეს, არსებითად რომელი ვარიანტია სწორი, ენობრივად კი შეცდომა არც ერთი არ არის.

19. ავტორი სამართლიანად იწუნებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციას: „გაუპატიურება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ აქვს ჩადენილი ასეთივე დანაშაული“. ამ წინადადებით გამოხატული აზრი, მართლაც, შეიძლება უფრო სხარტად გადმოიცეს. ავტორი გთავაზობს ასეთ ვარიანტს: „გაუპატიურება განმეორებით“, მაგრამ ამ გამოთქმას შეიძლება სხვა მნიშვნელობაც ჰქონდეს (კაცმა იგულისხმოს ერთი და იმავე პიროვნების განმეორებით გაუპატიურება). ამიტომ ალბათ უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ მას ასე ჩამოვყალიბებდით: „გაუპატიურება წინათ ასეთივე დანაშაულის ჩამდენის მიერ“ (სიტყვა „პირი“ აქაც ზედმეტია, რადგან მას „ჩამდენი“ გულისხმობს).

20. Верховный რუსულ-ქართულ ლექსიკონებში თარგმნილია როგორც „უზენაესი, უმაღლესი, მთავარი“, საქმე ის არის, რომ რუსულში მოიპოვება სიტყვა высший, რომლის ქართული შესატყვისია „უმაღლესი“. წინათ, როგორც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ იმოწმებს, იხმარებოდა „უზენაესი საბჭო“, „უზენაესი სასამართლო“. ამ გამოთქმებში, აქაოდა, „უზენაესი“ ღვთის ეპითეტადაც არის გამოყენებული, ხელი აიღეს „უზენაეს“ სიტყვაზე და სამ ათეულ წელზე მეტია, რაც მის ნაცვლად „უმაღლესს“ ხმარობენ. აღნიშნულ შემთხვევებში, ჩვენი აზრითაც, უფრო ზუსტი იქნებოდა „უზენაესი“ გამოგვეყენებინა. სასურველია, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა მუდმივმა კომისიამ ამ საკითხზე თავისი სიტყვა თქვას იმის გათვალისწინებით, რომ „უზენაესი“, როგორც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ხსნის, ნიშნავს „ყველაზე დიდს, ყველაზე უფროსს, — უმაღლესს“.

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი ამხ. ო. გამყრელიძის წერილში გამოთქმულ შენიშვნებზე.

მაგრამ იურისპრუდენციის ტერმინოლოგიაში სხვა საკითხებიც მოსაგვაჩრებელია. განვიხილოთ ზოგი მათგანი.

1. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში“ (1973 წ. გამოცემა) ხან წერია „იგივე ქმედობა“ (165-ე მუხ.), ხან — „იგივე მოქმედება“ (169-ე მუხ.), ალბათ ორივეგან უნდა იყოს „ქმედობა“.

2. ზოგიერთი მუხლის დისპოზიცია ხან განკერძოებული განსაზღვრებით არის გადმოცემული, ხან — რთული წინადადებით; მაგალითად, 172-ე მუხლში წერია: „...იგივე ქმედობა, ჩადენილი დიდი ოდენობით (?) ან დაქირავებული შრომის გამოყენებით, ისევე...“ 173-ე მუხლში აღნიშნულია: „...იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია განმეორებით ანდა დიდი ოდენობის მატერიალური მოგების მისაღებად, ისევე...“ (ასეა 196-ე, 203-ე და სხვა მუხლებში). ცხადია, ქართულია სწორედ ეს მეორე ვარიანტი და ამიტომ პირველ კონსტრუქციაზე უარი უნდა ვთქვათ.

3. ქართული არ არის აგრეთვე გამოთქმა „ხმარებაში გაშვება“, რომელიც 171-ე მუხლშია გამოყენებული: „საფოსტო სამსახურში ხმარებული ისეთი ვინიეტებისა და მარკების დამზადება და ხმარებაში გაშვება...“ თავი

რომ დავენებოთ „ვინიეტკას“, „ხმარებაში გაშვება“ არაფრით განსხვავდება „გაყიდვაში გაშვებისაგან“. უნდა იყოს „სახმარად გაშვება“.

4. 202-ე მუხლში „ყადაღადადებული“ თითქოს უხეიროდ არ უნდა იყოს წარმოებული, მაგრამ ქართულს ამ სიტყვით აღნიშნული შინაარსის გადმოსაცემად უფრო მარჯვე ფორმა მოეპოვება: „დაყადაღებული“ (სხვათა შორის, ამ სიტყვას „იურიდიული ტერმინოლოგიაც“ გვთავაზობს). ზმნური ფორმებიც ადვილად, ერთი სიტყვით იწარმოება: „აყადაღებს, დაყადაღებს, დაყადაღა, დაუყადაღებია“ და სხვ. „ყადაღადადებული“ კი „ყადაღას ადებს“ შესიტყვებისაგან არის მიღებული. ადვილი მისახვედრია, რომ „ყადაღას ადებს“ ორი სიტყვის ნაცვლად უკეთესია „აყადაღებს“ ვიხმაროთ. „დაყადაღება“ და „დაყადაღებული“ ფიქსირებულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“ (ტ. III).

5. ზემოაღნიშნულ კოდექსში სასჯელის ხანგრძლივობა ასეა განსაზღვრული: „...ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, ან გადასახლების გარეშე, ან ისჯება სიკვდილით ქონების კონფისკაციით“ (68-ე მუხ.). ან კიდევ: „...ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ან ისჯება სიკვდილით ქონების კონფისკაციით“ (69-ე მუხ.). ასეთი მაგალითები ძალიან ხშირია. გარდა იმისა, რომ ამ წინადადებებში უგულებელყოფილია პუნქტუაციის ელემენტარული წესები, ყურადღებას იქცევს გამოთქმა „ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე“. ეს არ არის სიტყვათა ქართული წყობა. უნდა იყოს: „...ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან თხუთმეტ წლამდე ვადით“... „...რვიდან თხუთმეტ წლამდე ვადით“... „ორიდან ხუთ წლამდე ვადით“ და ა. შ.

6. იქნებ სამართალმცოდნენი იმაზეც დაფიქრდნენ, თუ რამდენად მართებულია გამოთქმები: „დაუდევრობა... ისჯება“, „სამსახურებრივი სიყალბე... ისჯება“, „ხულიგნობა... ისჯება“ და სხვ. სინამდვილეში ისჯება არა დანაშაული, (დაუდევრობა, სიყალბე, ხულიგნობა..), არამედ ამ დანაშაულის ჩამდენი, ე. ი. კანონი ითვალისწინებს დამნაშავის დასჯის ზომას ამა თუ იმ დანაშაულისათვის, ვთქვათ, დაუდევრობის, სამსახურებრივი სიყალბის, ხულიგნობის ჩადენისათვის და სხვ. თუ ამ გარემოებას ანგარიშს გავუწევთ, მაშინ საჭირო იქნება კოდექსის თითქმის ყველა მუხლის ხელახალი ენობრივი რედაქცია, რაც ქართული ენის პატივისცემის გამო არ უნდა დავიზაროთ. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ მხედველობაში გვაქვს არა კოდექსის არსი, არამედ მისი ენობრივი მხარე. თუ ეს საკითხი მოგვარდება, მაშინ ადვილი იქნება იმ უხერხულობის თავიდან აცილება, რასაც მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელების მიჯრით ხმარება იწვევს (აღკვეთით, ვადით, კონფისკაციით, გადასახლებით...). შეიძლებოდა აქვე ნიმუშად შემოგვეთავაზებინა ერთ-ერთი მუხლის ასეთი რედაქცია:

„მუხლი 212. მოქალაქის კუთვნილი დოკუმენტის გატაცება ან დაზიანება.

მოქალაქის პასპორტის, სამხედრო ბილეთის ან სხვა პირადი არაქონებრივი ხასიათის დოკუმენტის გატაცების ან განზრახ დაზიანებისათვის და-

ნაშავეს ესჯება თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით, ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, ან საზოგადოებრივი გაკიცხვა“.

ასეთნაირად შეიძლება ყველა მუხლს გაუკეთდეს ახალი რედაქცია.

7. Исправительно-трудовая колония ქართულად სწორად არ არის თარგმნილი. მის შესატყვისად მიჩნეული „შრომა-გასწორების კოლონია“ („იურიდიული ტერმინოლოგია“ მასთან ერთად „შრომაგასწორებით კოლონიასაც“ გვთავაზობს) ვერ ასახავს საქმის ვითარებას. უხერხულობას ის ქმნის, რომ კოლონიაში მსჯავრდადებულის „გასწორება“ კი არ ხდება, არამედ — გამოსწორება, ე. ი. კოლონიაში შრომითი საქმიანობით ხდება მსჯავრდადებულის გამოსწორება.

ამგვარად, კოლონია კი არის შრომისა ან შრომითი, მაგრამ „გასწორებისა“ არ არის. ამიტომ საჭიროა გამოინახოს უფრო მარჯვე ტერმინი. იქნებ უმჯობესი იყოს ვიხმაროთ „გამომსწორებელი შრომითი კოლონია“, ან „შრომით-გამომსწორებელი კოლონია“. ან „შრომა-გამოსწორების კოლონია“, ან კიდევ „გამოსასწორებელი შრომითი კოლონია“. ამ უკანასკნელი ვარიანტის გამო შეიძლება შემოგვედავონ და გვითხრან, კოლონია კი არ არის გამოსასწორებელი, არამედ თვითონ ასწორებსო მსჯავრდადებულს, მაგრამ ნუ დავგვაფიწყებდა, რომ ქართულში გვაქვს სა-ელ აფიქსებით ანალოგიურად ნაწარმოები სიტყვები: „დასასვენებელი სახლი“ (თუმცა სახლი კი არ ისვენებს, არამედ ადამიანი), „საძინებელი ოთახი“ (თუმცა ოთახი კი არ არის დასაძინებელი, არამედ იქ ადამიანი იძინებს) და სხვ. ასევე შეიძლება იყოს „გამოსასწორებელი კოლონია“.

„შრომა-გასწორების კოლონიის“ მომხრეებმა შეიძლება გვითხრან, რომ „შრომა-გასწორება“ კომპოზიტი შეტანილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ტ. VII). იქვე მოცემულია საილუსტრაციო წინადადება, რომელიც გაზეთ „კომუნისტიდან“ არის ამოღებული, მაგრამ იგი ვერ ასაბუთებს ამ ტერმინის სიმარჯვეს. „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ I ტომი (1956 წ.) აღნიშნული ტერმინისათვის უკეთეს ვარიანტს გვთავაზობს: „შრომითი-გამასწორებელი (ბანაკი)“, მაგრამ „გამასწორებელი“ „გამომსწორებელს“ მაინც არ ნიშნავს.

ერთი სიტყვით, საჭიროა ამ საკითხს ღრმად ჩაუფიქრდეთ და და გამოენახოთ როგორც აზრობრივად, ისე ენობრივად საუკეთესო ვარიანტი.

შეიძლებოდა სხვა საჭირობოროტო საკითხებზეც გვემსჯელა, მაგრამ რაც ვთქვით, ისიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ დროულად და აუცილებელი იყო ო. გამყრელიძის სტატიის გამოქვეყნება და მის გარშემო სჯა-ბაასის გამართვა.

იურისპრუდენციის ტერმინოლოგიის საკითხების მოგვარება, კანონის ენის დახვეწა გადაუდებელი საქმეა. იგი ხელს შეუწყობს სამართალდაცვის ორგანოების მუშაობის კულტურის ამაღლებას.

ქეხპერეპენტი ქალაქი

მწერალი და ჟურნალისტი ამირან აბშილავა ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებით იმყოფებოდა ფოთში. მან დაწვრთვებით შეისწავლა ფოთის ქეხპერეპენტი, რომელიც მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით არის ცნობილი და უკვე გამოცდილებად იქცა. სიახლეები და გარდაქმნები იგრძნობა სოციალუკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სამართლდაცვითი ორგანოების მუშაობის პრაქტიკაშიც. მწერალმა დაასრულა მუშაობა წიგნზე „მოვდივარ ფაზისიდან“, რომელიც ფოთელების საინტერესო წამოწყებას ეძღვნება.

მკითხველებს ვთავაზობთ ამ წიგნის ერთ თავს, რომელშიც მოთხრობილია მართლწესრიგისა და კანონიერებისათვის ქალაქში გაჩაღებული უკომპრომისო ბრძოლის შესახებ.

„ნიკოლაძის კოშკი“ — ასე უწოდებენ პარკის კიდეზე, რიონის მარცხენა ნაპირას აღმართულ ერთ შუასაუკუნეობრივ ნაგებობას, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი ნიკო.

ქალაქის ყოფილი თვითმმართველობის იავარქცეული რეზიდენცია ახლანახან აღუდგენიათ, პირვანდელი — ნიკოლაძისეული იერი დაუბრუნებიათ, შიგ ჩინებული მუზეუმი და პენსიონერთა კლუბი მოუწყვიათ, კოშკის ქონგურთან, პოეტის თქმისა არ იყოს, „შუბლთან კოპივით მიკრული“, მრავალი წლის მანძილზე დაღუმებული საათი აუმეტყველებიათ და ახლა მისი კურანტები ყოველ თხუთმეტ წუთში აუწყებს ქალაქს ზუსტ დროს.

კოშკის პირველ სართულზე პატარა საყავაა. ციქნა დარბაზში ექვსიოდე მაღალი მაგიდა აჩაჩხულა, აი, სახინკლებში ამ ბოლო დროს რომ დგამენ, იმდაგვარი. თურქული ყავის ფეხზე მდგომელა დალევა, აბა ვის გაუგონია და, თუ წვიმა არ არის, ზამთრობითაც, რაკი აქ ყინვა-სიცხე იშვიათი ხილია, ყავისა და ნაყინის მოყვარულებს საიდანღაც მომცრო მაგიდებსა და სკამებს გამოუჩენენ და გარეთ, ბაღში უდგამენ ხოლმე.

იქვე კინოთეატრია. უყვართ ფოთელებს სეანსებს შუა აქ, სუფთა ჰაერზე ფინჯანი სურნელოვანი ყავის მირთმევა და მასლაათი.

მეც მივეჩვიე აქ სიარულს.

ყავახანის დიასახლისი ეთერი შუახანის, სათნო მანდილოსანია. თუ მუშტარი არ ახვევია, ჩემს მაგიდასთან ჩაიმუხღვებს ხოლმე. ენაწყლიანი ქალია ეთერი, ზოგჯერ მეც ამიყოლიებს და ვარჩევთ ერთად დუნიის წაღმართობა-უკულმართობას... არც ქალაქის ცხელ-ცხელი ჭორები და ტყუილ-მართალი ამბები გვრჩება მხედველობიდან.

ნასადილევს იმ დღესაც ყავა მომინდა. ქალაქის ცენტრალური მოედანი ტაატით გავლიე და პარკის ნაცნობ ბილიკს გავუყვიე.

დიდებული ამინდი იდგა. კოლხური ზაფხულის მუქი სიმწვანე წითელყვითელი ფერებით აბრიალებულ შემოდგომას დაეჯაბნა... ზღაპრული ფერების ფოიერვერკი იფრქვეოდა ირგვლივ...

ნარბად დავეწაფე მშობლიურ ოზონს — აი, სწორედ იმნაირს, სურნელ-თან ერთად გემოც რომ დაჰკრავს ხოლმე.

ბოლო ხანებში შემოჩვეული წნევა უკვე ბაიბურითაც რომ არ მაუწყებს თავის სულდგმა-არსებობას, ამ იშვიათი კლიმატის წყალობაა ალბათ.

საყავესთან ბაღში ცარიელ მაგიდასთან ჩავიმუხლე. ბლოკნოტი ამოვიღე. ეთერმა დაძვანდა თუ არა, უმალ ყავა მომართვა, საბაასოდაც გაემზადა, მაგრამ, როცა შეამჩნია ქალაღღს ჩავკირკიტებდი, განმერიდა. სიმართლე გითხრათ, მესიამოვნა კიდეც, — იმდღევანდელი შთაბეჭდილებები უნდა ჩამეწერა სასწრაფოდ, ვინძლო არ დამვიწყებოდა.

ნახევარ საათს არ გამოჩენილა ეთერი. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა თავისი ბუდრუგანიდან, მიიხედ-მოიხედა, მერმე რატომღაც ფხაკრეფით მოვიდა ჩემთან, სკამის ძვიდეზე ჩამოჯდა და ჩურჩულით მეუბნება, ვახო დაუჭერიათო...

— ვინ არის ვახო, ეთერ?

— ვახო არ ვაგიგონია, დარცმელიძე, შეკაცო?! მთელი ქალაქი, ა, ასე ეჭირა მუჭში...

— რა მოხელე-ჩიქვანი იყო ეგ ვახო, ეთერ? თითქმის ყველა ცნობილ პიროვნებას ვიცნობ ფოთში. რაღაც არ მახსენდება ეს გვარი.

ეთერმა კვლავ მიიხედ-მოიხედა ფროსხილად — ხომ არავინ მიყურადებსო, მერმე სკამი ჩემთან ახლო მოაჩოჩა და ყურში ჩამჩურჩულა: ქურდი, გოლუაფირო, „რამკიანი“ ქურდი... ამბობენ, ბოლო დროს არ ქურდობდაო, მარა მაგისი ერთი სიტყვა „ზაკონი“ იყო თურმე, მარტო ქურდებისათვის კი არა, ყველასათვისო.

— როგორ ყველასათვის?! — ვავიკვირვებ.

— ასე ამბობენ, გენაცვალე და, ხო იცი, რასაც ხალხი იტყვის, ნახევარი სიმართლე მაინც ურევია შიგ, — განაგრძო მან, — ვახოს დაჭერა რატო უნდა გაუკვირდეს კაცს, როცა ამ ბოლო დროს თვით მილიციასა და „გოსკანტროლს“ არ ერიდებიან. ერიდებიან კი არა, ზოგიერთი ოხერ-ნავარი მოაყურებს კიდეც.

— რა დააშავეს, რაზე, ეთერ?

— რაზე და, — კიდეც უფრო ახლო მოაჩოჩა სკამი ეთერმა, ცერი და შუათითი ტურჩის ძვიდეებზე ჩამოისვა, ვატყობ გრძელი საუბრისათვის ემზადება, მაგრამ.. უცხად, თითქოს ენა ჩაუვარდაო, გაჩუმდა.

მე ვაოცებული შევეყურებ. ბოლოს, როგორც იქნა, ამოიღო ხმა.

— ყოლიფერი მე გინდა მათქმევინო, ჯიბაღურელი?! მე ვინ მკითხავს, ბალი ორი შაურია თუ ორი მანეთი... თუ ძალიანი გაინტერესებს, ეს იმათ ჰკითხე, ვისაც მაგნაირების ჭკუაზე მოყვანა ევალება, — თქვა და უმალ ადგა, — ბოდიში ახლა, მუშტარი მელოდება აგერო, და სასწრაფოდ თავის ბუდრუგანისკენ წაშლაპუნდა.

სწორი მისამართი მომცა ამ ქალმა, რას ვერჩი...

ვიდრე ამ მისამართით მიკვლეულ მასალებს გავაცნობდეთ, ერთი გულანდილი დიალოგის, ჩემი აზრით, მეტად დამაფიქრებელი ეპიზოდი მინდა გიამბოთ, დიალოგისა, რომელიც სამი თუ ოთხი წლის წინათ „მარტივილობაზე“ ირაკლი მოწერელისა — პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველ მდივანსა და ჩემს შორის გაიმართა. იგი ფოთშია დაბადებული და გაზრდილი, ვიდრე

პარტიულ სამუშაოზე დაწინაურდებოდა, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ფოთის საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციას.

ჩვენი მაშინდელი საუბრის თემა გახლდათ ახალგაზრდობის აღზრდის სწორი ორიენტაციის პრობლემები.

— ვერ დაგიმალავთ, — აღნიშნა საუბარში ირაკლიმ, — მდგომარეობა უფრო შემაშფოთებელია, ვიდრე გვგონია. ერთ სავალალო ამბავს გიამბოთ: ფოთში ერთი გამოუსწორებელი რეციდივისტი ცხოვრობს, მოათავებს მორიგ სასჯელს, მერე წარმოადგენს ვიღაც „კეთილი ძიების“ მიერ გაცემულ ცნობას, რომ იგი მეორე ჯგუფის ინვალიდია; უბატონოდ ხმას ვერ გასცემ, — ცხოვრობს უშრომლად, უზრუნველად, მდიდრულად და ხელგაშლილად. საიდან — კაციშვილი არ კითხულობს. სულმოკლე ობივატელი კი ფიქრობს, ეს მოკლე წუთისოფელი ასედაც შესაძლებელი ყოფილა გაათაროს კაცმაო. რატომაც არ იფიქრებს, როცა თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტს იზოლაციაში ნამყოფ ნაძირალას ზოგიერთი მეზობელი თუ თანამოქალაქე ჭკუასა და რჩევას ეკითხება; როცა თვალნათლივ ხედავს, ამ არაკაცის სიტყვა და მსჯავრი კანონია მართო მის ამფსონთათვის კი არა, ისეთებისათვისაც, რომელთა კაცობა ეჭვს არ იწვევს.

ცნობილია, რომ ბაცილა მოზარდის თოთო სულს უფრო ეტანება, და აი, შედეგიც: ფოთის ერთ-ერთ სკოლაში მფოთხე კლასის მოსწავლე ბიჭუნას როცა ჰკითხეს, ვინ გინდა გამოხვიდეო, მან უყოყმანოდ უპასუხა: ვახო დარცმელიძეო.

...შინაგან საქმეთა ფოთის საქალაქო განყოფილებაში დარცმელიძის საქმის პირველი გვერდის გადაშლისთანავე მეხსიერებაში უმაღვე აღდგა ირაკლი მოწერელიას როდინდელი მონაყოლი.

რით, რა მოტივებით შეექმნა ამ უკეთურსა და ურჯუკს „ავტორიტეტი“?! სოციოლოგიურადაც, ფსიქოლოგიურადაც საინტერესოა ეს, მაგრამ ამ კითხვას ვეცდები სხვა დროს ვუპასუხო. ამჯერად მასზე შედგენილ მოკლე დოსიეს გავეცნოთ:

აღექსანდრე (ვახტანგ) ივლიანეს ძე დარცმელიძე დაიბადა 1929 წელს. პირველად გასამართლეს 1948 წელს, როცა 19 წლის ჭაბუკი იყო, მეორედ — 1950 წელს, მესამედ — 1954 წელს, მეოთხედ — 1966-ში, ხოლო მესუთედ — 1975 წელს. არ დაადგა საშველი, მაინც ტყისკენ ილტვოდა მგელივით. ახლა მეექვსედ დააპატიმრეს იგი — ოპიუმის და საბრძოლო ვაზნები უპოვეს.

— ახლა ერთი წუთით მის ხელმრუდობას თავი დავანებოთ და ამ ზოგიერთათვის „ჭკუასაკითხავი“ კაცის ზნეობის დამახასიათებელი სხვა ცოდვებიც მოვიხილოთ, — მეუბნება ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი გიორგი შერგელაშვილი, — შუახანს გადაცილებულმა ვასომ სრულიად ახალგაზრდა, მასზე ოცდარვა წლით უმცროსი, ქალი მოიყვანა ცოლად.

— სიმამრი ორი წლით უმცროსი გახლავთ სიძეზე, — ღიმილით ამბობს მილიციის პარტიუროს მდივანი, ქვეგანყოფილების უფროსი თენგიზ მილორავა და განაგრძობს, — მაგრამ, როცა საალიბო ყველა გზა მოუჭერით, ისიც არ დაინდო, — ოპიუმზე ხმა არ ამოეღებოდა და, ოღონდ სასჯელი შემიმსუბუქდესო, ვაზნების ბრალდება სიმამრს აჰკიდა.

აი, ხომ ხედავთ, როგორი სინდისის პატრონს ეკითხებოდა ჭკუას თურმე ზოგიერთი ბრიყვი.

„სინდისი და შიმშილი ერთად ვერ ბოვინობენო“, — ჩარლი ჩაპლინიმა თქვა ეს. მართებულადაც, ოღონდ ეს სიმართლე იმ კლასს, იმ საზოგადოებას ეხება, სადაც დაუსაქმებელ, უმუშევარ კაცს სოციალური გარემო აიძულებს ან ქურდობა-ყაჩაღობის გზას დაადგეს ან სანაგვე ყუთებში ეძებოს ლუკმაპური.

პურის ხსენებაზე: ჩვენთან, ბატონო, ჯერ კიდევ აქა-იქ მობოვინე ხელგამოწვდილ მუქთახორას ფულის ნაცვლად პური რომ აძლიო, ავი ძაღლივით შემოვიდრენს, — არ შია და ამიტომ... შია კი არა, მრავალ მათგანს, როცა დაინტერესდნენ, ასიგნაციებთან ერთად ოქროც უპოვეს.

...ფოთის არასრულწლოვანთა მიმღებ-ვანმანაწილებლის უფროსმა აღმზრდელმა გ. ჭეჭიამ „იმ მოტივით, რომ (დაკითხვის ოქმის ამონაწერი) არასრულწლოვანებს ბ. ლიფონავასა და ი. კვარაცხელიას დაეხმარებოდა ქ. ცხინვალში, სასწავლებლის დირექტორის მეშვეობით, კარგად მოწყობაში, ხოლო სამი თვის შემდეგ საერთოდ გამოაშვებინებდა, მათს მშობლებსა და ახლობლებს გამოსძალა ერთს 350 და მეორეს 150 მანეთი და სხვა წვრილმანი ფასეულობანი, რითაც გათელა საბჭოთა მილიციელის ღირსება და ავტორიტეტი“.

შიოდა ჭეჭიას? — ტყუილია, ამნაირ სიცრუეს, რაკი არავინ არ დაიჯერებს, ჩვენი წყობა-სისტემის დაუძინებელი მტრებიც კი ვერ ამბობენ საზღვარგარეთულ გადაცემებში.

...ნავსადგურის მეორე საწარმოო უბნის ზეინკალმა რევაზ ვარლამის ძე გოგიამ, ცვლის ტექნოლოგმა ბიძინა მიხეილის ძე გოგიჩაიშვილმა, საწყობის მუშაკმა მალხაზ არველოდის ძე ჩხაიძემ და რკინიგზის მწონავმა იროდი ოთარის ძე ცომაიამ 1983 წლის 17 აგვისტოს ღამით ნავსადგურიდან მოიპარეს 16 ტონა იმპორტული ფურცლოვანი ლითონი. ნაქურდალი გაიტანეს სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მანქანით, რომლის მძღოლი იყო ენვერ ვლადიმერის ძე გოგოლი.

იმავე ღამით, ერთი საათის შემდეგ ნავსადგურის პირველ საწარმოო უბანში აქვე მომუშავე მებულდოზერებმა ოლეგ ივანეს ძე ორაგველიძემ და გიორგი მიხეილის ძე რობაქიძემ გაიტაცეს ერთი ტონა შაქრის ნედლეული.

ქურდობის თანამონაწილენი გახდნენ დაცვის მუშაკები, მეორე უბანში — ოლღა დანიელის ასული ბუდნიცკაია, ხოლო პირველ უბანში — ანზორ კალენიკეს ძე კერესელიძე, რომლებიც წინასწარი შეთანხმებით განერიდნენ საგუშაგოებს და ქურდებს საშუალება მისცეს გაეტანათ სახალხო დოვლათი.

მილიციის ნავსადგურის ქვეგანყოფილების მუშაკის თ. მოლაშხიას, ტრანსპორტის პროკურორის გ. ფაჩულიას, გამომძიებლის გ. ტულუშის ოპერატიული მუშაობის შედეგად სახელმწიფო ქონების დამტაცებლები და მათი თანამონაწილენი დააპატიმრეს.

მოუხელთებელი საქმოსნის სახელი ჰქონდა გავარდნილი ქალაქში გივი იაკობის ძე გარუჩავას, რომელმაც შარშან ზაფხულში კვლავ შეკრიბა დამნაშავეთა ჯგუფი — აიყოლია საავტოროდ გურამ შაღვას ძე ვაშაძე და გურამ კლიმენტის ძე ხოშტარია. მათ ყალბი მინდობილობა შეთითხნეს, რის საფუძველ-

ზევ წამოიღეს კიდევ როსტოვიდან დიდძალი საზამთრო სასპეკულაციოდ, მაგრამ ფოთის საქალაქო მილიციამ დროულად აღკვეთა დანაშაული — სპეკულანტებმა და ყალბისმქნელებმა „ოპერაციით“ გათვალისწინებული 15 ათასი მანეთი ნაღდი მოგების ნაცვლად ნაღდი სასჯელი მიიღეს.

...1983 წლის ივლისში მილიციის მუშაკებმა სპეკულაციაში ამხილეს და პასუხისგებაში მისცეს პაშა ვასილის ასული შავესკაია (მცხ. მალანიას ქ. № 143), ნაზი ილარიონის ასული დოლიძე (მცხ. გურიის ქ. № 150) და ლენგილინა კლიმენტის ასული ჯორბენაძე, რომლებიც რუსეთის დიდი ქალაქების ხშირი სტუმრები იყვნენ და იქიდან ჩამოტანილ საქონელს მამასისხლად პყიდნენ.

...სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჯემალ სევერიანის ძე ცომაიამ მამის სახელზე გაფორმებული ავტომანქანა „უიგულით“ 1983 წლის 22 მარტს გვიან ღამით მთვრალმა გაიტანა მთელ ქალაქში ცნობილი კაცი — მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენის კავალერი, საზღვაო ფლოტის წარჩინებული მუშაკი, საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მოწინავე მემამუე დოკერი ბონდო კაჭარავა, რომელიც ცვლიდან დადღილ-დაქანცული ბრუნდებოდა შინ.

მარცხი და უბედურება მოულოდნელად გვატყდება თავს სოლმე, მისგან არავინ არის დაზღვეული, მაგრამ თუ კაცი გქვია, კაცობა არ უნდა დაკარგოს! ცომაიამ კი მსხვერპლი მიატოვა, გაიქცა. მგრმე ცოდვას ცოდვა დაუმატა — თავის ძმას ჯენეტოს აკისრებინა დანაშაული, მაგრამ სიმართლემ თავისი გზა პოვა მაინც.

კიდევ რაგვარი სახის ნეგატივი ბოგინებს ქალაქში?
 — ნარკომანია. ამ უაღრესად საშიში სენის წინააღმდეგ საზოგადოებრიობასთან ერთად სათანადო პრინციპულობით იბრძვიან მილიციის მუშაკები, კიდევ?

— მიუსხედავად არაერთი ღონისძიებისა ვერა და ვერ დაადგა საშველი ბრაკონიერების ალაგმვას, ამიტომაც ვერ აღმოიფხვრა შავი ზღვის ზუთხით, კეფალით, ქამბალათი და უნიკალური ჯიშის სხვა თევზეულით სპეკულაცია.

ვერ იტყვი, რომ ქალაქის მილიციის სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილება (უფროსი თ. მილორავა) ცუდად მუშაობს. აქ არაერთი არა მარტო თევზეულით, არამედ (ზემოთაც აღვნიშნეთ ეს) სხვა საქონლითაც ხელის მოთბობას მიჩვეული „პროფესიონალებიც“ გამოააშკარავეს. ქვეგანყოფილების ოპერატიული, საზრიანო მუშაობით გასოვლინდა აგრეთვე დიდძალი სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები „ფოთვაჭრობაში“, „ხილბოსტანვაჭრობაში“ და სხვაგან. ბრაკონიერების ხელისაღმცლელთა არსებობა ქალაქში, ჩემი დაკვირვებით, თვით ბრაკონიერობის წინააღმდეგ არადამაკმაყოფილებელი, ვიტყოდი, უგულისხმობი ბრძოლით აისხნება. ამ საქმეში, პირდაპირ უნდა ითქვას, უბნის რწმუნებულებიც სცოდავენ უთუოდ. მათ ხომ იციან, ვალდებულნიც არიან იცოდ-

ნენ, ვინ, რით, რომელი სახსრებით, რაგვარად ცხოვრობს მინდობილ ქუჩაზე თუ უბანში.

ამ ანომალიის მკურნალობის სხვა საშუალებაც არსებობს — ნედლი თევზეულის მოპოვებისა და ვაჭრობის წარმართვა რომელიმე სამეურნეო ორგანიზაციამ უნდა იკისროს, თუნდაც მთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხეთმა“.

თევზჭერის აკრძალვით კი, როგორც ჩანს, სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ბრაკონიერები ისევ და ისევ სერავენ კუნაპეტ ღამეებში პალიასტომს და თავიანთი ნააბრაგალის საზღაური ღამის ჩიტის რძის ფასამდე გაზარდონ...

ამ დეტექტიურ ამბებს იმათ გასაგონად გიამბობთ, ვინც კანონს ცერად უყურებს და ჰგონია, რომ მართლმსაჯულება ყველას და ყველაფერს ვერ გასწვდება და იმათ ყურადსაღებადაც, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა, რომ „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს“. როგორც ნახეთ, ამ ამბების მონაწილე მოქმედ პირთ ვერც ქრთამმა უშველა, ვერც ნაცნობობამ და თანამდებობამ.

კანონი კანონია, ხოლო მის დამცველს ათმაგად მოეთხოვება პასუხი. სთხოვენ კიდევ.

შრავალი მაგალითი გვახსოვს საამისო, მკაცრი, განსაკუთრებული.

განსაკუთრებული ზომები ცხოვრების განსაკუთრებული მოთხოვნებით არის ნაკარნახევი.

ექსპერიმენტის ქალაქი განსაკუთრებულ წესრიგს მოითხოვს. ამ ფაქტორით განიხილება სიახლის ზნეობრივი ორიენტერი.

უკანასკნელ წლებში პარტიის საქალაქო კომიტეტმა მთელი რიგი ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელი მუშაობით ღონისძიებები განახორციელა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მართლწესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. მუშაობის ძირითადი ორიენტირი გახლდათ მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის საქართველოს კომპარტიის მიერ აღებული კურსი. ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესების კონკრეტული ხელმძღვანელობის ფორმა გახდა მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ეფექტიანობის ამაღლების სამუშაო ჯგუფი, სადაც გაერთიანებული არიან პარტიის საქალაქო კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა განყოფილების, სასამართლოს ხელმძღვანელი მუშაკები.

სამუშაო ჯგუფის ამოცანაა ყველა უწყებისა და დაწესებულების იმ საქმიანობის ინტენსიფიკაცია, რომლის მიზანია სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ინტერესების საიმედო დაცვა სხვადასხვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ჯგუფის სხდომები იმართება კვირაში ერთჯერ და, როგორც წესი, განიხილება ერთი საპრობლემო საკითხი, ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების რთული პროცესი ჯერ მისი დანაცვლებით დაიწყო. ბიუროკრატიზმის, ფორმალისმის, საქმის გაჭიანურების, მშრომელთა წერილ-განცხადებებზე უსულგულო დამოკიდებულებისა და სხვა დარღვევათა გამო შინაგან საქმეთა განყოფილებიდან დათხოვნილ იქნა 8 მუშაკი, მთელი პირადი შემადგენლობა და საგამოძიებო იზოლატორი შეყვანილია პარტიის საქალაქო კომიტეტის

ნომენკლატურაში. ყველა ხელმძღვანელ პოსტზე მუშაობენ უმაღლესი განათლების ოფიცრები, ხოლო რიგითი შემადგენლობის ყოველ მუშაკს საშუალო განათლება აქვს. ბოლო წლებში განყოფილებაში გაიგზავნა 17 ოფიცერი, რიგით შემადგენლობაში კი 42 კაცი.

პოზიტიური ცვლილებებიც აქედან დაიწყო. ერთდროულად წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლა წარიმართა საზოგადოებრიობასთან მტკიცე კონტაქტით, პრესისა და პროპაგანდის სხვა საშუალებათა მეშვეობით დანაშაულთა სამწეოზე გამოტანით, საჯაროობით. ღონისძიებათა ძირითადი ყურადღება გამახვილდა აღმზრდელობითს მეთოდებზე — პროფილაქტიკასა და გაფრთხილებებზე.

დადებითი ტენდენციები იგრძნობა მუქთახორობისა და პარაზიტული ცხოვრების მოყვარულთა გამოვლენის საქმეში. სამუშაო ჯგუფი ეხმარება მათ სამუშაოზე მოწყობაში, მეთვალყურეობას უწევს მათს საქმიანობას შრომითს კოლექტივში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოძრაობის უსაფრთხოებას. ყოველი ავტოსაგზაო შემთხვევა განიხილება საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე, ხოლო მძიმე შემთხვევები პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროზე.

გაძლიერდა კონტროლი სარევიზიო აპარატისადმი, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და დატაცების ფაქტების გამოაშკარავებას.

კარგად მუშაობს ქალაქის სახალხო სასამართლო (თავმჯდომარე გ. ვეკუა), გამოტანილი განაჩენების სტაბილურობა შეადგენს 96 პროცენტს. გაიზარდა გამსვლელი სასამართლო პროცესების რაოდენობა, საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობა პროცესში. გაიზარდა წარდგინებათა და კერძო განჩინებათა პროფილაქტიკური როლიც.

ამაღლდა საპროკურორო ზედამხედველობის ქმედითობა (პროკურორი ჯ. კიკაბიძე), „ყოველი დამნაშავე პასუხს აგებს კანონის წინაშე, ყოველი უდანაშაულოც მანვე უნდა დაიცვას“ — ხელმძღვანელობს რა ამ პრინციპით, პროკურატურა მრავალმხრივ მუშაობას ეწევა მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

საიმედოდ ჩაეგმანა კარი ფოთის ბოლაში კონტრაბანდას, საოკეანო თევზჭერაზე იგზავნიან საგანგებოდ შერჩეული ახალგაზრდები, რომელთა ზნეობრივ ყალიბს საგულდაგულოდ ამოწმებენ როგორც პარტიის, ასევე კომკავშირის საქალაქო კომიტეტებში (აღკა ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. დარჯანია).

განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის, მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებას.

შედეგიც ნათელია.

აი, სტატისტიკაც: 1980 წელთან შედარებით 18 პროცენტით შემცირდა მძიმე დანაშაულთა რიცხვი, პირადი ქონების ქურდობა — 40 პროცენტით, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება — 30 პროცენტით.

— ასე რომ, ბოლო წლებში წესრიგის დასამყარებლად ბევრი რამ გაკეთებულა ქალაქში, მაგრამ შარშან ჩადენილ ბოროტებათა მიხედვითაც რომ

ვიმსჯელოთ, მთლად დალაგებულად არ გვქონია საქმე, — ვუზიარებ შთაბეჭდილებას პარტიის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული, საფინანსო და ვაჭრობის განყოფილების გამგეს კარლო უჩანეიშვილს, მას შემდეგ, როცა თითქმის დავამთავრე ამ რთული სფეროს არსებითი გაცნობა-შესწავლა.

— რა თქმა უნდა, — მიპასუხა მან, — არც ჩვენ გვგონია ასე... პარტიის 45-ე საქალაქო კონფერენციაზე დაუფარავად, სმამაღლა ითქვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებსა და ჯერ კიდევ გალაუწყვეტელ პრობლემებზე. ზოგიერთ შრომითს კოლექტივში სათანადო ყურადღება არ ექცევა მართლწესრიგის დამრღვევი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლას, არცთუ იშვიათია დანაშაულის გახსნის არაოპერატიულობის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის ვაჭიანურების შემთხვევები; ყოველი მეხუთე წესრიგის ღარღვევა ქალაქში ხდება სიმთვრალეში. ეს ციფრი იმაზე მეტყველებს, რომ უეჭველად ამ მიმართულებითაც უნდა გაძლიერდეს ზემოქმედება. ჯერ კიდევ არიან მუქთახორები. დამნაშავე პირთა 10,5 პროცენტი, რომლებიც ამ სამი წლის მანძილზე არის მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, საზოგადოებრივ შრომაში არ მონაწილეობდნენ, არ იყვნენ დასაქმებულნი, მაგრამ ფაქტია, რომ პოზიტიური ძვრებიც მკვეთრად იგრძნობა ქალაქში — მთლიანად აღმოიფხვრა ფოთელთა პრესტიჟის ეგზომ შემბლალველი კონტრაბანდისტული რეციდივები; ვახოების, „ჯიმაიებისა“ (ერთ-ერთი ცნობილი ქურდის მეტსახელია) და ძმათა მათთა იზოლაციის შემდეგ ქალაქში ბინის ქურდობის არც ერთი შემთხვევა არ აღრიცხულა.

არ აჭარბებს კარლო უჩანეიშვილი:

დღეს ყოველი დანაშაული ქვემეხის გასროლასავით ისმის ქალაქში;

ყოველი სიმრუდე, ყოველი ბოროტება, წარმოიდგინეთ, იმ ჩემ მიერ ამოჩემებულ-ამორჩეულ ყავახანიდანაც შეიმჩნევა ახლა...

ესეც, რა თქმა უნდა, სიკეთის უკეთურობაზე ძლევას გვაუწყებს ექსპერიმენტის ქალაქში.

—•••—

ერთი კვლევითი სასამართლო მტკიცებულება

ბ. ნადარეჟილი

ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, იურიდიული და კულტურული ცხოვრების სურათის აღსადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის წიგნებს, იურიდიულ დოკუმენტებს, ეთნოგრაფიულ მასალებს, ენის ისტორიის მონაცემებს.

იმის დავიწყებაც არ შეიძლება, რომ, რაც უფრო ღრმად ვიჭრებით კლასობრივ და ადრეკლასობრივ საზოგადოებათა ისტორიის სიღრმეში, მით უფრო მკვეთრად ჩანს რელიგიის გავლენა ადამიანთა ცნობიერებასა და სამართლებრივ ურთიერთობებზე.

კაპიტალიზმამდელ საზოგადოებებში რელიგიას, როგორც სოციალურ ფენომენს, ღრმად იმანენტური კავშირი აქვს სამართალთან. ამასთან ერთად მეცნიერებას დღეს უმართებულად მიაჩნია შეხედულება, რომელიც რელიგიის წარმოშობას ხსნის ბუნების მრისხანე ძალების წინაშე ადამიანის უძლურებით.

ველურობის ეპოქაში, როდესაც ადამიანი უფრო უძლური იყო დედაბუნების გულგრილი, სტიქიური ძალების ყოვლისშემუსვრელი ძლიერების მიმართ, მაშინ რელიგია არ ასრულებდა ისეთ მნიშვნელოვან როლს, როგორც მოგვიანებით.

გარდა ამისა, მოსახლეობის რელიგიური რწმენა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ ხალხს, ეროვნებას, ან ტომს განვითარების უფრო დაბალი დონე აქვს, ვიდრე იმ ხალხს, ეროვნებას ან ტომს, რომლებსაც რელიგიური ცნობიერება უფრო სუსტად აქვთ გამოვლენილი. თანაც თვით რელიგიებს შორისაც არის უზარმაზარი განსხვავება. პრიმიტიული რელიგია, რომელიც ადამიანის მსხვერპლად შეწირვას არ ერიდება, არ შეიძლება იმავე სასაზიო შეფასდეს, როგორც თავი ბუდიზმი ან ქრისტიანობა.

რელიგია სოციალური ფენომენია, და სამართალთან ერთად მისი არსებობა განპირობებულია საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობათა რთული კომპლექსით, მეცნიერებით მიღებული ტრადიციებით, ქვე-

ყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით. ვინაიდან ყოველ ეპოქაში ხალხის აზროვნებას და ხალხის ნებას ერთმანეთისაგან ჩინური კედელი არ თიშავს, ცხადია, რელიგიური ცნობიერებაც პოულობს ასახვას სამართალში, განსაკუთრებით მტკიცებულებითს სამართალში.

გვიანი შუა საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლებში გვხვდება მტკიცებულების ერთი სახეობა, რომელსაც „ჭერი“ ეწოდება. „ჭერი“, როგორც სასამართლო მტკიცებულება, ჩვენამდე მოღწეული სამართლის წიგნებიდან პირველად იხსენიება XIV საუკუნის ძეგლში — ბექა მანდატურთუხუცესის საკანონმდებლო ნაღვაწში, მაგრამ ეს ფაქტი შეუმჩნეველი დარჩა.

ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძეს აღწერილი აქვს ის სასამართლო ორთაბრძოლა ანუ დუელი, რომელიც როსტომის მეფობის დროს (1652-1658 წ.წ.) მომხდარა თბილისში. მოვალატე თავადებმა ნადირობის დროს მოკლეს როსტომ მეფის ტახტის მემკვიდრე — ბატონიშვილი ლუარსაბი. ამ უკანასკნელის ვერაგული მკვლელობა სიოშ ბარათაშვილმა ბაინდურ თუმანიშვილს დასწამა და პირში უთხრა: „შენი ნასროლი თოფის ფინდიხი ეცაო“. ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე ლუარსაბ ბატონიშვილის მკვლელობაში ბაინდურ თუმანიშვილის ბრალეულობა საეჭვო გახდა. ამავე დროს, როგორც ფ. გორგიჯანიძე აღნიშნავს, ეს საქმე „სხვა რიგად ფიცითა და ჭერით არ გარდასწყდებოდა“ სიოშ ბარათაშვილი დაბეჭდვით თბილისში იძახდა, რომ „თუმანიშვილმა ბაინდურ ჭერით ბატონიშვილს თოფით“. თავის მხრივ ბაინდურ თუმანიშვილი მტკიცედ უარობდა ბატონიშვილის მოკვლას და „აშოროს“ ეუბნებოდა მოწინააღმდეგეს. რადგანაც „ფიცით და ჭერით“ ვერ გადაწყდებოდა ეს საქმე, დიდებულებმა მეფეს მოახსენეს: „ამ რიგი საქმენი უხმლოდ არ გადასწყდეს“.

1 იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, სპბ. 1854, დ. ჭუბინაშვილის რედ. გვ. 534-535.



ბისო“, და საქმე ზმალზე (სასამართლო დეუ-
ლი) მიადგეს.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობაში „ფიცი
და ჭერი“ იხსენიება მტკიცებულებათა მნიშვნე-
ლობით. ფიცი და ჭერი თითქოს ერთმანეთის
მსგავსი მტკიცებულებებია, რადგან მათ შო-
რის რაიმე განმასხვავებელი ნიშანი გორგი-
ჯანიძეს არა აქვს აღნიშნული.

ჭერი, როგორც მტკიცებულება, ხშირად
იხსენიება ვახტანგ მეექვსის სამართლის წი-
გნში (42-ე, 77-ე, 182-ე, 183-ე, 194-ე 210-ე
მუხლები). ჭერი იხსენიება აგრეთვე ვახტანგ
მეექვსის განკარგულებით თარგმნილ მხითარ
გოშის სამართლის წიგნშიც. შემოხსენებული
მუხლებიდან ჩანს, რომ „ჭერი“ კანონმდებე-
ლი ფიცის ერთ, განსაკუთრებულ სახეობას
— განსაწმენდელ ფიცს გულისხმობს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჭერი, როგორც
მტკიცებულება, პირველად XIV საუკუნის
მესხეთის კანონმდებლობაში იხსენიება, კერ-
ძოდ, „ბექას სამართალში“.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წი-
გნი ი. დლიძემ ორჯერ გამოაქვეყნა ქართუ-
ლად. პირველად 1953 წელს წიგნში „ძველი
ქართული სამართალი“, მეორედ 1968 წელს
„ქართული სამართლის ძეგლების“ პირველ
ტომში.² 1982 წელს ეს საკანონმდებლო ძეგ-
ლი დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის თხზულებ-
ათა თორმეტტომეულის მეექვსე ტომში და-
მატების სახით. იგი დასაბეჭდად მოამზადა
ივანე ჯავახიშვილმა.

ჩვენთვის საინტერესო 88-ე მუხლი ი. დლი-
ძის ორივე გამოცემაშია და ი. ჯავახიშვი-
ლის პუბლიკაციაშიც ერთნაირად არის გაგე-
ბული. მოგვეყვას კანონის ტექსტი ი. ჯავახი-
შვილის თხზულებათა მეექვსე ტომის მიხედ-
ვით:

„თუ ნაპარევი იცნას კაცის ხელთა და ამ-
ას იტყოდეს: ამასთან სხვაც ბევრი რაიმე
დამეკარგაო, რომელსაცა ხელს იცნას იგი
არ გატყდეს: შეფიცოს ორითა უმტე (sic)
უმოყროთა კაცითა: რომე მისთა ხელთა მის
მეტი არა მისრულიყობს: თუ არ ჭერა იყოს
საქონლის პატრონმან დაიფიცოს რაცა წაშხ-
ლომოდეს უზღოს ერთად ორად“.³

„ჭერი“ სასამართლო მტკიცებულების მნი-
შვნელობით იმდენად ნაადრევად იყო ცნო-
ბილი, რომ თვით ქართული სამართლის ის-
ტორიის ცნობილ და სერიოზულ სპეციალის-
ტებს შემუშინეველი დარჩათ XIV საუკუნის

მესხეთის საკანონმდებლო ძეგლში მისი არ-
სებობა.

ეჭვი არ არის, რომ სამართლის წიგნის შე-
მოთ მოყვანილ მუხლში გამოთქმა „ჭერი იყ-
ოს“ უადგილოა და უნდა იყოს „ჭერი იყ-
ოს“, ე. ი. პირმა უნდა დაიფიცოს, განსაწმენ-
ნდელი ფიცით დააჭროს მომჩივანი თავის
სამართელში. ეს რომ ასეა, ამას ადასტურ-
ებს ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შე-
დგენილ სამართლის წიგნთა კრებულში მო-
თავსებული ბექასა და აღბუღას სამართლის
წიგნის შესატყვისი მუხლიც.

„თუ ნაპარევი იცნას (კაცმან) და ამას
იტყოდეს, თუ მაგისა გვერდით სხვაცა რამ
წარმივადაო, და რომელსა ეცნას, არ გამ-
ტყუნდეს, შეფიცოს ორითა უმტეროთა კა-
ცითა, რომე მის მეტი არა მისრულიყოს მი-
სსა ხელსა და არცა კაცი იტოდეს მომპარა-
ვი თვით მის მეტსა არას ემართლების.

და თუ ვერ შეფიცოს, მან, საქონლის პა-
ტრონმა დაიფიცოს, რაც „წახლომოდეს, —
უზღოს შემოთვე წესითა“⁴ ამგვარად, იური-
დიული ტერმინი „ჭერი“ ჩანს ბექა მანდა-
ტურთუხუცესის სამართლის წიგნის უძველ-
ესს, 1672 წელს გადაწერილ ხელნაწერში
(Q. 206, ხელნაწერთა ინსტიტუტი), ხოლო
XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ მე-
ექვსის ბრძანებით შედგენილ სამართლის
წიგნთა კრებულში მოთავსებულ ბექა მანდა-
ტურთუხუცესის კანონებში მას შეესატყვი-
ება ფიცი. ეტყობა, ამ დროისათვის ფიცსა
და ჭერს შორის განსხვავება თითქმის წაშლი-
ლია. საკუთრივ ვახტანგ მეექვსის სამართ-
ლის წიგნში ფიცი და ჭერი ნათლად არც არ-
ის ერთმანეთისაგან გამიჩნულია.

სულხან-საბა ორბელიანისათვის ჭერი „რი-
გია“ ან „რიგივითა“, ხოლო თავის მხრივ
„რიგი“ განმარტებულია როგორც „განწესე-
ბასავით“. ცხადია, რომ დიდმა ლექსიკოგრა-
ფმა უურადღება არ მიაცქია „ჭერის“ იური-
დიულ მნიშვნელობას.

XVIII საუკუნეში ჭერი ქართულ იური-
დიულ დოკუმენტებშიც მოჩანს აქა-იქ.
მაგრამ ამ საბუთების მიხედვით შინც ძნელ-
დება „ჭერის“ ცნების სრული მოცულობის
დამორკვევა. როდესაც XIX საუკუნის დასა-
წყისში ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის
რუსულად თარგმნა განიზრახეს, ცხადია,
მთარგმნელთა წინაშე წამოიჭრა „ჭერის“
რუსულად თარგმნის პრობლემა. მთარგმნე-

2 იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, 1983, გვ. 492.

3 ი. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VI, 1982, გვ. 414.

4 „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, 1983, გვ. 448; სულხან-საბა ორბელიანი, თხზ.,
ტომი IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966, გვ. 415, ილია აბულაძის რედაქციით.

ლებმა „ჭერი“ რუსულად თარგმნეს როგორც „პირისიავა“. XIX საუკუნის პირველ ნახევარში იმ პირთა წრის ლექსიკაში, რომლებიც ინფორმირებული იყვნენ ქართული სასამართლო პრაქტიკის შესახებ, „ჭერი“ ფიცის სინონიმი იყო. ცნობილი ლექსიკოგრაფი დავით ჩუბინაშვილი თავის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ ჭერს განმარტავს როგორც წესს, რიგს, ზედაღს, ფიცს, დარწმუნებას, შეჭრებას ფიცით. დ. ჩუბინაშვილმა იცის, რომ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 77-ე, 182-ე და 210-ე მუხლებში ჭერი იურიდიული ტერმინია, მისი აზრით, ამ მუხლების თანახმად, ჭერის მნიშვნელობაა: ფიცია, დარწმუნება, შეჭრება ფიცით.⁵

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის ფრანგულ ენაზე მთარგმნელს, გველივარ უოზეჟ კარსტს „ჭერი“ გაგებული ჰქონდა როგორც justification გამამართლებელი საბუთი. ვფიქრობთ, რომ ჭერის, როგორც იურიდიული ტერმინის, მნიშვნელობის გაგებას უველა სხვა ავტორზე მეტად მიუახლოვდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩუბინაშვილი. მხედველობაში გვაქვს მისი ნაშრომის „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ 1887 წლის გამოცემა.

ახლა ჩავიხედოთ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის იმ მუხლებში, სადაც „ჭერია“ ნახსენები. დავიწყეთ ხსენებული სამართლის წიგნით, რომლის 182-ე მუხლში ვკითხულობთ: „იქნების, ნადირობაში შეძგერება და სიკვდილი მოჰხდეს, მისი სისხლი არ არის. თუ ვინ იცის ნაქოშპარი და ნამდურევი კაცნი შეიძგერნენ და მოკვდეს რომელიმე, და მკვდრის პატრონი მიერ ჩიროდეს:

„ცხენის ძალით მორევე მოხველ და შემოაძგერეო, ან გავა მიეცო და შეიძგერეო“, ამის დამბღურთ კაცთ კითხვით რომ იქ დასწრებოდეს, გამოძიებით უნდა გასინჯვა.

და თუ არადა, ჭერი უნდა, თუ ჭერს ვერა იქს, სისხლი უნდა მისცეს“.

მაშასადამე, თუ ნადირობისას ნამდურევი და ნაქოშპარი კაცები ერთმანეთს ცხენებით შეეძგერებიან და ამას ერთ-ერთის სიკვდილი მოჰყვება, ხოლო მიცვალებულის პატრონი ამას განწარბ მკვლელობად ჩათვლის, მაშინ საქმეს, კანონმდებლის აზრით, „გამოძი-

ებით უნდა გასინჯვა“. თუ გამოძიებით სიმართლე ვერ დადგინდებოდა, მაშინ საქმე „ჭერის“ მეშვეობით უნდა გადაწყვეტილიყო. თუ ბრალდებული „ჭერს ვერა იქს“, მაშინ, ცხადია, იგი სათანადოდ დაისჯება.

„ჭერი“ აქ დანაშაულში ექვმიტანილი პირის განსაწმენდელ ფიცს ნიშნავს.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 188-ე მუხლი ითვალისწინებდა შემთხვევას სასუნდარში, როდესაც... „ერთმანეთის ნასროლი თოფი მესახუნდრეს მოხვდებოდა“, მკვდრის პატრონი კი წამოაყენებდა ბრალდებას თავისი მსროლელის წინააღმდეგ, რომ „ქიშპი იყო და იმითომ მიყოო“. ეს საქმე მოსამართლეს უნდა გაერჩია. თუ გამოჩნდებოდა, რომ მოკლულსა და მკვლელს შორის წინათ ქიშპი და სამდურავი იყო, მაშინ თავის მსროლელს ჭერით უნდა ემართლებინა თავი. თუ ექვმიტანილი „ჭერს“ ვერ გასწევდა, „სისხლი“ უნდა მიეცა დაწარალებული მხარისათვის.

„ჭერი“ ამ შემთხვევაშიც განსაწმენდელ ფიცს ნიშნავს.

იმავე სამართლის წიგნის 188-ე მუხლით, თუ „მემამულეს“ ნაშრომ-ნადვანს პირუტყვი წახუნდენდა, ხოლო „მემამულე“ თავის მხრივ რჩომის პატრონს“ ბრალდებას წაუყენებდა, „განწარბ შემოალდე და ქიშპობით წამიხლინეო“, მაშინ პირუტყვის პატრონს, „ჭერით“ უნდა ემართლებინა თავი „მემამულის“ წინაშე, რომ „მისი ნება არ ყოფილიყოს“.

ამ შემთხვევაშიც „ჭერი“ ისეთ განსაწმენდელ ფიცს ნიშნავს, რომელიც მოწინააღმდეგის ბრალდებას აქარწყლებს.

ჭერი მოხსენებულია აგრეთვე ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 193-ე და 194-ე მუხლებში. 193-ე მუხლში კანონმდებელი ლპარაკობს ცეცხლის წაკიდების გამო წარმოშობილ კონფლიქტურ სიტუაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობაზე: „დამწვარი კაცი თუ ამას ამბობს, რომ „განწარბ მიყოო და ფათერაკს აბრალდესო“, იმის ჭერი უნდა უყოს, რომ ფათერაკი მოსვლოდეს, და არც თავისი ნებით ექნას, ისრე საფათერაკო მისცეს“. ამ შემთხვევაშიც „ჭერი“ განსაწმენდელ ფიცს ნიშნავს. „ჭერის ყოფა“

5 დ. ჩუბინაშვილი. „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, სპბ. 1887.

6 იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“ ტ. I, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1963. „სამართალი ვახტანგ მეექვსისა“, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. „საბჭოთა საქართველო“, 1981.



აქაც ბრალდებულ მხარეს ეკისრება. მაშასადამე, კანონმდებელი განზრახ დანაშაულის ჩადენაში ექვემდებარება განსაწმენდელი ფიცის მიღების უფლებას აძლევდა.

„თუ ხუმრობასა და თამაშობაში კაცმა კაცს აწყინოს რაზე, ან მოსტებოს რაზე, ან დაჭრას, ან მაშინდელს ნაკრახულობაზე მოკვდეს, დაჭრილს სააქიმო უნდა მისცეს, და თუ მოკვდეს, სამარხი უნდა მისცეს. იქნება, ამასაც ეუბნებოდეს, „განზრახ შენის ნებით მიყუაო“, — მაგისი ჭერი არის. თუ თავი იმართლა, რომ მისი ნება არ ყოფილიყოს და ისრე მოსვლოდეს, როგორც დაგვიწერია დოქტორისა და ავადმყოფს სააქიმო და მკვდარს სამარხი უნდა მისცეს“ (195-ე მუხლი).

ამ სამართლებრივი ნორმის მიხედვითაც, ჭერი ბრალდებული მხარისთვის დაკისრებულ განსაწმენდელ ფიცს ნიშნავს.

ჭერი იხსენიება აგრეთვე ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 77-ე მუხლშიც. „გამოჩენილად მოწმით მათხოვნი ქალი ან ნიშანმიტანილი ქალი მამამ რომ გაათხოოს ან სხვამან კაცმან წაართვას, მესამედი სისხლი მისცეს. თუ მაგაზე შესცილდნენ, რომ არ მამითხოვბიოა, ისევე მოწმითა და ჭერით გარიგონ“.

ფოლადლური ხანის საქართველოში „გამოჩენილად მოწმით მათხოვნი ქალის“ ან „ნიშანმიტანილი ქალის“ სხვაზე გათხოვება დიდ სირცხვილად და საუბატიო საქმედ ითვლებოდა. ამიტომაც ეს არცთუ იშვიათად ოჯახებს შორის მტრობას და სისხლის ღვრას იწვევდა. ასეთ ვითარებაში კანონმდებელი, ცხადია, სოციალური მშვიდობის საქმეს ემსახურება და ცდილობს შეურაცხოვლო სასიძოს ოჯახი შეარიგოს ქალის მშობლებს ოჯახთან. დანაშაულში ექვემდებარებულს გასათხოვარი ქალის მამას — ჭერის, განსაწმენდელი ფიცის მეშვეობით საშუალება ეძლევა თავი იმართლოს.

როგორც ვხედავთ, „ჭერი“ ქართული სამართლის მიხედვით, მნიშვნელოვანი სასამართლო მტკიცებულება იყო.

მტკიცებულება „ჭერი“ ვხვდებოდა აგრეთვე ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 210-ე მუხლში. ნორმა აწესრიგებს პირთა შორის ისეთ ურთიერთობას, როდესაც ვინმე ვინმეს „კაცს“ ათხოვებს, ხოლო ეს უკანასკნელი რაღაც მიზეზების გამო პატრონს დაეკარგება. ასეთ შემთხვევაში იმას, „ვინც ის კაცი ითხოვა და ებარა და უყვანდა, ჭერი დაედების რაზე, ასე რომე არც მას კაცს მხლად გაეგზავნოს და არც არა დასაკარგავი

ეწყინოს რაზე, რადგან ასრე ჭერი უყოს, აღარას ემართლებინ, ორთავე ხწორედ სძებნონ.

როდესაც გამოჩნდეს და იბოვონ, თუ როგორც ჭერი ქნა, ისრე ყოფილიყოს და მართალი იყოს, ის კაცი თავისვე პატრონს მიეცეს; და სხვა საწლაური, რაც იმის მომპარავს გამოართვან, ვისაც რომ ის კაცი ნათხოვრად ჰყვანდა და ებარა. იმას მიეცეს, — ამისთვის რომე, უბრალოდ დაუფიცინია და ფიცის საუბატიო მან ჭურდმან უნდა გარდაუხადოს“.

ამ სამართლებრივი ნორმის თანახმად, „ჭერი“ იგივე განსაწმენდელი ფიცია, ფიცის ერთ-ერთი განსაკუთრებული სახეობაა. „ჭერის ყოფა“ ათავისუფლებდა ექვემდებარებულს ან ბრალდებულს პასუხისმგებლობისაგან.

ამ მასალების მეშვეობით ცხადია, რომ ჭერი ანუ განსაწმენდელი ფიცი ისეთი სერიოზული სახის მტკიცებულება იყო, რომ მისი შესრულების შემდეგ მკვლელობაში ბრალდებისგანაც კი თავისუფლდებოდა ექვემდებარებული ან ბრალდებული.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 42-ე მუხლში ჩამოთვლილია პირის პასუხისმგებლობის გამომრცხველი გარემოებები. მათ შორის ერთ-ერთი ასეთია: „თუ ვინმეს ომში თავისი ღრმის კაცი“ „უშტრო და უქიშპარი“ „უცნობლად შემოაკვდება“, ეს მეომარი ამისთვის სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს. მაგრამ, „თუ ქიშპნი და ნამტერაღნი ყოფილან და მკვდრის პატრონი შესწამებს განზრახვით მოკლაო, იმას ან ჭერი ან სისხლი უნდა“, ამბობს კანონმდებელი.

ამ შემთხვევაშიც „ჭერი“ განსაწმენდელი ფიცი, სერიოზული სასამართლო მტკიცებულებაა, რომელსაც შეუძლია მეომრის დახსნა განზრახ მკვლელობაში ბრალდებისაგან.

როგორც ცნობილია, ვახტანგ მეექვსის განკარგულებით სომხურიდან ქართულად ითარგმნა მხითარ გოშის სამართლის წიგნი. სხვანებული ძეგლის 228-ე მუხლში იხსენიებენ

„ჭერი“, რომელიც აქაც განსაწმენდელი ფიცს ნიშნავს: „თუ მიაბაროს კაცმან თავის ამხანავს ხარი, ცხვარი ან სახედარი, ანუ სხვა რამ პირუტყვი, მოიტებოს რაზე და მოკვდეს ან მოიტაცონ და არ იცოდნენ, თუ როგორ მოკვდა, მათ შუაში ჭერი მოხდეს“. „ჭერის“ ანუ განსაწმენდელი ფიცის მიღება იმ კაცის ამხანავს ევალდება, ვისაც პირუტყვი მიაბარეს და ვის ხელშიაც პირუტყვმა მოიტება რაზე, ან მოკვდა. „თუ პირუტყვის პატრონმა ჭერი

არ აქნევინა და თქუა, ჩაუფლია, არც ავი და არც კარგია, — ის არის“⁷

მაშასადამე, უმეპველად მტკიცდება, რომ ჭერი იყო ფიცის ის განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც სამართლის ისტორიაში განსაწმენდელ ფიცს უწოდებენ, რუსულად მას ერქვა «очистительная присяга».

უაქტია, რომ XVII საუკუნის საქართველოში ფიცს და ჭერს ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ. ამიტომაც არის, რომ ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძისთან ვხვდებით ასეთ აღვალს: „ამისათვის უღონონი იყვენ სოშენნი, რომ სხვა რიგად ფიცით და ჭერთ არ გარდასწდებოდა“⁸ საქმეო. ჭერი, ჩვენი აზრით, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ამ მონაკვეთშიც „განსაწმენდელ“ ფიცს ნიშნავს. მოკლედ, ნაპოვინა „ჭერი“ სიტყვის სამართლებრივი ანუ იურიდიული მნიშვნელობა. ჭერი ანუ განსაწმენდელი ფიცი, მართალია, მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყო, მაგრამ, თუ საქმე ისეთ უმძიმეს დანაშაულს ეხებოდა, როგორც ტახტის მემკვიდრე უფლისწულის მკვლელობა იყო, მაშინ ბრალდებისაგან თავის გასამართლებლად „ჭერი“ საქმარისად არ ითვლებოდა.

როგორც წემოთაც აღვნიშნეთ, როდესაც ქართლის მეფის როსტომის მემკვიდრის ლუარსაბ ბატონიშვილის მკვლელობა სიაოშ ბარათაშვილმა ბაინდურ თუმანიშვილს დააბრალა, ამ უკანასკნელმა „აშორო თქვა“. ასეთ ვითარებაში, მაშინდელი მართლმეტყველების თანხმად, ფიცით და „ჭერთ“ ასეთი მძიმე საქმის შესახებ ჭემმარტების დადგენა შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, დასაშვებლად ითვლებოდა მხარეთა სასამართლო ორთაბრძოლის (შებმის) მეშვეობით დადგენილიყო იგი. ჭერი ანუ განსაწმენდელი ფიცის დაუშვებლობა სახელმწიფოს მმართველობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულის გამოსარკვევად ნათლად შეტყუებებს, რომ ამ მტკიცებულებისადმი შეუწულებელი ნდობის ხანა უკვე წარსულს ჩაბარდა. ჭერი უკვე აღარ იყო უნივერსალური მტკიცებულება იმ აზრით, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელი ყოფილიყო უმძიმეს დანაშაულში ბრალდებისაგან განწმენდა-განთავისუფლება. მაშასადამე, ჭერი, როგორც მტკიცებულება, გამოუკლებლივ ყველა შემთხვევაში არ დაიშვებოდა. მაგრამ ეს, შესაძლოა, მაინც გამოხატვის იყო, რომელიც ხაერთო წესს ვერ ცვლიდა. ძველ ჭერის,

ანუ რიგის გადმონაშთი, საფიქრებელია, იყო სწორედ ისეთი საშიში მტკიცებულება, როგორც სასამართლო ორთაბრძოლა.

სამართლის ისტორიამ იცის იმის მაგალითებიც, როდესაც კანონმდებელი ფიცის მეშვეობით დაუდგენელ ჭემმარტებას ხბლის, ორთაბრძოლის მეშვეობით წყვეტდა. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობას განსაზღვრული არ ჰქონდა, თუ რომელ მოდავე მხარეს ეკუთვნოდა განსაწმენდელი ფიცის მიღების უფლება, არცთუ იშვიათად მოსამართლის წინაშე მიიმე და ორჭოფული პრობლემა წარმოიშობოდა. როგორც ბრალდებულის, ასევე ბრალმდებელი მოთხოვდა ხლომე ფიცის მეშვეობით გადაწყვეტილიყო საქმე და ორივე მხარე იღებდა ფიცს. ცხადია, ასეთ ვითარებაში ერთ-ერთი მხარე უთუოდ ცრუმოფიცარის როლში გამოდიოდა. ამიტომ ბრალდებულის და ბრალმდებელი სასამართლო ორთაბრძოლაში გაჰყავდათ. მიიჩნევდნენ, რომ ბრძოლაში გამარჯვებულმა მხარემ მიიღო ნამდვილად ჭემმარტი ფიცი. სასამართლო ორთაბრძოლა მთელ რიგ ხალხებთან სხვადასხვა ფორმით სრულდებოდა. ძველ რუსეთში მიღებული იყო, რომ მოწინააღმდეგეებს ერთმანეთისათვის თმაში ჩაეკლათ ხელი და მთელი ძალით თავისკენ მოექაჩათ. ეს წესი რუსეთში XVII საუკუნემდე არსებულა. ძველ რუსულ ანდაზაში «Попадайся по рукам, будет тебе волосам» სწორედ ხალხის თვალსაზრისით ასახული ხსენებული სასამართლო მტკიცებულების შესახებ.

პ. ბერილის და ლ. ზინის მიხედვით, ძველ რუსულ სამართლებრივ პრაქტიკაში ფიცის აღმნიშვნელი სიტყვა «Рота» (როტა) ნიშნავდა დავას, წინააღმდეგობის გაწევას და ბოლოს სიტყვიერ ფიცსაც.

გამორიცხული არ არის, რომ კავკასიაში მოსახლე ხალხებშიც ხდებოდა მსგავსი მოვლენა. ყოველ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ჭერი განსაწმენდელი ფიცი ორთაბრძოლასა და წინააღმდეგობის გაწევასთან იყო დაკავშირებული.

ფარსადან გორგიჯანიძისთან ვკითხულობთ:

„ლისხ იქით ლაშქრობასაო თურქნი დიად შეჭერებულანო, ჩივიან და ასრე მოგახსენესო“, „ამ ურგებ ტყეში რა გვიანდო“, „თურქნი შეჭერდნენ ვახტანგის ომსა“ და ა. შ.

ფარსადან გორგიჯანიძის აღწერილი აქვს

⁷ იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, თბ., 1963, გვ. 305.

⁸ ს. კაკაბაძე. „ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია“, „საისტორიო მოამბე“, წიგნი მეორე. 1925, გვ. 58.

თემურ ლენგის ლაშქრობა თბილისის ასაღებად ისტორიკოსის ცნობით, „სანაშდისინ ქალაქის გალავანი არ აეღოთ, დღეში ორჯელ სამჯერ ქართველნი გამოვიდნენ და წაუშენდნენ თურქთა“, „მაგრამ მთებიდან ზარბაზნის ცემით შიგნით შეჭერდნენ“. „თაბორის წვერიდამენ ზარბაზნით შეაჭრეს და ღონე გაუწყდა და უფენლობის ფიციადა პირი გამოართვეს და მეფეც თემურთან მოვიდა...“⁹

ხალხურ „არსენას ლექსში“ მთავარი გმირის არსენა ოქელაშვილის მისამართით ნათქვამია:

„შვიდ წელიწადს ტყვედ იარა, მთა და ბარი შეაჭერა“.

შეჭერბა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებების ზემოთ მოყვანილ ადგილებში უკავშირდება ბრძოლას, ომს, ბრძოლით და ომით გულის დაკაყოფალებას, ბრძოლისგან დაქანცულობას, ბრძოლით „გაძლიმას“.

ხოლო „არსენას ლექსში“ გამოთქმა „მთა და ბარი შეაჭერა“ ნიშნავს მთა და ბარი შემოიარა. გადატანით მნიშვნელობით მთა და ბარის შემოვლით დაიქანცა, ხოლო პირდაპირი გაგებით — მთა და ბარი მოქანცა, მთა და ბარი გააძლი თავისი სიარულით.

ფიცი ორდალები გვერდით და ორდალებთან შერწყმით ადრეფოლოლორ და ფეოლოლორ საზოგადოებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გავრცელებული სასამართლო მტკიცებულება იყო. თუ ორდალები ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში მტკიცებულება გახლდათ, ფიცი უშუალოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში აქტი აღარ იყო. ფიცი ამ ასპექტით (როდესაც იგი ბარბაროსულ ორთაბრძოლას საბოლოოდ გაემიჯნა) უფრო მაღალი სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელი მტკიცებულება იყო, ვიდრე ორდალები.

თუ ორდალების ისეთი სახეობანი, როგორც არის სასამართლო დუელი, შანთი, მდულარე და სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში მტკიცებულება იყო, ფიცი უშუალოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში აქტი აღარ არის. როგორც ბ. შურცი აღნიშნავდა, ფიცი ორდალებთან შედარებით უფრო მაღალი სამართლებრივი კულტურის მატარებელი მტკი-

ცებულება იყო. ამასთან ერთად ძველ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა განსაწმენდელ ფიცს, ე. ი. ფიცის ისეთ სახეობას, რომელიც ბრალდებულსა და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს მართლმსაჯულების ორგანოების, სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე თავის მართლების საშუალებას აძლევდა. მტკიცებულების ამ სახეობას, ვფიქრობთ, შემთხვევით არ ეწოდა „ჭერი“. ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა ქცივის მართებული წესი, ის, რაც მართებულია. აგრეთვე განსაწმენდელი ფიცი, მაშინდელი საზოგადოების თვალსაზრისით, მართებული იყო, რომ პიროვნებას მინიჭებოდა გარკვეული საპროცესო გარანტია, რომლის მეშვეობითაც მას უნდა შესძლებოდა თავისი უდანაშაულობის დამტკიცება და ამით ხელისუფლების წარმომადგენელთა თვითნებობისაგან თავის დაცვა. ცხადია, როგორც ეს ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის მშ-ე მუხლიდანაც ჩანს, ჭერის ანუ განსაწმენდელი ფიცის მიღება ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაფიცებას არ ნიშნავდა. ზოგჯერ კანონმდებელი ბრალდებულს ავალდებდა, ვთქვათ, კეთილ მიეღო და ორ უმტერ-უმოყვრო კაცთან ერთად, ე. ი. თანამოფიცრებთან ერთად. ცხადია, რომ ეს თანამოფიცრები საზოგადოებაში პატიოსანი სახელის მქონენი, ნდობამოხვეჭილნი უნდა ყოფილიყვნენ.

ჭერი მრავალი მნიშვნელობის მქონე სიტყვა იყო. აკად. ნ. მარს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ იგი მარკოზის სახარების ერთი ადგილის მიხედვით სამართალსაც კი ნიშნავდა.¹⁰ ირკვევა, რომ ეს მოსაზრება არ არის ზუსტი. ეს თვით მკვლევრის მიერ მიითვებული წყაროებით დადასტურდა. მაგრამ „ჭერი“ რომ სამართლის ცნებასთან იყო გარკვეულად დაკავშირებული, ეს უდავოა. გვიანი შუა საუკუნეების ქართულ დოკუმენტებში ვხვდებით წესის, რიგის, ჭერის სავსებით ერთნაირი ან თითქმის ერთნაირი მნიშვნელობით ხმარებას. ჭერი განსაწმენდელ ფიცთან ერთად ნიშნავდა აგრეთვე იმას, რაც მართებულია, წესრიგს, რიგს და ა. შ.

არ არის გამორიცხული, რომ ადრეულ ხანაში „ჭერი“-ს მრავალმნიშვნელოვნობა კიდევ უფრო ვრცელი იყო. სინურ მრავალ-

⁹ იხ. ს. კაკაბაძე, „ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია“, საისტორიო მოამბე, წ. II, 33-302-304, 311.

¹⁰ ნ. მარს აზრით ჭერი- ნიშნავდა «Рука»-ს, «право»-ს, «долг»-ს, ჭერის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ის უთითებდა მარკოზის სახარების ადგილებს: III,4; II,94, II,26.

თავში „ჭერი“, მაგალითად, მიწის მნიშვნელობით არის ნახშირი. ეს ძველი კი, დანამდვილებით ვიცით, რომ აღრეფოდალურ ხანაშია (864) ვადაწერილი. „სინურ მრავალთავში“ ვკითხულობთ: „რომლის ჭერისთვის — მე გუაშრომებს ჩუენ დედოფალი ესე“. ორითავე ჭერითა განაილა ღმერთმან სახსენებელი მარტვილთა; თაუჟანისმცემელთა მისთა“¹¹.

ბასილი კესარიელის სწავლათა ე. ათონელისეულ თარგმანში ჭერონი საქმარისს ნიშნავს. უფრო აღრე ჭერი დაკავშირებული იყო მოდავე მხარეების შერიგებასთან, მათი გულის დაკმაყოფილებასთან. აღრეკლასობრივ ეპოქაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება შედარებით სუსტი იყო, მთავარ საქმედ ითვლებოდა, რომ მხარეებისათვის ხელი აეღებინებინათ თვითნებობაზე და მიემართათ სასამართლოსათვის. ხოლო სასამართლო თავისი მხრივ არცთუ იშვიათად მხარეებს ჭერის, განსაწმენდელი ფიცის მეშვეობით მოარეგებდა და გადააწვეტინებდა დავას, ზოგჯერ სისხლის სამართლის საქმესაც. „ფიცით შეჭერებას“ ვხვდებით შოთარუსთველთანაც („მეფეც ფიცით შეგიჭერო, არავისთვის არ გაგწირო“, სტრ. 865), და, რაც უფრო საყურადღებოა, პოეტი ამბობს:

„კაცსა ფიცნი გამოსცდიანო“.

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად საწინააღმდეგო იყო ამა თუ იმ პირის პიროვნული ღირსება, ფიცი, ასე ვთქვათ, იყო ადამიანის მორალური ღირსების სასინჯი ქვა. ჭერი რომ რწმენას ნიშნავდა, ეს ჩანს „დამიჭერე“ — „დაჭერება“ სიტყვიდანაც. „დამიჭერე“ ნიშნავს მერწმუნეს, ხოლო დაჭერება — დარწმუნებას. სინურ მრავალთავშივე რწმენა (ვიწამებ) გვხვდება დაჭერების მნიშვნელობითვე.¹²

ვფიქრობთ, რომ ოდესღაც აღრეკლასობრივ ხანაში ქართული „ჭერი“ ნიშნავდა ღვთაებრივ სამართალს, დაახლოებით იმას, რასაც რომაული „ფას“¹³. თავისთავად განსაწმენდელი ფიციც ხომ ღვთაებრივი სამართლის განხორციელება იყო. ფიცი ყოველთვის შეიცავს თვითწვევლის ფორმულას, რომელიც ცრუმოფიცარის სასჯელად მოისახურება, ცრუმოფიცარის დამსჯელად კი ღმერთი იგულისხმება. „ჭერმა“ დიდი ადგილი დაიკავა ფეოდალური საქართველოს იურიდიულ ყოფაში. იგი მოჩანს ქართულ ნასყიდობის დოკუმენტებშიც, კერძოდ: „გულის შეჭერების“ კლასიკულად, მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

¹¹ იხ. ი. იმნაიშვილი. „სინური მრავალთავი“. გამოკვლევა და ლექსიკონი. თბილისი 1975. გვ. 239, 255, 270, იქვე გვ. 144. „სინურ მრავალთავშივე“ გვხვდება უჭერებლობა დაუჭერებლობა, დაურწმუნებლობა.

¹² 1977 წლის სექტემბერში „ჭერის“ მნიშვნელობის შესახებ ავტორი ესაუბრა აკად. ა. შანიძეს და აკად. ა. ჩიქობავას. მსცოვანმა მეცნიერებმა ეჭვი გამოთქვეს ნ. მარის იმ შეხედულებების გამო, თითქმის მარკოზის სახარების ქართული თარგმანის მიხედვით ჭერი ნიშნავს სამართალს. მაგრამ ჭერი რომ სამართალთან დაახლოებული მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ჩანს XI საუკუნის ცნობილი ძეგლიდან — პეტრიწონის ქართულთა მონასტრის ტიპიკონიდან, სადაც ხშირად გვხვდება, როგორც ჩანს, უკვე დამკვიდრებული გამოთქმა: „ჭერი არს და სამართალ“.

„სამართალი“ აქ უნდა ნიშნავდეს „სწორია“-ს არ არის გამორიცხული, რომ ქართული „ჭერი“ ოდესღაც, ისევე როგორც ლათინური „რელიგიო“ ნიშნავდა ნამუსს, სინიღისს.



ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია

3. სურგულაძე

ირანის პირველი კონსტიტუცია 1906 წელს აღწა მიღებული, ხოლო დამატება — 1907 წელს. კონსტიტუცია პირველი იყო ირანის ბურჟუაზიული რევოლუციისა, რომელიც ქვეყანაში გაჩაღდა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის უშუალო ზეგავლენით და მიმართულა იყო ყაჯართა ფეოდალურ-დესპოტური მონარქიისა და იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ. პირველი მოწვევის მეჯლისი, რომელმაც დაამტკიცა ირანის კონსტიტუცია, უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე მომდევნო მოწვევების მეჯლისი. კონსტიტუციის მიღება მოასწავებდა ირანის გადასვლას ფეოდალური დესპოტიიდან პარლამენტურ მონარქიასზე.

კონსტიტუცია, პირველად ირანის ისტორიაში, აღიარებდა სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოებში ხალხის მონაწილეობის უფლებას, ზღუდავდა მონარქის პრეროგატივებს, აწესებდა პიროვნების საცხოვრებლობისა და საკუთრების ხელშეუხებლობას, საზოგადოებების, კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის შეზღუდულ თავისუფლებას. იგი კვცავდა ფეოდალთა და ხანთა ყოვლისშემძლეობას, ამასთან „კანონიერი“ საკუთრების დაცვის გარანტიით ფაქტობრივად აკანონებდა მემამულურ-ფეოდალურ მიწათმფლობელობას.

მონარქიული რეჟიმის დამხობისა და 1979 წლის 1 აპრილს ისლამური რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ირანის ძველი კონსტიტუცია გაუქმდა. ახალი კონსტიტუცია მიღებისათვის მზადება რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე დაიწყო. მისი შემუშავება ისლამური რესპუბლიკის მთავრობამ სწავლულ იურისტ-ისლამისტთა გვერდს დააკისრა. 1979 წლის ზაფხულში საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნდა ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი. კონსტიტუციის პროექტის ირგვლივ გაჩაღდა ბრძოლა, რომელიც ასახავდა ისლამური რესპუბლიკის არსებობის პირველსავე თვეებში კლასობრივ ძალთა ახლებურ განლაგებას. წარმოდგენილი პროექტის საბოლოო დამუშავებისათვის მთავ-

რობამ შექმნა „ექსპერტთა საბჭო“, რომელიც უმთავრესად სასულიერო პირებისაგან შედგებოდა. კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტის შერჩევაში ერთსულოვნება არც ამ წრეში იყო.

— „ირანში ხელახლა ხდება რევოლუცია, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პირველი“ — თქვა აიათოლა ხომეინიმ ირანელი ხალხისადმი მიმართვაში 1979 წლის 4 ნოემბერს, კონსტიტუციის დამტკიცებამდე 11 დღით ადრე. ეს ფრაზა ასახავდა იმ ურთულეს ვითარებას, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა მონარქიული რეჟიმის დამხობის შემდეგ და გულისხმობდა არა მარტო ძირეულ ეკვილიბრებს, რომლებიც რესპუბლიკის ახალ ძირითად კანონს უნდა მოჰყოლოდა, არამედ ბრძოლას ამ კანონის დაცვისა და შენარჩუნებისათვის. ეს კი ახალ ვითარებაში დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

ფართო ფრონტი, რომელიც მონარქიული რეჟიმის დამხობის პერიოდში სხვადასხვა სოციალური შემადგენლობის და ინტერესების მქონე საზოგადოებრივ ძალებს აერთიანებდა (მუშათა კლასი, გლეხობა, ხელოსნები, წვრილი ბურჟუაზია — ქალაქის საშუალო ფენები, ბაზრის მოვაჭრენი, აგრეთვე ლიბერალური ბურჟუაზია) შაჰის რეჟიმის დამხობისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ დაიშალა და ერთმანეთს დაუპირისპირდა. ინტერესთა ამ სხვადასხვაობამ თავი იჩინა თვით ხელისუფლების მესვეურთა კონფლიქტშიც. ახალი ხელისუფლების პირველი ღონისძიებანი და საპროგრამო მიზანდასახულობანი, რომლებმაც კონსტიტუცია ითვალისწინებდა, სრულყოფილად არ შეესაბამებოდა ირანის საზოგადოების პრივილეგიური კლასებისა და ფენების ინტერესებს, რომელთა წარმომადგენლობა ისლამური რესპუბლიკის პარლამენტში საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი აღმოჩნდა. ამ ძალების კოორდინაციის პოლიტიკას ახორციელებდა დროებითი რევოლუციური მთავრობის პირველი პრემიერ-მინისტრი მეჰდი ბაზრჯანი, რომლის ამოცანა ის იყო, რომ

არ დაეშვა ქვეყანაში რევოლუციის შემდგომი გაღრმავება და ირანი კვლავ კაპიტალისტური გზით წარემართა, ოღონდ უმოწინააღმდეგოდ და მეტი ეროვნული თავისთავალობით.

ხომეინისტებს ამ ეტაპზე ბრძოლა უხდებოდათ არა მარტო მონარქიული რეჟიმის ნაშთების კონტრარევოლუციური შემოტევისა და ლიბერალური ბურჟუაზიის საშუალო ხალხის წინააღმდეგ; არამედ მემარცხენეთა წინააღმდეგაც, რომლებიც ანგარიშგასაწევი ძალები იყვნენ და მიზნად ისახავდნენ ნამდვილად პროგრესული იდეების პრაქტიკულ განხორციელებას. მემარცხენეთა ბანაკი აერთიანებდა სხვადასხვა პარტიასა და ჯგუფს (ირანის სახალხო პარტია „თუდე“, „ფედერაციონალური“, „მოჯაჰედინე ხალყ“, მემარცხენე „სტრემისებები და ამ პარტიებიდან გამოსული წვრილი დაჯგუფებანი — მაიოტიები, ტროცკისტები). ეს ძალები ხომეინისტების პარტიკულად იმპერიალიზმის ხედავდნენ არა ირანის საზოგადოებრივ ცხოვრების პროგრესს, არამედ უკანდახევას შუასაუკუნეებრივი თეოკრატიული რეჟიმისაკენ. შიიტური უღმერთო ქვეყნის მმართველობის სათავეში მოსვლა მათ მიანიჭებდათ რევოლუციის ჰემარკიტი გზიდან გადახვევად და ირანელ ხალხს მოუწოდებდნენ ებრძოლათ ნამდვილი სოციალური სამართლიანობისათვის.

ახალი კონსტიტუციის შემუშავება მიმდინარეობდა ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს შორის გაჩაღებული აშკარა თუ ფარული ბრძოლების ფონზე. ყველაზე მეტად ჩქარობდნენ აიათოლა ხომეინი და მისი მიმდევრები, რომლებიც ცდილობდნენ, კონსტიტუციურად დაეკანონებინათ მათ მიერ შემუშავებული ირანის მომავალი ცხოვრების პროგრამა.

კონსტიტუციის პროექტის გარშემო გაჩაღებული ცხარე კამათი ასახავდა ამ დაპირისპირებულ საზოგადოებრივ ძალებს და ჯგუფების განწყობილებას. მემარცხენე და დემოკრატიული პრესა მოითხოვდა, რომ კონსტიტუციის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიეღოთ მშრომელი მასების ინტერესების გამომხატველ ორგანიზაციებთან და მოღვაწეებს. ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიებზე მდგარი მოკამათეები ზანგასმით

აღნიშნავდნენ, რომ რესპუბლიკურ ირანში უფრო მეტად შეეწყობოდა ხელი კაპიტალიზმის განვითარებისათვის, რაც მათ საზოგადოებრივი პროგრესის მთავარ ტენდენციად მიაჩნდათ. ხომეინისა და ისლამური რელიგიის სწავლამდგამი პირები კონსტიტუციის ზოგადი დანიშნულებად და ძირითად მიმართულებად ისლამური ტრადიციების აღორძინება მიაჩნდათ. ენერგიული ბრძოლა მიმდინარეობდა კულისებშიც სხვადასხვა მიმართულების სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. მაგამ კონსტიტუციის ისლამური ხასიათის დადგენაში სრული ერთსულოვნება არც თვით რელიგიურ ზედაფენაში იყო. აქ თავი იჩინა ისლამის ფუნდამენტური გაგების, მისი მოღერნიზაციის, ისლამში წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმის ძიების ტენდენციებმა.

რელიგიურ მესვეურთა შორის კონსტიტუციის პროექტის ირგვლივ, ისევე როგორც 1906-1907 წლების კონსტიტუციის შემუშავებისას ბრძოლა გაჩაღდა სასულიერო წოდების როლის გამო. მაშინ ყაჯარა სახელმწიფოსა და სასულიერო წოდებას შორის კონფლიქტის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა სამართლებრივი სისტემის დარღვევა. დავა იყო იმაზე, თუ რომელი დაეკანონებინათ, არსებული ორი სამართლებრივი სისტემიდან, შარიათი (მუსლიმური სამართალი) თუ ურფი (ადათობრივი სამართალი). პირველს მუსლიმური სასულიერო წოდება იცავდა, მეორეს — სახელმწიფო ხელისუფლება.

ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვისას უმაღლეს სასულიერო წრეებში თანდათან ძლიერდებოდა განხეთქილება. ხომეინი მოთხოვდა, რომ კონსტიტუცია შეემუშავებინა შიიტ უღმერთო რეჟიმო ჯგუფს და მზასახით გამოეტანა რეფერენდუმზე. მისი აზრით, ისლამური სახელმწიფოს კონსტიტუცია მხოლოდ ისლამის დოგმებს უნდა დაყრდნობოდა. მისი მოთხოვნით, კონსტიტუციაში შეტანილი საგანგებო თავი უმაღლესი ღვთისმეტყველის ან ღვთისმეტყველ ფაყიჰთა ხელისუფლების შესახებ ზრდიდა სახელმწიფოში სასულიერო წრეების მესვეურთა პრეროგატივებს და მათ კონსტიტუციურ ხელისუფლებაზე მალა აყენებდა. დამახასიათებელია ხომეინის განცხადება, რომელიც მან გააკეთა ისლამური კონსტი-

¹ უღმერთო — სწავლული ღვთისმეტყველი ირანში.

² С. М. Алиев, Проблемы политического развития Ирана, ж. «Азия и Африка сегодня», 1980, № 11, стр. 17.

³ Г. С. Чипашвили, Новая конституция Ирана и некоторые аспекты исламских традиций. Мат-лы Ташкентского совещания. М., 1980. стр. 155.

ტუციის არსთან დაკავშირებით: „ჩვენ არ შეგვიძლია შეველიოთ ყურანს, ის, ვინც აცხადებს, რომ ბოიკოტს გამოუცხადებს რეფერენდუმს, თუ კონსტიტუციური ასამბლეა არ შეიქმნა, კომუნისტია. ჩვენ გვინდა შევქმნათ ისლამური, და არა დასავლური საწყარო. ჩვენ არ გვესაჭიროება დასავლური და პროდასავლური იურისტები, მათ არა აქვთ უფლებამოსილება ჩაერთონ ისლამურ კანონში. ჩვენ არ გვინდა შევექმნათ მოსკოვური ან ამერიკული კონსტიტუცია. ჩვენ გვინდა კონსტიტუცია ისლამური და იგი უნდა შეიმუშავონ ადამიანებმა, რომლებიც უპირველესად ისლამში არიან გაფიქსირებული“⁴.

„ველაით-ე ფაყიზის“ დებულება, რომელიც ხომეინიმ ისლამური მმართველობის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად გამოაცხადა, ახალი არ არის ისლამის შიიტურ მოძღვრებაში. ირანის ღვთისმეტყველთა შორის ეს იდეა აღმოცენდა ადრე, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, როცა მიმდინარეობდა მუსლიმური ქვეყნის მომავალი ბედ-იღბლის თვალსაზრისით დიება. იგი ემყარება შიიზმის ერთ-ერთ ძირითად დოგმას — მესიანის კონცეფციას. „გამქრალი“ იმამის მოსვლამდე ისლამურ სახელმწიფოში მისი ფუნქციების შესრულება უმალეს მოძღვარს — ფაყიზს აქვს დაკისრებული. ხომეინისტებს კონსტიტუციის განხილვის პერიოდში ასეთ უმალეს ხელისუფლად, მოძღვრად (რაჰბარ), ფაყიზად უკვე ჰყავდათ ნაგელისხმევი აიათოლა ხომეინი, რომელსაც ისლამურ რესპუბლიკაში „გამქრალი“ იმამის მოადგილეობა, მისი ფუნქციები უნდა შეესრულებინა.

ფაყიზის მმართველობის ხომეინისტურ დებულებასან საკონსტიტუციო საბჭოში წინა აღუდგა გავლენიანი აიათოლა შარიათმადარი, რომელსაც ხომეინის დაბრუნებამდე დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული მთელ ირანში. ხომეინის დაბრუნების შემდეგ რევილუციის დღეებში შარიათმადარი ხელმძღვანელობდა „ისლამური ხალხის პარტიას“, რომელიც ყველაზე გავლენიანი იყო ახლად ჩამოყალიბებულ ისლამურ რესპუბლიკაში. შარიათმადარი, უმალესი შიიტური სასულიერო წოდების ზომიერი პროპაგანდისტული ფრთის ლიდერი შეშფოთებას გამოთქვამდა ხომეინის „რადიკალიზმის“ გამო. იგი, რა თქმა უნდა, მომხრე იყო კონსტიტუციას ისლამური სულისკვეთებისა საერთოდ, მაგ-

რამ ისლამური დოგმების დამახინჯებად მიანიშნა იმამური მმართველობის აღდგენა ხომეინისეული კონცეფციის საფუძველზე. დამახინჯათებელია, რომ შარიათმადარის მომხრეებს არც ხომეინის ჩგუფის გამაძრვების შემდეგ შეუწყვეტიათ ბრძოლა. მისმა მომხრეებმა თაერიზში მოითხოვეს რეფერენდუმის შედეგების გაუქმება და ხმა აიმაღლეს ხომეინის შეუზღუდველი პირეროგატივის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა შეიარაღებულ შეტაკებაც. ხომეინის მომხრეებმა შარიათმადარიც მოაწყვეს თავდასხმა, რომლის დროსაც მისი ორი მიმდევარი მოკლეს. თვით ხომეინი, ანგარიშს უწყევდა რა შარიათმადარის დიდ გავლენას, ცდილობდა მასთან კონფლიქტი მშვიდობიანად მოეგვარებინა. გავლენიანი იყო აიათოლა ტალეღანის ჩგუფიც. მას „მოჯაჰედინები“ თავიანთ ლიდერად აცხადებდნენ და ცდილობდნენ იგი დაეპირისპირებინათ ხომეინისტების ისლამური ექსტრემიზმისათვის. თვითონ ტალეღანი გაურბოდა ხომეინისთან წინააღმდეგობებს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მის (ხომეინის) მიმართებებს — ქვეყანაში განხორციელებინათ საერთო ისლამიზაცია — თანაგრძნობით არ ეკიდებოდა. აიათოლა ტალეღანი სასულიერო წრეების რადიკალურ-დემოკრატიული ფრთის ინტერესებს გამოხატავდა.

კონსტიტუციის პროექტის გარშემო პოლიტიკური ჩგუფებისა და პარტიების აქტიურ იდეოლოგიურ ბრძოლებში ხომეინის ავტორიტეტი, რომელიც როგორც აღვსიშნეთ, ამ დროისათვის ზენიტში იყო ასული, შეუვალი აღმოჩნდა. მკირე როლი როდი შეასრულა აგრეთვე იმ რეპრესიულმა ღონისძიებებმა და უნარიანმა პროპაგანდამ, რომელსაც ხომეინისტები ახორციელებდნენ, განსაკუთრებით მემარცხენე ძალების წინააღმდეგ. ახალმა კონსტიტუციამ, რომელიც 1979 წლის 15 ნოემბერს დაამტკიცა „ექსპერტთა საბჭომ“, დაკანონა, ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრება ისლამური დოგმების საფუძველზე.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ძირითადი დასაყრდენია შიიტური ისლამის დებულებანი, ყურანი. ეს ნათლად სჩანს კონსტიტუციის ზოგადი ნაწილის (პრეამბულის) შინაარსიდან, რომლის მიხედვითაც „ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია და-

⁴ З. А. Бовин, Иранская революция, хроника, документы, размышления. Ж. «Иностранная литература», 1980, № 7, стр. 249.

⁵ რუპოლა აღ-მუსავია აღ-ხომეინი. „ველაით-ე ფაყიზთეირანი, 1980. (სპარს. ენაზე.)

ფუნქციონირებს ისლამური პრინციპებისა და ლეგალიზმების მიხედვით, რაც ისლამური თემის მისწრაფებებს ასახავს⁶. აქვე ხაზგასმულია, რომ ისლამური რესპუბლიკა აღმოცენებულია ძველ ტრადიციებზე და შექმნილია წმინდა ყურანის საფუძველზე აიათოლა ხომეინის მეთაურობით. კონსტიტუციის პირველი მუხლი აცხადებს, რომ ირანი წარმოადგენს ისლამურ რესპუბლიკას. მეორე მუხლში ჩამოყალიბებულია ის პრინციპები, რომლებსაც ისლამური რესპუბლიკა ემყარება. ეს არის ერთღმერთიანობა („ლა ალაჰ ოლ ალაჰ“), მისდამი მორჩილება და, თუ საჭირო გახდა, მისთვის თავის განწირვა, კანონებისათვის ისლამური ტრადიციების ხასიათის მინიჭება, ადამიანთა საქმიანობაში ღვთის სახელით ისლამური ტრადიციების დამკვიდრება, სამართლიანობა და ღვთისმოსაობა, ირანის ისლამური რეგიონების წინაშე დასახული მიზნების განხორციელებლად მთავარი როლის მიკუთვნება რელიგიური პირებისა და, უპირველეს ყოვლისა, მოძღვრისათვის, პასუხისმგებლობის გრძნობა ალაჰის წინაშე.

ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებაში პირველი ფიგურა, მთავარი კანონმდებელი და ქვეყნის ცხოვრების წარმმართველი ერთპიროვნული ფაყიჰია. ან ფაყიჰების⁷ საბჭოა. კონსტიტუცია „სამართლიან ფაყიჰს“ სახელმწიფო მმართველობის პასუხისმგებლობას აკისრებს. მოსახლეობა ასეთ ფაყიჰს მოძღვრად აღიარებს. მაგრამ თუ ერთი პიროვნება არ ცნო მოსახლეობამ, მაშინ შეიქმნება ფაყიჰთა საბჭო, ანუ ქვეყნის რეაქციონარული კოლეგიის დაქვემდებარებაში.

კონსტიტუციის მეორე თავი სავანებზეა გადგენილი მოძღვრისა და მოძღვართა საბჭოს კომპეტენტურობის განსაზღვრას. 107-ე მუხლში ნათქვამია, რომ მოძღვარი აღჭურვილი უნდა იყოს იმამ ხომეინის თვისებებით (მასხადამე, იმამ ხომეინის მიჩნეულია ერთპიროვნულ ფაყიჰად და მისი პირადული თვისებები, სიბრძნე და განსწავლულობა ეტალონი უნდა იყოს ხომეინის შემდგომ ფაყიჰთათვის). ხომეინის შემდეგ აღიარებული ყველა მოძღვარი თავდაპირველად მოძღვართა საბჭოში იწყებს მოღვაწეობას ამ საფეხურის

გავლის შემდეგ შესაძლებელია მისი წარდგენა ხალხის წინაშე ერთპიროვნული მოძღვრის ადგილის დასაცავებლად.

მაგრამ, როგორია ის აუცილებელი დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც მოძღვართა საბჭოს წევრებს ან ერთპიროვნულ მოძღვარს უნდა ახასიათებდეს? კონსტიტუციის მიხედვით, იგი უნდა იყოს მეცნიერული კომპეტენტური და ღვთისმოსავი, საზოგადოებრივად და პოლიტიკურად შორსმჭვრეტელი. ამასთან, ენერგიული და ხელმძღვანელის უნარით დაჯილდოებული.

ფაყიჰი ირანელი ხალხის ბელადია. ისლამური რესპუბლიკის ასეთი ბელადი ახლა ხომეინია, რომელიც გამქრალი XII იმამის ტიტულს ასრულებს. ფართო და მრავალმხრივია მისი უფლებამოვალეობანი; იგი წინაშეა საზღვარსგარეშე საბჭოს წევრ ფაყიჰებს, ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ორგანოს. მასვე ენიჭება ქვეყანაში ომის გამოცხადების და ზავის დადების, შეიარაღებული ძალების მობილიზაციის უფლება; იგი ზღვს აწერს რესპუბლიკის პრეზიდენტის დანიშვნას მას შემდეგ, რაც იგი ხალხის მიერ იქნება არჩეული; მას შეუძლია პრეზიდენტის გადაყენება, თუ იგი „კანონს გადაუხვევს“. ისლამური ტრადიციების საფუძველზე მას ძალუძს შეიწყალოს მსჯავრდადებული. ფაყიჰი ითვლება ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალად. მის ფუნქციებში შედის გენერალური შტაბის უფროსის დანიშვნა და გადაყენება, ირანის ისლამური რეგიონების გუშაგთა კორპუსის მთავარსარდალის დანიშვნა და გადაყენება, ირანის ერთგული თავდაცვის უზენაესი საბჭოს შექმნა და ამ საბჭოს წარდგინებით ცალკე სამივე სახეობის მთავარსარდალის დანიშვნა (მუხ. 110). მომდევნო მუხლით როცა მოძღვარი ან მოძღვართა საბჭოს რომელიმე წევრი ვერ შეძლებს ან დაკარგავს უნარს შეასრულოს თავისი უფლება-მოვალეობანი, ანდა ვეღარ აკმაყოფილებს თუნდაც ერთ-ერთ იმ პირობას, რომელიც 109 მუხლშია მითითებული, იგი უნდა გადადგეს. ამ მდგომარეობის განსაზღვრა ხაზარგანების კომპეტენციაში შედის.

⁶ ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია. თეირანი. 1979. (სპარ. ენაზე).
⁷ ისლამური იურისპრუდენციისა და შარიათის მცოდნე პირები, რელიგიური კანონმდებლები.
⁸ დღევანდელ ირანში ხომეინის, იმისათვის, რომ სხვა „უღიადესი აიათოლებისაგან“ გამოარჩიონ იგი და უფრო მაღალ სიმაღლეზე დააყენონ (თუმცა ოფიციალურად ყველა აიათოლა თანასწორია), იმამს უწოდებენ. თვით ხომეინი თავის თავს თელის არა XII იმამად, არამედ მხოლოდ მისი ნებასუბიექტის აღმსრულებლად დედაქმნის.

კონსტიტუციის ამ მუხლების შინაარსი ცხადყოფს, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში უმაღლესი ხელისუფლება თავმოყრილია ან ერთპიროვნული მოძღვრის (ამ შემთხვევაში ხომეინი) ან მოძღვართა საბჭოს — ფაყიძების ხელში. ქვეყნის მმართველობის ამგვარი ორგანიზაცია ისლამური ფუნდამენტალიზმის გამოვლინებაა. ეს არის ისლამის ისეთი გაგება, სადაც იდეალური ფორმებით წარმოდგენილია პირველი წინასწარმეტყველის მუჰამედის და მისი პირველი მემკვიდრეების ეპოქა. ისლამის პირვანდელი სიწმინდე და იმდროინდელი იმპერიის ძალა. მაგრამ ეს არ არის უბრალო მექანიკური განმეორება ძველისა. ძველი ფორმები და სიმბოლოები შეხამებულია თანამედროვეობასთან⁹. ისლამური რესპუბლიკის მმართველობის ფაყიძისადმი დამორჩილების ხომეინისეულ ალტერნატივას დასავლელი ბურჟუაზიული ორიენტალისტები მიიჩნევენ ისლამის რღვევად. მაგალითად, ცნობილი ორიენტალისტი ფაქ პერგი შენიშნავს, რომ ხომეინის იდეები ბევრად უფრო ჩამორჩენილია, ვიდრე ჰასან ალ ბანასი („ძმები მუსლიმების“ რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფუძემდებელი), რომელიც ოცდაათი წლის წინათ ჩამოყალიბდა, ან მუჰამედ აბდოში¹⁰, რომელიც სამოცდაათი წლის წინათ ცხოვრობდა. ხომეინი მოუწოდებს ხელისუფლების თავმოყრას რელიგიურ კანონმდებელთა (ფაყიძთა) ხელში, რაც ეწინააღმდეგება ისლამის მოძღვრებას, რადგან წინასწარმეტყველი მუჰამედი და მისი თანამებრძოლნი ფაყიძები არ ყოფილანო¹¹.

კონსტიტუციის მიხედვით საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს („მეჯლისი შურაიე ესლამი“). მეჯლისი შედგება 270 დეპუტატისაგან, რომლებსაც პირდაპირი და ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ირჩევენ (ერთ დეპუტატს ყოველ 150.000 მცხოვრებზე). ებრაელებს, ისირილებს, ხალდეელებს, ცეცხლთაყვანისმცემლებს, სამხრეთისა და ჩრდილოეთის სომხებს პარლამენტში თითო დეპუტატი ჰყავთ. მეჯლისის თითოეული დეპუტატი პირველ სხდომაზე დებს ფიცს, რომელშიც იძლევა საზეიმო აღთქმას — დაიცვას ისლამის სიწმინდე და იყოს მისი უსაზღვროდ ერთგული. მეჯ-

ლისი უფლებამოსილია ყველა საკითხზე მიიღოს დადგენილება, მაგრამ უფლება არა აქვს დაამტკიცოს ისეთი კანონი, რომელიც ზიანს მიაყენებს ქვეყნის ოფიციალურ რელიგიას და კონსტიტუციას. კონსტიტუციის 77-83 მუხლები განსაზღვრავენ მეჯლისის უფლებამოსილებას და გამოყოფენ იმ საკითხებს, რომლებიც არ შედის მისი განხილვის კომპეტენციაში („სახელმწიფო საზღვრების შეცვლა, ქვეყანაში სამხედრო წესების გამოცხადება“ და სხვ.). ისლამის სიწმინდისა და კონსტიტუციის დაცვის მიზნით იქმნება სახელმძღვანელო საბჭო, რომელშიც შედის ექვსი სამართლიანი და თანამედროვე საკითხების ღრმად მცოდნე ფაყიძი (მათი შერჩევა ეყრდნობა მოძღვარს ან მოძღვართა საბჭოს) და სხვადასხვა დარგის ექვსი იურისტი, რომლებსაც მუსლიმური სამართლისმცოდნე პირთაგან შერჩევენ. ამ საბჭოს შექმნაზე მეჯლისი არ არის უფლებამოსილი შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას. ეს საზედასწავლო საბჭო სწავლობს ყველა იმ კანონპროექტს, რომლებიც მეჯლისშია შეტანილი განსახილველად, და თუ ისინი არ შესაბამებიან ისლამის არსს, უკანვე აბრუნებს შესასწორებლად.

საკანონმდებლო ხელისუფლების მთელი ეს სტრუქტურა აშკარად მიგვანიშნებს მის თეოკრატიულ ხასიათზე. ამ ორგანოში გადამწყვეტი როლი სასულიერო წრეების წარმომადგენლებს ეკუთვნით.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ატარებენ პრეზიდენტი და მისი ორგანოები. პრეზიდენტი, მოძღვრის შემდეგ ქვეყანაში უმაღლესი ოფიციალური პირია (მუხ. 113). მას ევალება საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებული კანონების შესრულება. იგი კოორდინაციას უწევს ხელისუფლების სამივე ორგანოს მუშაობას. პრეზიდენტს 4 წლის ვადით ირჩევენ ქვეყნის მოსახლეობა პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ამასთან, როგორც აუცილებელი პირობა, იგი უნდა იყოს წარმოშობით ირანელი, უმწიკველი წარსულის მქონე და ოფიციალური რელიგიის უსაზღვროდ ერთგული. პრეზიდენტი დებს ფიცს, რომლის ტექსტში აგრეთვე გამაზივებულია ყურადღება ისლამური ტრადიციების დაცვაზე. პრეზიდენ-

⁹ Алюш Раковский, Ислам в современной политике мусульманских стран. Жд. «Новая мысль», Прага, № 2, 1981.

¹⁰ მუჰამედ აბდო — (1849-1905) — ისლამური რელიგიის ერთ-ერთი რეფორმატორი.

¹¹ К. Турдалиев, Религиозный фактор в Ирано-Иракском конфликте. Ислам и политика. Сб. инфор. мат.-ов. М., 1980. стр. 145.



ტი მტკიცებს პრემიერ-მინისტრის მიერ შედგენილი კაბინეტის შემადგენლობას, რომელსაც შემდეგ ნდობის ვოტუმს უცხადებს მეჯლისი (მუხ. 133). პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მინისტრთა საბჭოს და სამინისტროს საქმიანობას. თუ გადადგა იგი განცხადებით მიმართავს პრეზიდენტს. პრემიერ-მინისტრი და მინისტრები თავიანთი მოკალეობის შესრულებაში პასუხისმგებელი არიან მეჯლისის წინაშე.

კონსტიტუცია ფართო უფლებებს ანიჭებს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, მაგრამ მათი უფლებამოსილებანი ვერ შეიღრება ფაყიბის უფლებას. ფაყიბი ხომ სახელმწიფოს მთელ მმართველ აპარატზე მალა დგას. პრეზიდენტის ნომინალური და რეალური უფლებები ხშირად ერთმანეთს გამოირცხვენ. ამიტომ იგი ზოგჯერ უძლურია ქვეყანაში განახორციელოს რეალური ძალაუფლება. საბოლოოდ ყველაფერი მაინც უმაღლესი ფაყიბის ანუ ბეღადის ნება-სურველზეა დამოკიდებული. შედარებისათვის მოვიკაო ინგლისის მონარქის მაგალითს. ნომინალურად იგი ინგლისის შეიარაღებული ძალებისა და ანგლიკანური ეკლესიის მეთაურად ითვლება, სინამდვილეში კი მისი ძალაუფლება ამ საკითხებში არარეალურია. „დროთა განმავლობაში ანალოგიური მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას ირანშიც; მაგრამ ეს პოლიტიკურად ათათურა ხომეინის მიწარადებებს“¹². ხომეინი, როგორც კონსტიტუციის შემდგომი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, ყოველმხრივ გამოიყენა თავისი ძალაუფლება როგორც უმაღლესმა ფაყიმმა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა ჯერჯერობით თავისი რწმენის კარნახით წარმართა.

როგორც ვხედავთ, ძირითადი კანონის მიხედვით, შიიტურ-ისლამური მოქალაქეების შესაბამისად, თავისებური თეოკრატიული რეჟიმის დამყარება და შიიტური ულემების აღჭურვა განსაკუთრებული პრეროგატივებით შეზამებულია მმართველობის რესპუბლიკურ ფორმასთან. ამასთან მეტისმეტი ფართო უფლებამოსილებანი, რომლებითაც ამ რესპუბლიკის ხელმძღვანელები არიან აღჭურვილი, მნიშვნელოვნად ზღუდავს პრეზიდენტის, მთავრობის, მეჯლისის და ხელისუფლების სხვა ორგანოების უფლებებს.

მოქალაქეთა უფლებების დაცვის სიტყვიერი აღიარებით, სწესის, რასის, რწმენის თანასწორუფლებიანობის გამოცხადებით ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია თანამედროვე ბურჟუაზულ-დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების ღონეზე დგას. იგი ამ მხრივ არავითარ დისკრიმინაციას არ ითვალისწინებს. მაგრამ თუ სინამდვილეს ცხოვრების პრაქტიკას შევაფასებთ ისლამურად ფუნდამენტალიზმის ამ დოკუმენტით, რომლებიც ამ კონსტიტუციის საფუძველთა საფუძველად არის გამოცხადებული, ეშვს იწვივს ამ უფლებათა ხორცშესხმის შესაძლებლობა. მაგალითისათვის ავიღოთ ქალთა უფლების საკითხი. კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ ნაწილში აღიარებულია, რომ ხელსაყრელი პირობები უნდა შეიქმნას ქალის პიროვნების განვითარებისათვის, მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, სინამდვილეში კი ქალა ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დისკრიმინაციულ მდგომარეობაშია ჩაყენებული.

ირანული ქალებისთვის პირბადის ტარების მოთხოვნა არ არის ქალის მამაკაცთან თანასწორუფლებიანობის ხელყოფის ერთადერთი ნიშანი. „ქალთა საკითხის“ ვალაყვეტა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე პირბადის ტარების საკითხი. საქმე ეხება იმას, რომ ქალს აკრძალული აქვს მამაკაცის თანაბრად ეწვოდეს საქმიანობას მეტრეობის მთელ რიგ დარგებში. მათთვის აკრძალულია, მაგალითად საპარკმახერობებში მამაკაცთა მომსახურება¹³.

ისლამური თეოკრატიული დქტატურის პირობებში კონსტიტუციის არც იმ მუხლების პრაქტიკული განხორციელება არის მტკიცედ გარანტირებული, რომლებიც ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებებს — მათი შეხედულებების, პოლიტიკური პარტიების და ჯგუფების შექმნას, მიტინგების, ორგანიზაციების თავისუფლებას შეეხება. ამას ნათლად მოწმობს მემარცხენე ძალების დევნა, ირანის სახალხო პარტიის (თუღე) მიმართ გაჩაღებული რეპრესიები, აგრეთვე განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა, რასაც კონსტიტუციის მიღების დღეებში დემონსტრაცი ფანატიზმით ახორციელებდა ათათურა ხალხალი, რომლის სინდისზე ათასობით ირა-

¹² Tery Povi, The Constitution of The Islamic Republic of Iran. "Middle East" London. 1979.

¹³ „ეთელათი“. 3. VIII.1979. (სპარს. ენაზე).

წელის სისხლია დანთხეული კონსტიტუციური კანონებების ხელყოფით¹⁴.

კონსტიტუციის საფუძველზე აღდგენილია საზღვარის საზღვარის სისტემა. სასაზღვრო ხელსუფლების დარღვევა განუსაზღვრებელია „მოძრაობის“ უფლებამოსილებათა. იგი წინააღმდეგ უმჯობეს მოსამართლეს, უმჯობეს სასამართლო საბჭოს და ვენერაბულ არაჯეროვან მასთან, თითოეულ მოსამართლეს უფლებდებულს გამოიტაროს განაჩენი „ილაზმური წყაროების“ საფუძველზე.

დასანიშნავია ისიც, რომ პირველი კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ახალ კონსტიტუციაში ამჟამად ჩანს გადახვევები მძარბველანის წმინდა ბერკუახიული პრინციპებიდან. მაგალითად, წინათ პარლამენტი იყო პალატისაგან შედგებოდა — მეჯლისისა (ქვედა პალატა) და სენატისაგან (ზედა პალატა). ამჟამად პარლამენტი ერთპალატიანია. ხომეინის წინადადებით, სენატის მოწვევა, რაც არ შეესაბამება ისლამურ ტრადიციებს, კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული.

კონსტიტუციით ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს ყოველგვარი პეგემონისტური მისწრაფებებისა და ომების დაგეგმვა (მუხლი 152). იგი ცნობს მსოფლიოს ყველა ხალხს დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და სუვერენიტეტს, აგრეთვე ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეს საზღვარსა და საზღვრების წინააღმდეგობა (მუხ. 154). მაგრამ ისლამური ერთმორწმუნეობის ფაქტი საფუძველს აძლევს კონსტიტუციის შემდგენლებს გამოაცხადონ პანისლამისტური მოძრაობისათვის მხარდაჭერის აუცილებლობა. ეს კი არ გამოორიხავს ისლამური რევოლუციის ექსპორტის შესაძლებლობის დაშვებას. მაგალითად, კონსტიტუციის მესამე მუხლის მე-16 პუნქტი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საფუძველად აღიარებს „ქმურ ურთიერთობასა და დახმარებას ყველა მუსლიმური ქვეყნისადმი, თუკი ამას საპირობება მოითხოვს“, ხოლო მე-11 მუხლში საგანგებოდ არის პირობებული, რომ, ვინაიდან ყველა მუსლიმი ერთმორწმუნეა, ამიტომ ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულია მთელ თავის პოლიტიკას საფუძვლად დაედოს

მსოფლიოს მუსლიმი ხალხების შეყვარებისადმი სწრაფვა. კონსტიტუცია რესპუბლიკის მთავრობას ავალდებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუსლიმის უფლებების დაცვას. ეს იდეა კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს ნათლად ჩამოაყალიბა მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბაზარგანმა. 1979 წლის 18 აგვისტოს მან განაცხადა: „ირანის კონსტიტუცია უნდა გახდეს ნიშნად ყველა ისლამური ქვეყნისათვის, ეს ყველა მუსლიმის კონსტიტუცია“¹⁵. ისლამური რევოლუციის ექსპორტის იდეა ხომეინის ძირითადი კონცეფციებიდან მომდინარეობს. „მე მსურს ირანის რევოლუციის იდეები გავრცელდეს ყველა მუსლიმურ ქვეყანაში“, — ამბობდა იგი. ამ შემთხვევაში მას მხედველობაში ჰქონდა მომავალში ბრძოლის გაშლა მსოფლიო მუსლიმური თემის შესაქმნელად¹⁶.

კონსტიტუციის 44-ე მუხლში მითითებულია, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკას საფუძვლად უდევს საკუთრების სამი ფორმა: სახელმწიფო, კოოპერაციული და კერძო. სახელმწიფო საკუთრება მოიცავს მიწის ინდუსტრიას, საგარეო ვაჭრობას, მსხვილ საბადოებს, ბანკებს, დაზღვევის ორგანიზაციებს, ენერგომომარაგების, წყალმომარაგების ქსელს, რადიოსა და ტელევიზიას, ფოსტა-ტელეგრაფს, ავიაციას, ზღვაოსნობას, საავტომობილო და სარკინიგზო ხაზებს და სხვა. ყველაფერი ეს საერთო საკუთრებას შეადგენს და სახელმწიფოს გამგებლობაში შედის. ძირითადი კანონის განსაზღვრებით, კოოპერაციულ საკუთრებაში შედის ის საზოგადოებები და კოოპერაციული ორგანიზაციები, რომლებიც ისლამური ტრადიციების შესაბამისად ქალაქებსა და სოფლებში იქმნება. კერძო საკუთრებად მიჩნეულია სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფო და კოოპერაციულ საკუთრებაში არ შედის და კერძო პირთა განკარგულებაშია. სახელმწიფო ერთნაირად იცავს საკუთრების სამივე ფორმას, თუ ისინი ისლამური კანონების ჩარჩოებში თავსდება. სახელმწიფოს ეკისრება განსაზღვროს საკუთრების

¹⁴ Жак Бюо. Хальхали-мулла красными руками. Ислам и политика. (Сб. инфор. мат-ов). М., 1980. стр. 381—382.

¹⁵ „ქვეყანა“ 20.VIII.1979. (სპარს. ენაზე).

¹⁶ Н. Кузнецова. Проявление антисоветизма руководителей исламской республики Иран. 1982. (Мат-лы Московской конференции посвященной 3-ей годовщине иранской революции).

ითოეული ფორმის ნორმები, საზღვრები და პირობები.

ცალკე მუხლი (47-ე) საგანგებოდ მიუთითებს, რომ საპატიოა კერძო საკუთრება, თუ იგი კანონიერი გზით არის მოპოვებული.

კონსტიტუციით რესპუბლიკის მთავრობას დაკისრებული აქვს. იზრუნოს მოსახლეობის ძირითად მოთხოვნილებათა უზრუნველყოფისათვის, შექმნას ხელსაყრელი პირობები მისი მაქსიმალური შრომითი დასაქმებაათვის; უპროცენტო სესხით დაეხმაროს სუშაობის მსურველს, თუ მას ამისათვის სიახანალო სახსრები არ გააჩნია; ებრძოდეს სპეკულაციას, მფლანგელობას და არააქონიერ კომერციულ ვარიანტებს, მისცეს თაითონ მშრომელს სუღიერი და პოლიტიკური ღონის ამაღლებისა და ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა, აღკვეთოს ეკონომიკაში უცხოეთის ბატონობა; ძარცვით, ქრთამით, წამელჯავობით, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, უკანონო სავაჭრო გარიგებით დაგროვილი თანხები დაუბრუნოს კანონიერ მფლობელებს და თუ ასეთი ვერ იქნება დადგენილი, ჩარიცხოს სახელმწიფო ხაზინაში.

როგორც ამ მუხლებიდან ჩანს, ისლამური სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძვლად აღიარებულია კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემებისაგან განსხვავებული მოდელი. ეს არის ფუნდამენტურ ისლამურ დაფუძნებული ეკონომიკის მოდელი, რომელსაც მისი თეორეტიკოსები „თოუჰიდურ“ (დვთაებრივ) ეკონომიკას უწოდებენ. იგი ასახავს განვითარების იმ „მესამე“, განსხვავებულ გზას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს „სამართლიანი“ და „ჰარმონიული“ ცხოვრების დამყარება ქვეყანაში. „თოუჰიდი“, საერთოდ, ისლამის ფუნდამენტური პრინციპი, გარესამყაროსადმი მუსლიმანის დამოკიდებულების პრაქტიკული გამოხატულებაა. „თოუჰიდი“ ბუნებისა და საზოგადოებისადმი დამოკიდებულების ძირითადი ამოსავალი დებულებაა. მისი უნივერსალური ხასიათის გამო სხვადასხვა ეპოქის და სხვადასხვა მიმართულების მუსლიმურ თეორეტიკოსთა შორის იგი სხვადასხვაგვარად არის განმარტებული¹⁷ ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, რევოლუციის შემდგომ ირანში „თოუჰიდის“ სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსში ჩადებულია წერილი ბურჟუაზიის იდეოლოგია, სხვაგვარად, ეს

არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ის წვრილბურჟუაზიული მიმართულება, რომელიც განმტკიცებულია ტრადიციული ისლამის დოგმატებით.

„თოუჰიდური ეკონომიკის“ შინაარსის ანალიზი მოწმობს, რომ იგი წვრილბურჟუაზიული ილუზიების გამოხატულებაა და რამდენადაც არ უარყოფს კერძო საკუთრებას, როგორც კაპიტალისტური ექსპლოატაციის საფუძველს, უტოპირია თავისი პრინციპებით. წარმოების კაპიტალისტური წესის ძირითადი წინააღმდეგობა აქ არ არის მოხსნილი და აბიტომ გეზი სოციალური უსამართლობის მოსპობისა და „სამართლიანი საზოგადოების“ დამყარებისაკენ პრაქტიკულად განუხორციელებელია. იგი ირანის საზოგადოებაში ქონების უთანასწორო განაწილების აღმოსაფხვრელად წერილი ბურჟუაზიის პოზიციიდან იძლევა მზა რეცეპტებს, ამასთან გზას უღობავს და აბნევს მშრომელ მასებს დადგენ ექსპლოატაციისა და უთანასწორობის მოსპობის რეალურ, მეცნიერულად უკვე შემოწმებულ გზაზე, რომელიც სოციალური რევოლუციის შედეგად განაწილს მთელმა რიგმა ქვეყნებმა.

რევოლუციის შემდგომ ირანში ძირფესვიანი შემობრუნება ისლამური ტრადიციებისაკენ ხორციელდება არა იმდენად ეკონომიკურ, რამდენადაც მორალურ-ეთიკურ სფეროში. ხელისუფლების სათავეში მყოფი შიიტური უღმეობი მთელი დაჟინებით ახორციელებენ ძველი, უკვე დრომოქმედი ნორმების აღდგენას, რაც მასების პოლიტიკურ და კლასობრივ შეგნების ღონის ზრდის მოცულებას ემსახურება. შარიათის სასამართლოების აღდგენა, ქალების ჩაყენება შუასაუკუნეობრივი შეზღუდულობის ჩარჩოებში, ოჯახსა და ქორწინებაში სამოქალაქო კანონების გაუქმება, სახალხო განათლებაში რელიგიური მეთოდების დანერგვა, უკიდურესი ანტიეგსტარნიზმი და ანტიკომუნიაზმი, ე. ი. ზურგწინაგა დასავლური და სოციალისტური ცივილიზაციის ეთიკურ-მორალურ მონაპოვრისადმი, რაც ინტელიგენციის მასობრივ უკმაყოფილებას იწვევს — აი ჯერჯერობით ისლამური კონსტიტუციის გამოკვეთილი ხაზი და პირველი შედეგები.

ცდა იმისა, რომ შეინარჩუნონ და აღადგინონ პატრიარქალური წყობა და ტრადიციები, გვერდი აუარონ დასავლური და მსოფლიო კულტურის და მეცნიერების თვალნათლივ და უეჭველ მიღწევებს, — ყველაფერი

¹⁷ В. Цуканов, Концепция «Тохидной экономики» в ИРИ. М., 1981 (материалы Московской конференции).

ეს შედეგია წვრილბურჯუაზიული ისლამური-შიიტური ექსტრემიზმისა, რომელსაც შეუქმნიდა უდიდესი ზიანი მიაყენოს ირანის საზოგადოებრიობის შემდგომ განვითარებას და შეაზღალოს ნიადაგი ირანის ახალი ხელმძღვანელობის ძალაუფლების დაცემისა და ირანის რევოლუციის მონაპოვართა დაკარგვის საფრთხის (მხედველობაშია მისი ანტიმონარქიული, ანტიიმპერიალისტური და ანტიექსპლოატატორული მიმართულება) და სიერთოდგზა გაუხსნას ძალაუფლებისაკენ ირანის ბურჯუაზიისა და ბურჯუაზიული ლიბერალიზმის იმ პროდასავლურ წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურ პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდნენ 1978-1979 წლების ანტიმონარქიული რევოლუციის პერიოდში¹⁸.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ შავტ ლიდერთა ხელისუფლებას უნარი არ შეაქვს უზრუნველყოს ირანის თანამიმდევრულ განვითარება არც ეკონომიკურ და არც პოლიტიკურ სფეროებში. აქ საქმე როდი ეხება დროებით სიძნელეებს, რომლებსაც გვერდს ვერ აუტეის ვერც ერთი რევოლუცია. მთავარია ის არის, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ ირანის ისლამურ ხელმძღვანელთა კონცეფცია ეწინააღმდეგება საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს და უტოპიურია თავის საფუძვლებშივე.

ვ. ი. ლენინი, ახასიათებს რა ბურჯუაზიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებს საერთოდ, შენიშნავს რომ „კონსტიტუციური ილუზიები ეწოდება პოლიტიკურ შეცდომას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აღაპიანება არსებულად მიიჩნიათ ნორმალური უფლებრივი, მოწესრიგებული, კანონიერი, მოკლე: „კონსტიტუციური“ წესწყობილება, თუკი იგი სინამდვილეში არ არსებობს“¹⁹.

ეს დებულება შეეხება ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციასაც. იგი, ისე როგორც სხვა ბურჯუაზიული კონსტიტუციები, განსაზღვრულ ფარგლებში ფიქტობრივია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი ტრადიციულად ასახავს რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს შერეულ, იურიდიულ-ფეტიშიზირებული სახით (ფორმალური თანასწორობის მიღმა იმალება ფაქტობრივი ეკონომიკური უთანასწორობა) და შეიცავს დეკლარაციულ ლოზუნგებს, რომელთაც კონსტიტუციის დამფუძნებელნი სრულყოფილად ვერასოდეს ვერ განახორციელებენ.

ამრიგად, ერთი მხრივ, 1978-79 წლების რევოლუციაში ირანელი ხალხის მონაპოვრები გარკვეულად აისახა ირანის ისლამური რესპუბლიკის ძირითად კანონში. რესპუბლიკის მმართველები ახორციელებენ ცალკეულ სოციალურ ღონისძიებებს, რაც ჯერჯერობით ერთგვარ ილუზიებს უქმნის საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს, ადერაზებს და აღუწებს მასების პოლიტიკურ შეგნების ზრდის პრაცესს. მეორე მხრივ, შიიტ ხელისუფალთა მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები რომლებიც „სამართლიანი ისლამური სახელმწიფოსა“ და „სოციალური სამართლიანობის“ საზოგადოების შექმნის მიზანს ექსახურება, ნათლად წარმოგვიდგენს უჩაღღესი შიიტური სასულიერო წრეების წარმომადგენლების მისწრაფებას ქვეყნის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ისლამიზაციის კურსის განხორციელებისა და ამ საფუძველზე ძალაუფლების შემდგომი განმტკიცებისადმი.

¹⁸ С. М. Алиев, Актуальные проблемы иранской революции (Мат-лы Московской конференции посвященной 3-й годовщине Иранской революции). М., 1982. стр. 21.

¹⁹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 25 (გამოცემა მეოთხე). გვ. 228.

გუსტავ ფლობერის სასამართლება

ჩვენი ჟურნალი სხვადასხვა დროს ამ რუბრიკით აქვეყნებდა წერილებს, რომლებშიც გადმოცემული იყო ისტორია ცარიზმის სასამართლოში ცნობილი მწერლების გასამართლებისა. ასე მაგალითად, თავის დროზე „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა სტატიები: „ილია ჭავჭავაძე მეფის სასამართლოს წინაშე“, „ნიკო ლორთქიფანიძის გასამართლება“, „ივანე მაჩაბელი სასამართლოს წინაშე“, „დავით ჩქიტიას გასამართლება მეფის სასამართლოში“ და სხვ.

ჩვენი კვლავ გააგრძელებს ამგვარ პუბლიცაციებს. ამჯერად მკითხველებს ვთავაზობთ გამოჩენილი ფრანგი რომანისტის გუსტავ ფლობერის სასამართლო პროცესის შემოკლებულ ვარიანტს, რომელიც გვეთვინის ანდრე მორუას და ამოღებულია მისი წიგნიდან „ლიტერატურული პორტრეტები“. თარგმანი შესრულა ვასილ მჭედლიშვილმა.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას განმაურებულ სასამართლო პროცესზე. იქნებ წარმოუდგენლადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ „პარიზის მიმოხილვაში“ რომან „ქალბატონი ბოვარის“ გამოქვეყნებისთანავე, ფლობერი 1856 წელს პასუხისმგებლობაში მისცეს საზოგადოებრივი მორალისა და რელიგიის შეურაცხყოფისათვის. სინამდვილეში, მწერლის საწინააღმდეგო კამპანიის გაჩაღებით მთავრობა ცდილობდა დაერტყა ჟურნალისათვის და სასამართლო პროცესიც, ამიტომ, ლიტერატურულ კი არა, პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ეს წიგნი „კეთილზნაინიც და არქიზნეობრივიც იყო და იმსახურებდა მონტიონის პრემიას“. ყველა ლიტერატორი ფლობერის მხარეზე დადგა და მას იცავდა (მართალია, ფრთხილად), რადგან ესმოდათ, რომ საქმე აქ მარტოოდენ ფლობერს კი არა საერთოდ ყველა მწერალს ეხებოდა. გაღვნიანი ქალები და, კერძოდ დედოფალი, შუამავლობდნენ ფლობერს, მაგრამ იმპერატორმა ბრძანა: „თავი გამანებეთ!“ და საქმესაც მსვლელობა მიეცა. ფლობერი წერდა დოქტორ ჟიულ კლოკეს: „ჩემო ძვირფასო მეგობარო, გაცნობებთ, რომ სვალ, 24 იანვარს მექნება პატივი დავეჯდე არამზადების სკამზე გამასწორებელი პოლიციის სასამართლოს მეექვსე პალატაში. საქმის გარჩევა დაიწყება დილის ათ საათზე; ქალებს უშვებენ; კოსტიუმი, რასაკვირველია, უზადო და საპარადო უნდა მეცვას!.. მართლმსაჯულების იმედი არ მაქვს.. გამასამართლებენ და განაჩენიც, ალბათ, უმკაცრესი იქნება, — აჰა დიდებული ჯილდო ჩემი შრომისათვის და ლიტერატურის საკადრისი წახალისებაც...“

სასამართლოზე წარმოთქმულ საბრალდებო სიტყვას არ აკლდა ძახილის ნიშნები: „საყვარლები ავხორციობის საზღვარს აღწევენ!“ პროკურორის სიტყვით, ვნებიანობით აღსავსე სურათები შეურაცხყოფენ საზოგადოებრივ მორალს. იგი ორაზროვნად მიიჩნევდა სიტყვებს ახალდაქორწინებულ მამაკაცზე, რომელიც ქორწილის მეორე დღეს ისე გამოიყურებოდა, ფითქოსდა „თვითონ მან დაკარგა სიქალწულე“. აშლფოთებული იყო იმ ფრაზით, სადაც ნათქვამი იყო, რომ შარლი „ერთიანად ღამის ნეტარ მოგონებებს მოეცვა“ და „უნა-

როდა, გული რომ დაიარსებინა, ჟინი მოიკლა და ჯერ ისევ განცხრომაში იყო მსგავსად იმისა, როგორც ნასადილევს ჩვენ ერთ ხანს პირში კიდეც ვგრძნობთ ხოლმე ქამა სოკოს გემოს¹.

ავტორი ბევრს ეცადა, — არ ცხრებოდა პროკურორი, — მან სიტყვის ყველა ხელმისაწვდომი მშვენიერება გამოიყენა ამ ქალის აღსაწერად. შეეცადა თუ არა იგი, ამავე დროს, მისი სულის აღწერასაც. სრულიადაც არა, იქნებ მისი გული ვიჩვენა? არავითარი მსგავსი რამ. ჭკუა? არა, სამწუხაროდ. მაშ, იქნებ მისი ფიზიკური მომხიბვლელობა დაგვიხატა? ესეც არა. ოჰ, მე კარგად ვიცი, რომ ქალბატონ ბოვარის პორტრეტი ცოლქმრული ლალატის შემდგომ ბრწყინვალე პორტრეტთა რიცხვს მიეკუთვნება: ოღონდ ეს პორტრეტი, პირველ რიგში, ავხორცობით ფეთქავს. ამ ქალის პოზები სურვილს აღვიძებენ, ხოლო სილამაზე მისი — გამომწვევი სილამაზეა..“ რა უცნაური და კომიკური საბრალდებო სიტყვაა!

ავტორს, უმთავრესად, ოთხ ნაწყვეტში ედებოდა ბრალი. ერთი მათგანი როდოლფის სიყვარულს ეხება: „რამ მოხიბლა როდოლფი და რამ უბიძგა ქალბატონ ბოვართან რომანის გაბმისაკენ? იმან რომ იგი ოდნავ მოირხეოდა და წელის რხევისას კაბა ადგილ-ადგილ შემოეტკიცებოდა ხოლმე!“ მეორე — ზიარების სცენაა. მესამე ნაწყვეტია ის, სადაც ლაპარაკია ემას და ლეონის მიჯნურობაზე და კარეტიტ რუანში მათ სეირნობებზე: აქ „არაფერია აღწერილი, მაგრამ ყოველივე კი იგულისხმება“. და ბოლოს, მეოთხე ნაწყვეტი — ემას სიკვდილის სცენა, რომელიც, პროკურორის სიტყვებით, „ავხორცობისა და სიწმინდის ჯოჯოხეთური არეა“ იყო.

ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ფლობერის დამცველი, მოძღვარი სენარი. მან დახატა პორტრეტი ფლობერის მამის — ქირურგისა, რომელიც პატივისცემით სარგებლობდა პროვინციის მცხოვრებლებში: „მისი კარგი სახელი და ამაღლებული მოგონებები მავალდებულებს... ბატონი გუსტავ ფლობერი თავდაჭერილი კაცია და ბუნებით უფრო სევდიანი, სერიოზული საქმეებისადმი განწყობილი. იგი სულ სხვა კაცია, ვიდრე პროკურორის ამხანაგს სურდა წარმოედგინა წიგნის სხვადასხვა ადგილის თხუთმეტი თუ ოცი სტრიქონის ამოგლეჯით, რომლებიც, ვითომდა, ავტორის მიერ ავხორცობის აღწერით გატაცებას მოწმობენ..“ ქალბატონ ბოვარში“ აღწერილია ცოლქმრული ლალატი, მაგრამ ყოველივე ეს ხომ ნაწარმოების გმირს განუწყვეტელ ტანჯვად, სინანულისა და სინდისის ქენჯნად უჯდება. კარეტა რუანში? მერიმემ „ორმაგ შეცდომაში“ საფოსტო კარეტაში მომხდარი ასეთივე სცენა აგვიწერა. ემა ტანთ იხდის? კი მაგრამ, ფლობერი ხომ სულაც არ ვიჩვენებს თავისი გმირის სიშისვლეს, როგორც ამას შენიე, მიუსე და, საერთოდ, ყველა პოეტი აკეთებდა? ფლობერს ამ სურათების დახატვისას თვალწინ ედგა წიგნი, რომელსაც დღე და ღამ ფურცლავდა: ესაა ბოსუე! „აკრძალული სიამოვნებანი“. მაშ ავდგეთ და ბოსუეც აკრძალვით? რასაკვირველია, მის აკრძალვას არც არავინ ფიქრობს. სხვათა შორის, მონტესკიესა და რუსოს წიგნებიც ბევრად უფრო თავისუფალ ნაწყვეტებს შეიცავს, ვიდრე „ქალბატონი ბოვარი“.

¹ Г. Флэбер, «Госпожа Бовари», стр. 54.



განაჩენი კომპრომისის უბრწყინვალეს ნიმუშად ითვლება. სასამართლომ დაგმო წიგნი. მაგრამ, რადგან „გაითვალისწინა, რომ ნაწარმოებმა მწერლის ხანგრძლივი და საგულდაგულო შრომა შეიწირა... რომ აღნიშნული ადგილები, მართალია, იმსახურებენ ყოველგვარ გმობას, მაგრამ მთელ ნაწარმოებთან შედარებით, ერთად აღებულნი, საკმაოდ მცირე ადგილს იკავებენ მასში... და რადგან, აგრეთვე, მხედველობაში მიიღო, რომ გუსტავ ფლობერი აცხადებს თავის თაყვანისცემას ზნეობრიობისა, და საერთოდ, ყოველივეს მიმართ, რაც რელიგიურ მორალს ეხება, და რომ მისი წიგნი, როგორც ჩანს, სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით არ დაწერილა ერთადერთი მიზნით— ხელი შეეწყოს ხორციელი ნეტარებისათვის, წაექეზებინა თავაშვებულობა და გარყვნილება და მასხრად აეგდო ის ცნებანი, რომლებიც საყოველთაო პატივისცემას იმსახურებენ, რომ მისი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ არ ითვალისწინებდა იმ წესებს, რომელთა გადახვევის უფლებაც არც ერთ თავმოყვარე მწერალს არა აქვს, რადგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ლიტერატურა, როგორც ყოველი ხელოვნება (თუკი მას სურს სარგებლობის მოტანა, რაშიც მდგომარეობს კიდევ მისი ჭეშმარიტი მოწოდება), ვალდებულია დაიცვას სიწმინდე და უბიწოება, როგორც ფორმით ისე „გამომსახველობითაც“, სასამართლომ გასამართლა „პარიზის მიმოხილვა“ და ავტორი ისეთნაირად, რომ მათთვის ხარჯები არც კი გადაუხდევინებია.

ხელოვნებისათვის ესოდენ უცხო ამ ხმაურიანმა საქმის გარჩევამ, გამართლების მიუხედავად, შეძრა ფლობერი და სიძულვილით აღაღსო. „გარდა ყველაფრისა, მოძაგალი მაწუხებს: მაშ რაზე შეიძლება წეროს კაცმა, თუკი ესოდენ უწყინარი ქმნილება, ჩემი საბრალლო ქალბატონი ბოვარი თმებით ათრიეს და ქუჩის ქალივით გამასწორებელ პოლიციაში უკრეს თავი? მწერალმა მშვენივრად იცოდა, რომ ხელოვნება და მორალური ორი სრულიად განსხვავებული მოვლენაა; იგი საჩქაროდ თავის ქალაქგარე ბინას დაუბრუნდა და იქ, ხალხს მოწყვეტილი, შეუდგა ახალი სიმების გაბმას „თავის საბრალლო გიტარაზე, რომელიც ტალახში ამოუვანგლეს“.

ეს სახე გვიჩვენებს, რომ რომანტიზმის დიდი დამაქცევარი, სულით მაინც, რომანტიკოსად დარჩა. „მოწყალეო ხელმწიფე, თქვენ იმ ხალხს ეკუთვნით, თაობებს რომ წინ მიუძღვიან, — წერდა მას პროცესის შემდგომ ვიქტორ ჰიუგო. — ბოლომდე შეინარჩუნეთ და ამ თაობებს წინ წაუძღვარეთ ხელოვნების ლამპარი. წყვდიადში ვარ მოქცეული, მაგრამ მიყვარს სინათლე ამით იმის თქმა მსურს, რომ მიყვარხართ“...

შესაძლოა, ამ სიტყვებმა ფლობერს დიმილი მოჰგვარა, მაგრამ უეჭველად კმაყოფილებასაც განაცდევინებდა.



მნიშვნელოვანი შენახანი საერთაშორისო საპარტლის თეორიაში*

პროფ. ლ. ა. ალექსიძის მონოგრაფია ერთ-ერთი ფრად მნიშვნელოვანი საბჭოთა ნაშრომია, რომელიც საერთაშორისო სამართლის თეორიის საკითხებზე უკანასკნელ ათწლეულში გამოიცა. გამოკვლევა მოიცავს პრაქტიკულად საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების თეორიის თითქმის ყველა ძირითად პრობლემას. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც *jus cogens*-ის პრობლემა ათასი ძაფით არის დაკავშირებული თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპულ პრობლემებთან.

პროფ. ლ. ალექსიძის შრომის რეცენზირებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ საერთო დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც ესოდენ შთამბეჭდავია წიგნის გაცნობის დროს. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს საერთაშორისო სამართლის მსოფლიო დოქტრინის ფართო მასშტაბური და დეტალური შესწავლა. ავტორის მიერ გაწეული დიდი მოცულობის გამოკვლევის შედეგად წიგნში წარმოგვესახა მეცნიერული აზრის ფართო პანორამა, რომელიც საერთაშორისო სამართლის მთელ ისტორიას მოიცავს და ბოლოს, ყველა ძირითადი საკითხის შესწავლისას ავტორი წარმატებით იყენებს სამართლის ზოგადი თეორიის მიღწევებს, რაც იშვიათ ღირსებად უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო სამართლის თეორიის სფეროში დაწერილი წიგნების ფონზე.

განიხილავს რა, საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ბუნების შესახებ არსებული შეხედულებების ისტორიულ განვითარებას ძველ დროიდან XX საუკუნის დასაწყისამდე, მკვლევარი დაწვრილებით გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც გაიარა ამ იდეამ საერთაშორისო სამართლის ღვაწლებრივი საწყისების აღიარებიდან მისი შეთანხმებით ბუნების შესახებ აზრის თანდათანობით კრისტალიზაციამდე (გვ. 104). პროფ. ლ. ალექსიძე გვიჩვენ-

ებს საერთაშორისო — სამართლებრივი პოზიტივიზმის დადებით მხარეებს და სამართლიანად აღნიშნავს, რომ პოზიტივიზმი რჩებოდა ქრისტიან ვოლფიდან მომდინარე მოძღვრების ტყვეობაში, რომლის თანახმად გვაქვს სახელმწიფოთა „ნაგულისხმევი თანხმობა“ მიიღონ ყველაზე „აქსიომაური“ და „აშკარა“ პრინციპები მათი ურთიერთობის საწყისებად (გვ. 129). მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება მთლიანობაში სწორად წყვეტდა საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ხასიათის პრობლემას, მაგრამ ერიდებოდა მისი არსის დადგენას და იფარგლებოდა მხოლოდ სახელმწიფოთა თანხმობის ფაქტის აღიარებით. (გვ. 135).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წიგნში სახელმწიფოთა ნების შეთანხმების, როგორც საერთაშორისო სამართლის სავალდებულობის საფუძვლის თეორიის შემდგომი დამუშავება. სახელმწიფოთა ნების ურთიერთ შეთანხმების თეორიამ, რომელიც სამოციან წლებში წამოაყენა და შეიმუშავა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ნ. ტუნიკინმა, საშუალება მოგვცა გადაგვეწყვიტა საერთაშორისო სამართლის კარდინალური პრობლემები: საერთაშორისო სამართლის ნორმების შექმნის პროცესი, ზედნაშენისა და ბაზისის თანაფარდობა საერთაშორისო სამართლის სფეროში, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის არსი. ამასთან დაკავშირებით პრინციპულ საკითხად გვესახება ამ თეორიის შემდგომი განვითარების პრობლემა. სარეცენზიო წიგნში პროფ. ლ. ალექსიძეს გამოაქვს მეტად საინტერესო დასკვნა: „საერთაშორისო სამართლის ნორმის დროს სახელმწიფოთა ნება, რომელიც ერთი სახელმწიფოს გაბატონებუ-

* Л. А. Алексидзе. Некоторые вопросы теории международного права. Императивные нормы — *jus cogens*. Тбилиси: Издательство Тбилисского университета, 1982, стр. 406.

ლი კლასის საერთო ნებას გამოხატავს, ხედვება რა, სხვა სახელმწიფოს ანალოგიურ ნებას, კომპრომისის და შეთანხმების საშუალებით აყალიბებს ან ცნობს კონკრეტული ქცევით წესს იურიდიულად ურთიერთსავალდებულო ნორმად — იქმნება რთული საერთო ნება, რომელიც შედგება ორი ან მეტი სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებული საერთო ნებისაგან“ (გვ. 163). ავტორის აზრით, ამ ნების შინაარსს წარმოადგენს „შეთანხმებული ნებათა ინტერესი აქციონ მოცემული ქცევითი წესი იურიდიულად სავალდებულო ნორმად“ (გვ. 164). მთლიანობაში კონცეფცია რომელსაც პროფ. ლ. ალექსიძე გვთავაზობს, ხაზს უსვამს „საწინააღმდეგო კლასობრივ ნებათა შეთანხმების ფაქტს, რაც იქცევა საერთო შეთანხმებად, რათა მოცემული ქცევითი წესი ჩაითვალოს იურიდიულად სავალდებულო აქტად“.

მაგრამ გვეჩვენება, რომ უპირატესობა მაინც უნდა მიეცეს უფრო რეალურ მიმდინარეობას, რომლის მიხედვით სახელმწიფოებისათვის სავალდებულო სამართლებრივი ნორმის შექმნის ერთადერთ საშუალებად ითვლება ამ სახელმწიფოების ნებათა ურთიერთშეთანხმება, და არა შერწყმა. ვფიქრობთ რომ საერთაშორისო სამართალში ნორმის შექმნის მექანიზმი არ იძლევა საერთო ნების ფორმირების საშუალებას, მით უმეტეს, რომ ლაპარაკია სუვერენულ სახელმწიფოებზე რომლებიც ხშირად სხვადასხვა სოციალურ სისტემას განეკუთვნებიან. ასეთი პროცესის დროს ხდება სახელმწიფოების ნებათა ურთიერთშეთანხმება მომავალი ქცევითი წესის შინაარსის თაობაზე და მისი სავალდებულო ხასიათის აღიარება.

ამავე დროს პროფ. ლ. ალექსიძე საგნებით დასაბუთებულად გამოდის საყოველთაო საერთაშორისო სამართლის შეთანხმებით ხასიათის აბსოლუტურობის წინააღმდეგ. მართლაც, „დებულება იმის შესახებ, რომ საყოველთაო საერთაშორისო სამართალი იქმნება სახელმწიფოთა საერთაშორისო საზოგადოების საყოველთაო შეთანხმებით, რომლებმაც აშკარად ან დუმით ცნეს კონკრეტული ნორმა საჭიროებს დაზუსტებას იმ თვალსაზრისით, რომ არსებობს პრინციპების და ნორ-

მების ისეთი ჯგუფი, რომლებიც სავალდებულო აყვალსათვის, თუნდაც რომელიმე სახელმწიფო ეწინააღმდეგებოდეს მის მიღებას“ (გვ. 174). ეს პრინციპები და ნორმები უზრუნველყოფენ მშვიდობასა და უშიშროებას; ადგენენ ჰუმანურობის სტანდარტებს და ქცევის ელემენტარულ ნორმებს საერთაშორისო ასპარეზზე (გვ. 176-177). უნდა დავეთანხმოთ ავტორს იმაში, რომ ლაპარაკი გვაქვს სახელმწიფოთა საერთაშორისო საზოგადოების საერთო ინტერესის ფორმირებაზე და, საბოლოო ანგარიშით მთელი საერთაშორისო საზოგადოების მიერ ამ ძირითადი ნორმების საყოველთაო სავალდებულო ხასიათის აღიარებაზე, მაგრამ ზედმეტად გვეჩვენება საერთაშორისო საზოგადოების საერთო ნების კონცეფციის კონსტრუირება, რომელიც განსხვავდება თვით სახელმწიფოს ნებისაგან. საქმე ეხება არა საერთაშორისო საზოგადოების თანხმობას, არამედ სოციალისტური, კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების უდიდესი უმრავლესობის თანხმობას (გვ. 175-176).

წიგნში დრმად არის გაანალიზებული თანამედროვე საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების ცნება და ბუნება. ამხვილებს რა ყურადღებას *jus cogens*-ის საერთო სამართლებრივ ხასიათზე, ავტორი დასაბუთებულად უარყოფს საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების გაიგივებას საჯარო წესრიგთან (*ordre public*) რომლის მექანიკური გადატანა საერთაშორისო სამართალში შეუძლებელია საერთაშორისო სამართლის სისტემის სპეციფიკურობის გამო“ (გვ. 200). პროფ. ლ. ალექსიძემ ძალზე ზუსტად გახსნა *jus cogens*-ის ნორმების სპეციფიკა, სახელდობრ, რომ „ისინი ეხებიან მხოლოდ სახელმწიფოებში ურთიერთობებს, რომლებსაც სახელმწიფოები ქმნიან ერთმანეთში“ (გვ. 223). იმპერატიული ნორმების გამოირჩევავენ მათ შეცვლას ხელმწიფოების ძალით ცალკეული სახელმწიფოების ურთიერთშეთანხმების ჩარჩოებში. სახეზეა რომელიმე ქმედობის არა საერთო აკრძალვა, არამედ ხელმწიფოებში გადახვევის აკრძალვა. „იმპერატიული ნორმის შეიძლება ჰქონდეს *jus cogens*-ის ხასიათი, მაგრამ შეიძლება არც ჰქონდეს (გვ.

¹ Тункин Г. И., XXVI съезд КПСС и дальнейшее развитие советской науки международного права. В кн.: Советский ежегодник международного права, 1981. М.: Наука, 1982, стр. 12; его же. Предисловие к кн.: Э. Хименес де Арегата. Современное международное право. М.: Прогресс, 1983, стр. 11; Усенко Е. П. Соотношение категорий международного и национального (внутригосударственного) права. — Советское государство и право. 1983, № 10, стр. 48.

224). შემდგომ, ავტორი ძალზე ზუსტად აღნიშნავს იმ მნიშვნელოვან დებულებას, რომ იმპერატიულ ნორმებში მთავარია არა სახელმწიფოებრივი გადამხდების უბრალო აკრძალვა, არამედ ის, რომ ასეთი გადამხდვა „შექმნილა საშინაოების თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგის საფუძვლებსათვის“ (გვ. 227). სწორედ ამ თვალსაზრისით შეიძლება ლაპარაკი „ყველა სახელმწიფოს ინტერესებზე, რომლებსაც იცავენ jus cogens-ის ნორმები“ (გვ. 227). სახელმწიფოთა საერთაშორისო საზოგადოება დანტერესებულია იმპერატიული ნორმების ხელუხლებლობით და მათგან გადამხდვის დაუშვებლობით, თუნდაც პარტიკულარული საერთაშორისო ხელშეკრულებებით. მეტად ნაყოფიერად უნდა ჩაითვალოს კვლევა, რომელსაც ეწევა პროფ. ალექსიძე თანამედროვე საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების შინაარსის დადგენისათვის. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ავტორი უარყოფს საერთაშორისო სამართლის ნორმების იერარქიულ განსხვავებას მათი იურიდიული ძალის დონის მიხედვით (გვ. 304-306). მართლაც, საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას ერთნაირი იურიდიული ძალა აქვს. მიუხედავად ამისა თავისუფლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ ნორმების განზოგადების დონის შესახებ, „ყველაზე ზოგადი და ძირითადი ქცევითი წესებიდან უფრო დეტალურ ნორმებამდე, მათი სოციალური ფასეულობის დონიდან გამოზღინებამდე“. უნდა მივხვდეთ ავტორს და მივიღოთ მის მიერ შემოთავაზებული თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპების და ნორმების პირამიდა. (გვ. 306).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის განსხვავება, რომელსაც ათავსებს ავტორი ისეთ კატეგორიებში, როგორც არის jus cogens-ის ნორმების „იურიდიული ბუნება“ და „ფასეულობითი შინაარსი“ (გვ. 357-310). მართლაც, იმპერატიული ნორმები, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმები, ეყრდნობა სახელმწიფოთა შეთანხმებას, რაც მათი იურიდიული ბუნების საფუძველია. ამავე დონის ამ ნორმების ფასეულობითი შინაარსი განსაზღვრავს იმ ფაქტს, რომ jus cogens-ის ნორმები გვევლინება როგორც საერთაშორისო მართლწესრიგის ძირითადი

და კაცობრიობის ძირითადი მორალურ-ეთიკური მოთხოვნების ანარქელი, მაგრამ, ალბათ, უფრო ზუსტი იქნებოდა აქცენტის გადატანა არა მორალურ, არამედ იურიდიულ ფასეულობაზე, რაც შემდგომ მოგვეცემა საშუალებას უფრო მკვეთრად გაგვევლო სახი იმპერატიულ ნორმებსა და საერთაშორისო მორალის საფუძველს შორის. მთლიანობაში, როგორც გვესახება, შეიძლება ვაღიაროთ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმები ერთდროულად, გარკვეული თვალსაზრისით, არის საერთაშორისო მორალის საფუძველებიც.

გამოყოფს რა jus cogens-ის იდენტიფიკაციის კრიტერიუმებს (მათი უნივერსალური ხასიათი, მორალური ფასეულობის უმაღლესი დონე, სახელმწიფოების ურთიერთშეთანხმებით გადამხდვის დაუშვებლობა), ავტორი დეტალურად განსაზღვრავს jus cogens-ის კონკრეტულ ნორმებს. ამ მიდგომის წარმატების ნათელ მაგალითს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპის იმპერატიული ხასიათის განხილვა (გვ. 328-331).

ამავე დროს ვერ დავეთანხმებით ავტორის ცდას, გამოიყენოს საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების იმპერატიული ბუნების დადგენისათვის ე. წ. „სახელმწიფოთა ძირითადი უფლებების კონცეფცია“ (გვ. 315-322), რასაც, კერძოდ, ავტორი მიჰყავს თავგადარჩენის უფლების არსებობის კონსტატაციამდე. (გვ. 318).

წიგნის ზოგიერთი დებულების ხადისკუსიო ხასიათის მიუხედავად, პროფ. ალექსიძის სარეკენზიო შრომა წარმოადგენს მნიშვნელოვან შენამენს საერთაშორისო სამართლის თეორიაში. დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ეს მონოგრაფია უდავოდ დაინტერესებს საბჭოთა (და არა მარტო საბჭოთა) იურიდიული საზოგადოების ფართო წრეს. ისღა გვრჩება, სინანული გამოვთქვათ ამ წიგნის ესოდენ მცირე ტირაჟის გამო.

პ. კურსინი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

პ. ვადაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



იურიდიული ლიტერატურის საქავეშირ-კამომცემლობამ გამოსცა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლებრივი დისციპლინების კათედრის გამგის დოკუმენტ გ. ზაქარაიას მონოგრაფია „მომსახურების საყოფაცხოვრებო მომსახურების მმართველობა“ (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პრობლემები). ნაშრომში ნაჩვენებია საყოფაცხოვრებო მომსახურების მმართველობის ორგანოების და ადგილობრივი საბჭოების როლის ზრდა, განხილულია საყოფაცხოვრებო მომსახურების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების საკითხები, მოცემულია აქ დარგის ოპტიმალური მართვისათვის საჭირო რეკომენდაციები.

ნაშრომი შედგება შესავლისა და 3 თავისაგან. პირველ თავში განხილულია სსრ კავშირში საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების ისტორია, მეორეში საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანოთა სისტემა და მისი სრულყოფის გზები, ხოლო ბოლო, მესამე თავი მთლიანად დათმობილი აქვს სამეურნეო მექანიზმის შემოქმედების მეთოდებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო ვრთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი დარგია, რაშიც ბოლო ხანს სულ უფრო მეტი მასშტაბებს იძენს. სსრკ XXVI ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს გაფართოებას და დასახა მისი განვითარების მთავარი მიმართულებანი 1990 წლამდე.

ბოლო ხანებამდე იურიდიული ლიტერატურაში ზურადღება არ ექცეოდა ამ დარგის საჭიროებების ასპექტების გაშუქებას. გ. ზაქარაიას წიგნი პირველი ცდაა და ავსებს ამ ხარვესს.

ავტორი საფუძვლიანად და თანმიმდევრულად განიხილავს მმართველობას საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, აშუქებს დღემდე უცნობ საკითხებს საყოფაცხოვრებო მომსახურების ისტორიიდან, აყენებს კონკრეტულ წინადადებებს მისი მართვის სრულყოფის მიზნით.

საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია ჩვენს ქვეყანაში საყოფაცხოვრებო მომსახურების ისტორია, ავტორი პუნქტუალურად გადმოსცემს საყოფ-

აცხოვრებო მომსახურების დარგში განხორციელებული იმ რეორგანიზაციებისა და ცვლილებების არსს, რომლებიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან დღემდე.

სოციალისტური წარმოების განვითარების კვლეობაზე საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულ დონისძიებებს ახორციელებს საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაფართოებლად. რის წყლობითაც დაქსაქსული, შინამრეწველური საწარმოებიდან იგი თანდათან გადაიქცა სოციალისტური სახალხო მეურნეობის მსხვილ დარგად.

პარტიის VIII ყრილობაზე მიღებულმა პროგრამამ (1919 წ.) გაითვალისწინა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ფართო გარდაქმნები. 1921 წლის 23 ივნისს გამოიცა მთავრობის დადგენილება „სარემონტო-შესაკვებელ და სამკერვალო სახელოსნოების შესახებ“. ეს იყო პირველი დოკუმენტი, რომელმაც განსაზღვრა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კონკრეტული გზები და იმდროინდელი საჭიროებანი.

ამ და სხვა მომენტებს ავტორი განიხილავს კრონოლოგიური სიზუსტით. და ახასიათებს მათ როგორც საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრულ ღონისძიებებს საყოფაცხოვრებო მომსახურების გაფართოებისა და სრულყოფისათვის.

საყოფაცხოვრებო მომსახურებას ავტორი საბარტლიანად თვლის დამოუკიდებელ დარგად, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს მთელ სახალხო მეურნეობასთან და ემსახურება მოსახლეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი და საჭირობო საკითხების მოგვარებას. ამასთან ავტორს მიაჩნია, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურებას აქვს დიდი საზოგადოებრივი ფუნქცია, რომლის დანიშნულებაც, ავტორის აზრით, არის მოსახლეობის ინდივიდუალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, და მიზნად ისახავს ოჯახისა და საოჯახო მეურნეობის კეთილმოწყობას (გვ. 40).

ნაშრომში განხილულია ჩვენს რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანოთა სისტემა, მათი აგებულება და კომპეტენცია. ავტორად სწორად განმარტავს

* Г. Закараия — «Управление бытовым обслуживанием населения. Административно-правовые проблемы», М., изд. «Юридическая литература», 1981 г.

ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელებული ღონისძიებების არსს, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების როლს მანვე ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან ბრძოლაში. სწორედ ამ გარემოებებმა განსაზღვრა ჩვენი რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში საწესჩვეულებო სამსახურის შემოღება. სამწუხაროდ, ავტორი არ იძლევა აფხაზეთის სინამდვილეში არსებული ზოგიერთი მანვე წეს-ჩვეულებების არსის დახასიათებას და არ სახავს მასთან ბრძოლის ვალდებულ ამოცანებს. საჭირო კი იყო ავტორის გაბედულად ეთქვა იმ ამოცანების შესახებ, რაც აფხაზეთის სინამდვილიდან გამომდინარე დგას საწესჩვეულებო სამსახურის წინაშე.

ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანოთა მუშაობის პრაქტიკით. წიგნში განზოგადებულია რსფსრ და უკრაინის სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანოთა გამოცდილება, აგრეთვე საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი თავისებურებანიც. ეს ზრდის მონოგრაფიის მეცნიერულ ღირებულებას.

საინტერესო მოსაზრებებს აყენებს ავტორი სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების მეთოდების შესახებ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად. ავტორი ძირითადად სწორ წინადადებებს გვთავაზობს აგრეთვე მომსახურების სტანდარტიზაციისა და საყოფაცხოვრებო საწარმოთა კატეგორიზაციის განსახორციელებლად, ფასების მექანიზმის როლის გაზრდისა და სხვ. მონოგრაფიაში წამოყენებული წინადადებები და რეკომენდაციები სავსებით დროული და მართებულია. შესაბამისმა ორგანოებმა ყურად უნდა იღონ ეს რეკომენდაციები და პრაქტიკულად განახორციელონ ისინი, რასაც, ჩვენი აზრით, მხოლოდ დადებითი შედეგები მოჰყვება.

ნაშრომი არ არის დაზღვეული ზოგიერთი ხარვეზისა და უზუსტობისაგან.

შრომა ვალდებულთა ეკონომიკური ციფრებითა და გამოკვლევებით. მართალია, საყოფაცხოვრებო მომსახურება უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან, თითოეული მოქალაქის ცხოვრების პირობებთან, მაგრამ მონოგრაფიის მკითხველისათვის უბირველეს ყოვლისა საინტერესო იყო საქიბის სამარ-

თლებრივი ასპექტი. ამიტომ, ვფიქრობთ, შრომაში ზედმეტია საგვემო მაჩვენებლების, ფასების მექანიზმისა და სხვა ეკონომიკური კატეგორიების განხილვა.

სწორად არ არის გაგებული რსფსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს როლი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ანალოგიური სამინისტროების მიმართ (გვ. 73). ავტორი თვლის, რომ ამ სამინისტროს მიერ შემუშავებული ცალკეული დარგობრივი ინსტრუქციები, დებულებები და ბრძანებები სავალდებულოა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებისათვის. ასევე დაეს იწვევს 53-ე გვერდზე ავტორისეული გაგება საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ორმაგი დაქვემდებარების შესახებ, (სასოფლო და სადაბო საბჭოებისა და მათი აღმასკომებისადმი). საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები იმყოფებიან ორმაგ დაქვემდებარებაში რაილმასკომისა და დარგობრივი სამინისტროსადმი და არა სასოფლო საბჭოსა თუ აღმასკომისადმი.

სასოფლო საბჭოს უფლება აქვს მოისმინოს თავის სესიაზე მის ტერიტორიაზე განლაგებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის ანგარიში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამიტომ იგი ექვემდებარება სასოფლო საბჭოს თუ მის აღმასკომს. სსრ კავშირის კონსტიტუციის 94-ე მუხლით დადგინილი საბჭოების უფლება რეგულარულად მოისმინოს საბჭოებისა და მოსახლეობის წინაშე მათ ტერიტორიაზე განლაგებული ორგანოებისა და ორგანიზაციების ანგარიშები, გულისხმობს საბჭოების მხრივ კონტროლის გაძლიერებას, მმართველობაში მშრომელთა მონაწილეობის უფლებების გაფართოებას და არა ორმაგი დაქვემდებარების შეცვლას „სამამაი“ დაქვემდებარებით.

ეს შენიშვნები არ ამცირებს ნაშრომის საერთო ღირებულებას. იგი არის პირველი და ღრმა მეცნიერული გამოკვლევა საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის მმართველობის შესახებ. გ. ზაქარაიას ნაშრომი მაღალ შეფასებას იმსახურებს. იგი დახმარებას გაუწევს საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის მუშაებს, სპეციალისტ-იურისტებს და ფართო მოსახლეობას. სასურველია ეს წიგნი ქართულ ენაზეც გამოიცეს.

პროფ. ვ. ლორია.

დანიშვნა

არჩილ ზაქარაიას ქმ თინიკაშვილი დანიშნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კაპრეზის სამმართველოს უფროსად. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით იგი დამატაციავალია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრად.

ა. გ. თინიკაშვილი ეროვნებით ქართველია, დაბადებულია 1932 წლის 15 ოქტომბერს, ლენინგორის რაიონის სოფელ თინიკაში. 1950 წელს დაამთავრა ლენინგორის საშუალო სკოლა, 1975 წელს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1950 წლიდან ა. ზ. თინიკაშვილი მუშაობას იწყებს პავლიანის დაწესებითი სკოლის მასწავლებლად, 1952 წლის ოქტომბერში მას ირჩევენ ქარჩოხის სასოფლო საბჭოს დებუტატად და ამავე საბჭოს აღმასკომის მდივნად, 1955 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, 1957 წლიდან, დემობილიზაციის შემდეგ, პარტიის ლენინგორის რაიონის ინსტრუქტორია. 1958 წლიდან 1961 წლამდე მუშაობს პავლიანის კოლმეურნეობის ბუღალტრად. 1961 წლიდან 1963 წლის მარტამდე ქარჩოხის სასოფლო საბჭოს აღმასკომის დებუტატი და ამავე საბჭოს თავმჯდომარეა.

ჯდომარეა. 1963 წლიდან სამუშაოდ კვლავ გადაპყვით პარტიის ლენინგორის რაიონის აპარატში ინსტრუქტორად, 1970 წლიდან რაიონის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, ხოლო 1975 წლიდან ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგეა. 1978 წლის მარტში მას ირჩევენ პარტიის ლენინგორის რაიონის მდივნად, ხოლო 1979 წლის ნოემბრიდან — პირველ მდივნად.

ა. ზ. თინიკაშვილი არაერთგზის იყო არჩეული პარტიის ლენინგორის რაიონისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის წევრად, ლენინგორის რაისაბჭოს და სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დებუტატად.

არის სკკპ წევრი 1957 წლიდან. თადარიგის ოფიცერია.

დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, შრომითი მამაცობისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ხაქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ალექსანდრე გიორგის ქმ ტალიაშვილი დანიშნა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსად. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით იგი დამატაციავალია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრად.

ა. გ. ტალიაშვილი, ეროვნებით ქართველი დაბადებულია 1947 წლის 3 ნოემბერს, ქ. გორში, მოსამხახურის ოჯახში, აქვს უმაღლესი განათლება, 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1961 წელს ქ. თბილისის ვინტერის ნაგებობათა და ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშად. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ 1971-1975 წლებში მუშაობდა „თბილისგაზის“ სამმართველოს იურისკონსულტად. 1975-1977 წლებში ჯერ საქართველოს

სსრ იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტია, შემდეგ — უფროსი კონსულტანტი. 1977 წლიდან 1980 წლამდე მოღვაწეობს სასამართლო ორგანოებში როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი და ქ. თბილისის 28 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე. 1980 წლის იანვარში ინიშნება ქ. თბილისის 28 კომისიის რაიონის პროკურორად.

სკკპ წევრია 1975 წლიდან.

1978 წლიდან არაერთხელ არის არჩეული ქ. თბილისის 28 კომისიის სახალხო დებუტატთა საბჭოს დებუტატად, პარტიის 28 კომისიის რაიონის წევრად.

მნიშვნელოვანი შენაძენი სამართლის სამართლის თეორიაში*

პროფ. ლ. ა. ალექსიძის მონოგრაფია ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საბჭოთა ნაშრომია, რომელიც საერთაშორისო სამართლის თეორიის საკითხებზე უკანასკნელ ათწლეულში გამოიცა. გამოკვლევა მოიცავს პრაქტიკულად საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების თეორიის თითქმის ყველა ძირითად პრობლემას. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც *jus cogens*-ის პრობლემა ათასი ძაფით არის დაკავშირებული თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპულ პრობლემებთან.

პროფ. ლ. ალექსიძის შრომის რეცენზირებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ საერთო დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც ესოდენ შთაბეჭდავია წიგნის გაცნობის დროს. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპრობს საერთაშორისო სამართლის მსოფლიო დოქტრინის ფართო მასშტაბური და დეტალური შესწავლა. ავტორის მიერ გაწეული დიდი მოცულობის გამოკვლევის შედეგად წიგნში წარმოგვესახა მეცნიერული აზრის ფართო პანორამა, რომელიც საერთაშორისო სამართლის მთელ ისტორიას მოიცავს და ბოლოს, ყველა ძირითადი საკითხის შესწავლისას ავტორი წარმატებით იყენებს სამართლის ზოგადი თეორიის მიღწევებს, რაც იშვიათ ღირსებად უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო სამართლის თეორიის სფეროში დაწერილი წიგნების ფონზე.

განიილავს რა, საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ბუნების შესახებ არსებული შეხედულებების ისტორიულ განვითარებას ძველ დროიდან XX საუკუნის დასაწყისამდე, მკვლევარი დაწვრილებით გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც გაიარა ამ იდეამ საერთაშორისო სამართლის ღვაწლებრივი საწყისების აღიარებიდან მისი შეთანხმებითი ბუნების შესახებ აზრის თანდათანობით კრისტალიზაციამდე (გვ. 104). პროფ. ლ. ალექსიძე გვიჩვენ-

ებს საერთაშორისო — სამართლებრივი პოზიტივიზმის დადებით მხარეებს და სამართლიანად აღნიშნავს, რომ პოზიტივიზმი რჩებოდა ქრისტიან ვოლფიდან მომდინარე მოძღვრების ტყვეობაში, რომლის თანახმად გვაქვს სახელმწიფოთა „ნაგულისხმევი თანხმობა“ მიიღონ ყველაზე „აქსიომური“ და „აშკარა“ პრინციპები მათი ურთიერთობის საწყისებად, (გვ. 129). მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება მთლიანობაში სწორად წყვეტდა საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ხასიათის პრობლემას, მაგრამ ერიდებოდა მისი არსის დადგენას და იფარგლებოდა მხოლოდ სახელმწიფოთა თანხმობის ფაქტის აღიარებით. (გვ. 135).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წიგნში სახელმწიფოთა ნების შეთანხმების, როგორც საერთაშორისო სამართლის სავალდებულობის საფუძვლის თეორიის შემდგომი დამუშავება. სახელმწიფოთა ნების ურთიერთ შეთანხმების თეორიამ, რომელიც სამოციან წლებში წამოაყენა და შეიმუშავა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ნ. ტუნკინმა, საშუალება მოგვცა გადაგვეწყვიტა საერთაშორისო სამართლის კარდინალური პრობლემები: საერთაშორისო სამართლის ნორმების შექმნის პროცესი, ზედნაშენისა და ბაზისის თანაფარდობა საერთაშორისო სამართლის სფეროში, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის არსი. ამასთან დაკავშირებით პრინციპულ საკითხად გვესახება ამ თეორიის შემდგომი განვითარების პრობლემა. სარეცენზიო წიგნში პროფ. ლ. ალექსიძეს გამოაქვს მეტად საინტერესო დასკვნა: „საერთაშორისო სამართლის ნორმის დროს სახელმწიფო ნება, რომელიც ერთი სახელმწიფოს გაბატონებუ-

* Л. А. Алексидзе. Некоторые вопросы теории международного права. Императивные нормы — *jus cogens*. Тбилиси: Издательство Тбилисского университета, 1982, стр. 406.

სახალხო სასამართლოებმა გააქტიურეს პროფილაქტიკური მუშაობა, ხშირად გამოაქვეთ კერძო განჩინებანი, შეაქვეთ ინფორმაციები და განზოგადებები ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში, მეტი ყურადღება ექცევა საქმეთა სასამართლო განხილვის საჯაროობას, გამსვლელი პროცესების მოწყობას.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშაობა სახელმწიფოსათვის დანაშაულით მიყენებულ მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად. 1983 წელს ამოღებულ იქნა მიყენებული მატერიალური ზარალის 59,8 პროცენტი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

გაუმჯობესდა ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმანის ორგანოების საქმიანობა. იუსტიციის ორგანოებსა და სასამართლოებში რამდენადმე მოწესრიგდა მოქალაქეთა მიღება, მათი საჩივრებისა და განცხადებების განხილვა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ პრაქტიკაში დანერგა სასამართლოების საქმიანობის ძირითად მიმართულებათა შესახებ ბიულეტენების შემუშავება და მათი დაგზავნა პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტებისათვის, რასაც კარგი შედეგი მოჰყვა. მუშაობის ეს ფორმა საშუალებას აძლევს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ღრმად ჩასწვდნენ რაიონის სახალხო სასამართლოს საქმიანობას და შეაფასონ იგი რესპუბლიკის სხვა სასამართლოების მონაცემების ფონზე.

იუსტიციის სამინისტრომ შარშან წლის ბოლოს წერილით მიმართა სისტემის თანამშრომლებს, გააცნო მათ წლის მანძილზე გაწეული მუშაობა, აღნიშნა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და დასახა მათი დაძლევის გზები. სისტემის მუშაკებმა წერილის განხილვა დაუკავშირეს რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების ამოცანებს და საზოგადოებრიობის გააქტიურებას სამართალდარღვევათა აღკვეთაში, წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი, რომლებსაც ამჟამად გულდასმით სწავლობს იუსტიციის სამინისტრო და თუ საჭირო გახდა, წარუდგენს მათ შემდგომ სადირექტივო ორგანოებს. მონახულია იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების თანამშრომლებთან ურთიერთობის საინტერესო ფორმა, რომელიც დაინერგება მომავალში.

ამასთანავე, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ამოღებული ნაკლოვანებანი ჩვენი ორგა-

ნობის საქმიანობაში. მართლმსაჯულების განხორციელების დროს ზოგჯერ კვლავ ვხვდებით არაორგანიზებულობასა და არაოპერატიულობას. ირდევია საქმეთა განხილვის კანონით დაწესებული ვადები, რის შედეგადაც მცირდება მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობა და მათი აღმზრდელობითი ზემოქმედება. ბევრი ნაკლია სასამართლო პროცესების მომზადებასა და მოწყობაში. სამსჯავრო სხდომის არადაამაყყოფილებელი მომზადების გამო არ არის ამოღებული საქმეთა განხილვის გაუმართლებელი გაკიანურება. უნდა ამაღლდეს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი, სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სტაბილურობა. არ უნდა დავუშვათ უსამართლო და აშკარად ლმობიერი განაჩენების დადგენა ბოროტი და საშიში დამნაშავეობის მიმართ. კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი როლი, გაძლიერდეს პროფილაქტიკური მუშაობა დანაშაულებათა თავიდან ასაცილებლად.

შემდეგ მინისტრმა აღნიშნა, რომ ნაკლოვანებანია ადვოკატურის, ნოტარიატის, მმანის, სასამართლო ექსპერტიზის ორგანოთა საქმიანობაშიც. ზღემა, მათ მიერ მოსახლეობის არასათანადო მომსახურების ფაქტები, არის შეცდომები მუშაობაში, რაც დაუყოვნებლივ გამოსასწორებელია. სამინისტროს სტრუქტურულმა ქვეგანყოფილებამ უნდა გამოიჩინონ მეტი ინიციატივა და სიმტკიცე სასამართლოების, ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმანის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად, დროულად დააყენონ წინადადება ძირეული რგოლების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

მომხსენებელმა მოიყვანა შემჩნეული დარღვევებისა თუ გადაცდომების კონკრეტული ფაქტები, რომლებიც სახელს უტეხს მართლმსაჯულების მუშაკებს და საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს იუსტიციის დაწესებულებებისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

მომხსენებელმა თქვა, რომ სასამართლოებისა და იუსტიციის ორგანოების მუშაკთა წინაშე დიდი ამოცანები დგას. აუცილებელია სამართალდაცვითი დაწესებულებე-



ბის ყველა საშუალების უნარიანი და ეფექტიანი გამოყენება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვად, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების, განსაკუთრებით სპეკულაციისა და მექრთამეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მნიშვნელოვან პრობლემად რჩება აგრეთვე ბრძოლა ნარკომანიისთან.

დასასრულ ა. შუშანაშვილმა აღნიშნა, რომ იუსტიციის ორგანოების და სასამართლოების მუშაები მომავალშიც განუხრებლად იხელმძღვანელებენ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით.

მოსხენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მრადგილე ვ. ედიშერაშვილი, რესპუბლიკის პროკურორის მრადგილე ვ. იოსელიანი, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე შ. მახარაძე, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრის მრადგილე გ. შაინიძე, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრის მრადგილე თ. ბოლქვაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მარგივეცი, კასპის რაიონის

სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ნ. შაყულაშვილი, ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ს. მაღლაკელიძე და გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ხაბაშვილი.

კოლეგიის სხდომაზე ჯილდოები გადაეცათ სასამართლოებისა და იუსტიციის ორგანოების მუშაკებს. კერძოდ, მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს ა. აბესაძეს, ქ. კიათურის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს გ. თევზაძეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრს ნ. მელაძეს, ქ. თბილისის I სანოტარო კანტორის უფროს ნოტარიუსს ზ. ისაკაძეს, ქ. ფოთის ნოტარიუსს მ. გაბუნაძეს, კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს ა. სტურუას, უფროს ექსპერტს ა. ანჯაფარიძეს, დმანისის რაიონის სახალხო სასამართლოს კანცელარიის გამგეს ე. ნოვიკოვას, ლავოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელს ზ. დოდოლაძეს.

კოლეგიის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

ი. გიორგაძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის
მინისტრის თანაშემწე.

იურიდიული სამსახურის განმტკიცებისათვის

სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის სრულყოფის საკითხებს მიეძღვნა აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ გამართული იურისკონსულტთა თათბირი.

იურისკონსულტთა საბჭოს მიერ 1983 წელს გაწეულ მუშაობაზე ილაპარაკა საბჭოს წევრმა ა. როგანოვმა.

კამათში გამოსულმა ორატორებმა ვ. შვეჩენკომ (დვინის ქარხანა) მ. დოლიძემ, (მშენებლობის ლენ ტრესტი), ზ. ჭიმშელიანიშვილმა (სახელმწიფო არხიტრაუი) და სხვებმა ილაპარაკეს იურისკონსულტთა საბჭოს (თავმჯდომარე ე. კვანტრიშვილი) მუშაობის ნაკლოვანებებზე. ითქვა, რომ ახლად არჩეულმა საბჭომ თავისი მუშაობა უნდა გარდაქმნას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საარბიტრაჟო პრაქტიკის განვითარებას, აქტიურად მომუ-

შავე იურისკონსულტთა მატერიალურ და მორალურ წახალისებას, ხშირად მოეწყოს შრომით კოლექტივებში კითხვა-პასუხის საღამოები სამართლებრივ თემებზე.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრმა ჯ. ბაჯელიძემ, რომელმაც თქვა, რომ ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობა. იურიდიული სამსახურები უფრო აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო-სავეგმო, სახელმეკრულეგმო, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში კანონიერების დარღვევათა თავიდან აცილების, სოციალისტური საკუთრების დაცვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციის საქმეში. ამასთან ერთად მინისტრმა ილაპარაკა ნაკლოვანებებზე, რომ-



ლებიც თავიანთ მუშაობაში აქვთ აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ იურისკონსულტებს.

დასასრულ აირჩიეს იურისკონსულტთა საბჭოს ახალი შემადგენლობა. აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იურისკონსულტთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეუ-

ლია მშენებლობის № 5 ტრესტის იურიდიული ჯგუფის უფროსი მ. დოლიძე, მოადგილედ — ა. როგანოვი, მდივნად — რ. კოსტენკო.

ლ. ზეძინა,

აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

ნარსულის უპრცლაუბიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მმჩის რესპუბლიკურ არქივში ინახება მოკალაქეთა მდგომარეობის სააქტო ჩანაწერები გსაული საუკუნიდან დღემდე. არქივში დაცულია მრავალი მასალა, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება აქვს. ამ ფონდზე მუშაობისას ბევრი საინტერესო ჩანაწერები გვინახავს, მაგრამ მრავალთა შორის განსაკუთრებულია 1921 წლის ქორწინების ჩანაწერის წიგნის ერთი გვერდი, სადაც ერთდროულად არის ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, გერონტი ქიქოძის და ალ. არსენიშვილის პირადი ხელმოწერა.

ჩვენ წარმოვიდგინეთ 1921 წლის 26 ოქტომბერი, ქ. თბილისის მთავარი მმჩის განყოფილება, სადაც მხიარულად შეაბიჯა 28 წლის პოეტმა გიორგი ლეონიძემ პატარალ ეფემია გედევანიშვილთან ერთად, რომელთაც ფეხბედნიერ მოწმეებად ახლდათ ტიციან ტაბიძე, გერონტი ქიქოძე და ალ. არსენიშვილი. სათანადო ცერემონიალის შემდეგ ქორწინების ჩანაწერ წიგნში ხუთივემ ხელი მოაწერა. ასე შემოგვინახა არქივმა ეს ხელმოწერები ერთ გვერდზე.

ც. სომერიძე,

მმჩის რესპუბლიკური არქივის გამგე,

ლ. ქაგაშვილი,

არქივარიუსი.

პოლიცია დაზარალებულის როლები

ქ. ჩიკაგოს პოლიციელები ამჟამად ალბათ ნანობენ, რომ „საჯარიმო“ მოედანზე ბუქსირით წაიყვანეს ვინმე მარია ვალეჰოს ავტომანქანა, რომელიც პატრონმა აკრძალულ ადგილას დატოვა. მაგრამ ეს დაგვიანებული სინანულია. 32 წლის ქალმა ჩათვალა, რომ მეტისმეტად დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს და გადაწყვიტა შური იძიოს. მან ხელი მიჰყო პოლიციის მანქანების სარკეების ჩამსხვრევას. რამდენიმე დღეში 33 მანქანა უსარკოდ დარჩა. მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხა პოლიციამ ვალეჰოს დაკავება. მას ქალაქის ქონების დაზიანების ბრალდება წაუყენეს.



შორს ვერ წავიდნენ...



გლენ ვერნიკმა და რობერტ ვუტენმა მოახერხეს ქ. როკფორდის (ამერიკის შეერთებული შტატების ილინოისის შტატი) საპატიმროდან გაქცევა. ამ ამბავმა პატიმრები იმდენად გაახარა, რომ გადაწყვიტეს აღენიშნათ ეს მოვლენა და თითო „ჭიქა წაექციათ“, პოლიციამ ორივე დააკავა: ერთი მათგანი — ბარში ჭიქით ხელში, მეორე უგრძობლად გაღეშილი — ბარის კარებთან მდგარ ციხის ავტოფურგონში, რომელიც მათ გაიტაცეს. ისლა დაგვრჩენია, დავძინოთ, რომ ბარი პოლიციის უბნის გვერდით მდებარეობდა.

ორიგინალური სასჯელი

განთქმული ამერიკელი კინოპროდიუსერი რობერტ ევანსი მთელი რიგი გახმაურებული კინოფილმების (მათ შორის არის „ნათლიმამა“) ერთ-ერთი შემოქმედთაგანია. ევანსს პოლიციამ აღმოუჩინა 150 გრამი კოკაინი. ამასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო, რომ სასამართლო მას 1 წლის პატიმრობას და 5 ათას დოლარ ჯარიმას მიუსჯიდა. მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა. ნიუ-იორკის ფედერაციულმა მოსამართლემ რ. ევანსს ორიგინალური სასჯელი გამოუტანა. სასამართლომ დაადგინა, რომ



რ. ევანსმა გამოიყენოს მისი „განსაკუთრებული შემოქმედებითი ტალანტი“ და შექმნას ფილმი, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობას შორის ნარკომანიის მასობრივი გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას. „თუ ასეთ ფილმს წარმატება ექნება, განაცხადა მოსამართლემ, თქვენ მიაღწევთ მნიშვნელოვან გამარჯვებას იქ, სადაც ჩვენ ყველანი მრავალი წლის განმავლობაში გამოსავალს ვერ ვპოულობთ“.

ღვირვითა უწყის, რა არის ბოთლში...

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებლები ვალდებული არიან გააცნონ მომხმარებლებს მაგარი სასმელების შედგენილობა. ამიერიდან მყიდველმა უნდა იცოდეს, თუ რას სვამს. ლუდის, ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელების მწარმოებლები, 1983 წლიდან მოყოლებული, მოვალენი არიან ეტიკეტზე მიუთითონ ის ნივთიერებანი (საღებავები, ქიმიური რეაგენტები და მინერტები, რომელთა მეშვეობით სასმელი უფრო დიდხანს ინარჩუნებს თავის თვისებებს), რომლებსაც შეიცავს ბოთლში მოთავსებული მაგარი სასმელი. ზოგი ამ ნივთიერებათაგანი ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას.



უღანაშაულო მსხვერპლნი



1956 წელს კინოგადამღები ჯგუფი, რომელიც 220 წევრისაგან შედგებოდა, იღებდა კინოფილმს ჩინგის ყაენის შესახებ (ფილმი ეკრანზე გამოვიდა „დამპყრობის“ სახელწოდებით). არცთუ ისე შორს, იუკის ველზე (ამერიკის შეერთებული შტატების ნევადის შტატი) მდებარეობს პოლიგონი, სადაც თავის დროზე ბირთვული იარაღი გამოსცადეს. გავიდა წლები. ახლა დადგინდა, რომ ჯგუფის 91 წევრს (ე. ი. თითქმის ნახევარს) სხვადასხვა სახის

ავთვისებიანი სიმსივნე გაუჩნდა. ამათგან კიბომ უკვე იმსხვერპლა 46 კაცი, მათ შორის მთავარი როლების შემსრულებელი ამერიკელი კინოვარსკვლავები ჯონ უეინი და სუიზან ჰეიუორდი. ფილმის რეჟისორი და პროდიუსერი დიკ ჰაუელიც კიბომ მოკლა.

საგულისხმოა, რომ ფილმის გადაღების პროცესში არცერთი ბომბი არ აუფეთქებიათ. მაგრამ ორი წლით ადრე, 1954 წელს, ამ რაიონში ააფეთქეს 11 ატომური ბომბი. ამის შედეგად ამ მხარეში მოსულმა ნალექებმა ნიადაგი უხვად



გაუღინთა რადიოაქტიური ნივთიერებებით. გადაღებათა დაღუპული მონაწილე-ების ნათესავებმა, ისე როგორც ზოგიერთმა იმათგანმა, ვისაც ბედმა გაუღიმა და გადაურჩა საშინელ ავადმყოფობას, გადაწყვიტეს მთავრობას წარუდგინონ სარჩელი.

მღვდლები და შრომის კანონმდებლობა

„ნეტარ არს ყველა, ვინც ღმერთს ემსახურება!“ მაგრამ ამ სამსახურისათვის გასამრჯელოც ჯეროვანი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ასე მსჯელობს ანდრე ოსტლუნდი, რომელიც შვეციის უკიდურესი ჩრდილოეთის ერთ-ერთი სამწყსოს მღვდელი გახლავთ. ოსტლუნდმა განაცხადა: „კვირაში საშუალოდ 53 საათს ვმუშაობ და მიმაჩნია, რომ უფლება მაქვს ზედმეტი საათებისათვის შესაფერისი ანაზღაურება მოვითხოვო“. შვეციის კანონების თანახმად, ყველას ვინც კვირაში 40 საათზე მეტს მუშაობს, ეძლევა ზეგანაკვეთური საათების გასამრჯელო. მაგრამ ეს კანონი მღვდელმსახურებზე არ ვრცელდება. ოსტლუნდის მოთხოვნამ ვერ პოვა მღვდლების ასოციაციის (თავისებური პროფკავშირის მსგავსი რამ არის) მხარდაჭერა. „როდესაც ვიღაცის სულის უკვდავებაზე ზრუნავ, უდროოა ცალი თვალი საათისკენ გაგირბოდეს“, განაცხადა ამ ასოციაციის თავმჯდომარემ.



თუ მოგება გსურს, უნდა გარისკო კიდევ



ამერიკის შეერთებული შტატების აზარტული თამაშების დედაქალაქის ქალაქ ლას-ვეგასის ერთ-ერთ კაზინოში დღისით შევიდა ოცდაათი ოდე წლის ახალგაზრდა. თან ორი ჩემოდანი შეიტანა. ერთი მათგანი ცარიელი იყო, მეორეში 770 ათასი დოლარი აღმოჩნდა. უცნობმა კაზინოს მეპატრონეს შესთავაზა, ერთი ხელი ბანქო ვითამაშოთო

მთელ ამ თანხაზე. მეპატრონე დასთანხმდა. ბედმა ახალგაზრდა სტუმარს გაუღიმა. საღაროში მან 1.554.000 დოლარი მიიღო, მშვიდად ჩაალავა მოგება ჩემოდანში და წყნარი ნაბიჯით კარისაკენ გაეშურა. როცა კაზინოს მეპატრონეს ემშვიდობებოდა, უცნობმა დასძინა: „კარგად მოგეხსენებათ, წყეული ინფლაციის შედეგად ფული სწრაფად კარგავს თავის ღირებულებას — გეგონება დნებაო. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე — ან გავაორკეცო ქონება, ან წავაგო, რაც კი მაბადია“.

**რჩევა-დარიგება პოტენციურ
დაზარალებულებს**

ნიუ-იორკის მეტროში პოლიციელები მგზავრებს სამასსოვრო ფურცლებს ურიგებენ. ასეთი ფურცელი შეიცავს რჩევა დარიგებას თუ როგორ უნდა მოიქცე, თუ არ გინდა მძარცველების მსხვერპლი გახდე. მასში ჩამოთვლილია 10 ნიშანი, რომელთა მინედვით შეიძლება ამოიცნო პოტენციური მსხვერპლი. ასეთი შეიძლება აღმოჩნდეს ყოველი მგზავრი: რომელიც, მაგალითად, გარშემო მყოფთ უჩვენებს, რომ ფული აქვს, დაუდევრად ატარებს საფულეს, მეტროში მთვრალი მგზავრობს, ვაგონში სძინავს, დაუფარავად ატარებს სამკაულებს და ა. შ. როდესაც ესა თუ ის მგზავრი ერთ-ერთ ამგვარ „უდარდელობას“ იჩენს, მას პოლიციელი მყისვე გადასცემს ხოლმე ასეთ ფურცელს.



ცხსლს ნავთი დაასსა



ბოსტონელმა რ. კენტმა პასპორტის გაფორმებისას ყალბი ცნობები წარადგინა. ამ დანაშაულისათვის მას 30 დღის პატიმრობა მიუსაჯეს. მან სცადა ფული დაეზოგა და სასამართლოს ცრუ ჩვენება მისცა: რ. კენტმა განაცხადა არავითარი სახსრები არ გამაჩნიაო და ამის გამო გთხოვთ, ვეჭილი სახელმწიფოს ხარჯზე დამინიშნოთო. მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ მათხოვრის ნიღაბს ამოფარებული კაცი საკმაოდ შეძლებული პიროვნებაა: თურმე მისი ქონება 250 ათას დოლარს აღემატება. ცრუ ჩვენებისათვის რ. კენტს დამატებით 6 თვის პატიმრობა მიუსაჯეს.



ჟურნალ „საბჭოთა საპარტალუი“ 1983 წელს გამოქვეყნებული გასაღების საძიებელი

მოწინავე სარედაქციო სტატიები, მოწინააღმდეგე ცნობები და გასაღები

ავამადლოთ საბჭოების როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, № 5, გვ. 5-9.

არ დავერდეთ მიღწეულს, გავაძლიეროთ ბრძოლა დამნაშავეების წინააღმდეგ, № 1, გვ. 5-10.

დისციპლინა — გადამწყვეტი ფაქტორი, № 4, გვ. 3-6.

რესპუბლიკის ძირითადი კანონი, № 2, გვ. 3-7.

სამართალდაცვითი ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე № 6, გვ. 3-5.

საქართველოს მსაჯულთა პირველი რესპუბლიკური კრება № 3, გვ. 3-4.

საქართველოს პარტიული აქტივის კრება, № 1, გვ. 3-4.

სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრება, № 5, გვ. 3-4.

სკკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი და რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების ამოცანები, № 3, გვ. 5-8.

სამართლის თეორია, ისტორია, სახელმწიფო, საერთაშორისო სამართალი

ახვლედიანი ე. ა. — სოციალისტური საერთო-სახალხო დემოკრატიის არსი და ფუნქციონალური დანიშნულება, № 3, გვ. 27-32.

ერემოვი გ. ა. — სსრ კავშირის კონსტიტუციის პრეამბულა, № 5, გვ. 37-30.

მთვარელიძე გ. გ. — ნაშობის პრობლემა და საერთაშორისო სამართალი, № 4, გვ. 41-49.

ფარვიჭფური ბ. ს. — სპარსეთის ყურე პენტაგონის აგრესიულ გეგმებში, № 3, გვ. 46-53.

ფირცხალავა გ. ს. — შემობრუნების ბუნქტი რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში, № 3, გვ. 9-17.

ფუტკარაძე ი. ვ. — სამართალწარმოების ეროვნული ენის კონსტიტუციური პრინციპების განვითარება, № 1, გვ. 20-28.

უორანაშვილი გ. ვ. — კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღმოსავლური სახელმწიფოს შესახებ, № 2, გვ. 8-16.

შენგელია რ. ვ. — საბჭოთა სახელმწიფოებრიობისა და სამართლის შესწავლის პირველი ქართული კერა, № 2, გვ. 42-44.

სამოქალაქო, შრომის, საოჯახო სამართალი, პროცესი, არბიტრაჟი, კანონის კომენტარი

ლონჯაშვილი თ. ი. — განუხრელად დაცვით კანონი მოკლევადიანი უხელფასო შვებულების მიცემის დროს, № 1, გვ. 35-40.

წამბახიძე ტ. ვ. — საწარმოო ერთეულის სტატუსი, № 5, გვ. 43-50.

ზოიძე ბ. ი. — არაქონებრივი ინტერესი ქონებრივ ურთიერთობაში, № 2, გვ. 17-23.

კასრაძე ე. ლ. — ახალი დებულება კონტრაქტაციის ხელშეკრულების შესახებ, № 6, გვ. 41-46.

ლაბარტყვა ა. მ. — ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალურად გამოყენებისათვის, № 6, გვ. 47-50.

ლილუაშვილი თ. ა. ჯორბენაძე ხ. მ. — შრომის სამართლის როლი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, № 5, გვ. 17-26.

მელიქიშვილი დ. ი. — შვილად აყვანის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა, № 3, გვ. 54-59.

ხავანელი ბ. ვ. — პლანეტაზე სიცოცხლის მრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის, № 6, გვ. 51-54.

დლოტი ი. ა. — სიახლენი მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფაში, № 1, გვ. 64-65.

შონია გ. ბ. — ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში და შრომის დისციპლინის მომწესრიგებელი უმნიშვნელოვანესი ნორმები, № 4, გვ. 13-18.

ხაჯალია ა. ს. — საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებისდამცველი ფუნქციის ჩამოყალიბების ძირითადი მომენტები, № 6, გვ. 55-60.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, კანონის კომენტარი

ბენიაცკაია მ. ნ., შონია მ. ი. — სოციალური ვარემო და მოზარდთა სამართალდარღვევები, № 4, გვ. 19-25.

გორდევია ბ. ი. — სამხედრო პროკურატურის ახალი დებულება, № 4, გვ. 7-12.

დამთავრებული ე. გ. — ერთგვაროვან გაუფრთხილებელ დანაშაულთან შემადგენლობების გამოიჯვნა, № 3, გვ. 40-45.

თოდუა ა. ი. — ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულთა კრიმინოლოგიური დახასიათება, № 2, გვ. 24-28.

კერესელიძე ჯ. ს. — გამოძიებისა და სამართლო გადაწყვეტილებათა ვასაჩივრება ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ, № 4, გვ. 26-32.

კომახიძე ზ. ს. — სამართლებრივი როლი მზარდთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, № 2, გვ. 38-41.

კუკულაძე შ. ვ. — თანამდებობრივი დანაშაულის გამოიჯვნა სოციალისტური საკუთრების დატაცებისაგან, რომელიც ჩადენილი თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, № 3, გვ. 33-39.

მაისურაძე ლ. ზ. — მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა რადიოს მეშვეობით, № 6, გვ. 65.

პაპუაშვილი ა. ვ. — დებულება იმ სასჯელთა აღსრულების შესახებ, რომლებიც შრომა-ჯასწორების ზემოქმედების ღონისძიებებს არ უკავშირდება, № 2, გვ. 29-33.

ტყეშელაძე გ. ტ. — თინათინ წერეთლის პიროვნება, № 4, გვ. 50-58.

ფალიაშვილი ა. ი. — უდანაშაულობის პრეტენზია, როგორც სისხლის სამართლის პროცესის კონსტიტუციური პრინციპი, № 5, გვ. 31-37.

შუშანაშვილი ა. ა. — სიახლენი დამნაშავეობასთან ბრძოლის კანონმდებლობაში, № 1, გვ. 5-10.

ჩვენნი კომენტარი — № 1, გვ. 68-70.

ლილიანი გ. შ. — საყოფაცხოვრებო ნივთიერებათა ჩადენილ დანაშაულთა საბაბის კრიმინოლოგიური მნიშვნელობა, № 5, გვ. 38-42.

სანიშნო საზოგადოებრივი წესრიგი სასახედრო რაიონში, № 4, გვ. 33-37.

კუხალაშვილი ჯ. რ. — პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმე, № 6, გვ. 14-21.

მაისურაძე ა. ი. — რუსთავის სახალხო სამართლოს მსაჯულთა საბჭოს მუშაობის შესახებ, № 2, გვ. 34-37.

მაისურაძე ვ. ი. — სამეურნეო დაგების განხილვა რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში, № 6, გვ. 22-26.

საბიაშვილი თ. ფ. — სოფლის იურისტების სადღესიო ამოცანები, № 1, გვ. 29-34.

სასამართლოს აღმასრულებლებთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის, № 4, გვ. 38-40.

საყვარელიძე ლ. მ. — გავაძლიეროთ ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ, № 6, გვ. 27-33.

სიმონიშვილი ვ. ლ., ხაზარაძე ო. ს. — პროკურატურის კადრების პროფესიული და ოსტატების ერთი მეთოდოლოგიური საკითხის გამო, № 6, გვ. 34-40.

შუშანაშვილი ა. ა. — სახალხო მსაჯული, № 3, გვ. 18-26.

ჩერქეზია ო. ე. — არასრულწლოვანთა დანაშაული, ამოცანები და პრობლემები, № 6, გვ. 14-21.

დისკუსია, კოლეჟია, რეპლიკა

გაბიანი ა. ა., გაჩეჩილაძე, რ. გ., დიდებულისძე მ. ი. — სივრცობრივი დიფერენციაციის პრინციპის გათვალისწინება დამნაშავეობის თავიდან აცილებისათვის, № 1, გვ. 49-50.

გამყრელიძე ო. კ. — კანონის ენის შესახებ, № 5, გვ. 51-60.

ნაჭეჭია გ. ი. — დავის საფუძველი არის, № 1, გვ. 41-48.

გეორგიევსკის ტრაქტატის ორანი

წლისთავისათვის

აბიანიძე ნ. ფ. — პირველი ქართველი იურისტი ქუთაისში, № 5, გვ. 64-68.

ლომინაძე რ. ა. — საქართველოს მთავარმართველთა უფლებამოსილებანი (1801-1844 წ. წ.), № 1, გვ. 51-60.

მენაბდე ლ. ვ. — ქართულ-რუსული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, № 2, გვ. 53-64.

ნადარეიშვილი გ. ნ. — რუსული სამართლის წიგნების ქართული თარგმანები შეთვრამეტე საუკუნეში, № 4, გვ. 63-69.

სამართალდაცვითი ორგანოების

საქმიანობის პრაქტიკა

ავლაძე თ. ნ. — კანონიერების დაცვა კომუნისტური შრომის საწარმოში, № 6, გვ. 61-64.

არსენაშვილი ა. გ. — შეცდომა, დაუდევრობა, თუ? № 3, გვ. 60-61.

დიასამიძე დ. დ. — საბჭოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის, № 5, გვ. 11-16.

კოტეტიშვილი დ. ი. — უზრუნველყოფა



სიღამონიძე ვ. ა. — რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, № 3, გვ. 62-66.

პრინიპა და ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია. უფრნალ „საბჭოთა სამართალში“ 1982 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი, № 1, გვ. 77-79.

ნადარეიშვილი გ. ნ. — ნაშრომი ინდუსური სამართლის შესახებ, № 2, გვ. 66-71.

სავანელი ბ. ვ. — წიგნი სისხლის სამართლის აქტუალურ პრობლემაზე, № 2, გვ. 63-65.

სულაქველიძე დ. დ. უორდანი ი. შ. — საყურადღებო ნაშრომი, № 4, გვ. 70-75.

ტყეშელაძე გ. ტ. — კომპლექსური ნაშრომი ნარკომანიასთან ბრძოლის შესახებ № 3, გვ. 67-75.

მხატვრული ნაწარმოებები, ნარკვევები, ჩანახატები

კეკელიშვილი ნ. ვ. — ადვოკატი, უფრნალისტი, მოღვაწე, № 4, გვ. 55-60.

კრისტი ა. — დელფის ორაკული, № 6, გვ. 68-74.

მაისურაძე ლ. ზ. — დედა, მეუღლე, საზოგადო მოღვაწე, № 2, გვ. 50-51. წინასწარი გადასადგებია, № 4, გვ. 60-61.

ცხოვრების მიზანი, № 1, გვ. 61-63.

ხატიძე შ. ს. — სასაზღვრო რაიონის პროკურორი, № 2, გვ. 49.

ხუციშვილი ი. ი. — დამსახურებული საყვარული და ავტორიტეტი, № 6, გვ. 66-67.

ოპიციალური მასალა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, № 1, გვ. 66-68.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გიორგი ნიკოლოზის ძე ყოლბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მო-

ადგილედ არჩევის შესახებ, № 4, გვ. 62.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ, № 5, ყდის მეორე გვერდი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეტერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დაწინების შესახებ, № 6, ყდის მეორე გვერდი.

დაჯილდოება — № 2, გვ. 33, გვ. 51.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოცი წლისთავი, № 2, გვ. 52.

პრემიები ქართველ იურისტებს № 1, გვ. 70.

საპატრო წოდებების მინიჭება, № 2, გვ. 28, № 3, გვ. 75.

წახალისება, № 4, გვ. 62.

არბიტრაჟის პრაქტიკა — № 5, გვ. 69-70.

ინფორმაცია, № 1, გვ. 71-76; № 2, გვ. 70-80; № 3, გვ. 76-80; № 4, გვ. 76-77, № 5,

გვ. 71-73; № 6, გვ. 75-80.

კომპლექსური ნაგებობა სამართალდაცვითი ორგანოებისათვის, № 5, გვ. 75.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს შენობა, № 4, გვ. 78-79.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე, № 5, გვ. 61-63.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე, № 2, გვ. 47-48.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, № 2, გვ. 45-46.

ჩვენი გამოსვლის შემდეგ, № 4, გვ. 79-80.

ცნობები ავტორთა შესახებ, № 1, გვ. 80;

№ 2, ყდის მესამე გვერდი; № 3, ყდის მე-

სამე გვერდი; № 4, ყდის მესამე გვერდი;

№ 5, ყდის მესამე გვერდი; № 6, ყდის მესამე

გვერდი.

წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ, № 4,

გვ. 80.

ნეკროლოგი, ი. ი. სურგულაძეზე, № 5, გვ. 75-80.

შეცდომის გასწორება

უფრნალ „საბჭოთა სამართლის“ 1983 წლის მეექვსე ნომრის რუსულ შინაარსში ზემოაღნიშნული მე-19 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე:

A. Хазалия — Основные моменты становления природоохранительной функции.

გარეკანის კირველ გვერდზე: ქ. თბილისი, ლენინის მოედანი.

გ. სპირანოვის სტაილი.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 1, 1984 (на грузинском языке), Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფანსი 60 333

ნიმუში 76185

8117/53

